ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 აგვისტო **ოთხშაბათი** 2010
№ 181 (13 169) ფასი 60 თეთრი

» გვერდი 10



## რობენის ორი თვე

# ანტვერპენისკენ!

პოლონეთთან მატჩის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ერთი დღე დაისვენა და გამთენიისას, სტამბოლის გავლით, ბელგიის ქალაქ ანტვერპენში გაფრინდა, სადაც 5 აგვისტოს ადგილობრივ ნაკრებს შეხვდება. თბილისის დროით მატჩი 22:15 საათზე დაიწყება და მას ანტვერპენის არენა „ლოტო“ უმასპინძლებს.



ზაზა ფაჩულია

## ვიბრძვით მანამდე, სანამ ტაბლოზე ოთხი ნული არ აინთება



იგორ გრიშჩუკი:

## ქართულ კედელს თავით შევასკდით!

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან და პოლონური პრესის გამოხმაურება » გვერდი 2



## ქართველებმა ბრინჯაოთი გაასამეს

თავისუფალი ჭიდაობა » გვერდი 11



პელე:

## მოვდივარ!

ფეხბურთის მეფე მზადაა, საქართველოში ჩამოვიდეს

» გვერდი 3

*ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან*

# ვიბრძვით მანამდე, სანამ ტაბლოზე ოთხი ნული არ დაინერება

**ზაზა ფაჩულიას გასულ წლებში დანანებით არაერთხელ აღუნიშნავს: B დივიზიონში თამაშს არ ვიმსახურებთ, საქართველოს ნაკრებს ნამდვილად შესწევს ძალა, წარმატებით ითამაშოს არა მხოლოდ ლუქსემბურგისა და ავსტრიის წინააღმდეგ, არამედ A დივიზიონის გუნდებთანაცო...**

**ექვსწლიანი წვალების შემდეგ ჩვენმა ნაკრებმა ზედა ლიგის საგზური მოიპოვა და პირველივე მატჩში, პოლონეთთან ფაჩულიამ მეგობრებთან ერთად დაამტკიცა, რომ A ლიგის ღირსია.**

**მატჩის შემდეგ ფაჩულიამ პოლონეთთან შეხვედრის კარგი ანალიზიც გააკეთა და ბელგიასთან მომავალ დაპირისპირებაზეც ილაპარაკა.**

- პოლონეთთან უფრო დაძაბულ ბრძოლას ველოდით. მოგებისთვის ყველაფერი გავილეთ და დაგვიფასდა კიდეც. იყო უამრავი მიზეზი, რამაც პოლონეთთან გამარჯვება განაპირობა: დიდი დახმარება გაგვიწია გულშემატკივარმა; მეორე ტაიმში დაცვაში შესანიშნავად ვითამაშეთ; სასტარტო ხუთეულის წევრებთან ერთად დამაჯერებლად იასპარეზეს სათადარიგოებმა. მიხარია, რომ პირველი ტურის მატჩში ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი დავამარცხეთ.

**- შესარჩევის მოგებით დაწყება მართლაც მნიშვნელოვანია...**

- ერთი თვის წინ შევიკრიბეთ და აგვისტოს მატჩებისთვის მონდომებით ვემზადებოდით. ვიცოდით, რომ პირველ შეხვედრაში წარმატებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პოლონეთთან მატჩში მოსაგებად გავედით და სასიამოვნოა, რომ 19 ქულის სხვაობით გავიმარჯვეთ.

**- სოლიდური უპირატესობის მოპოვების შემდეგ გუნდს მცირე ჩავარდნაც არ დასტყობია. არადა, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მეოთხე პერიოდში სამივე მატჩში მოდუნდით...**

- უკრაინასთან, რუმინეთთან და ბელარუსთან ამხანაგური შეხვედრები გვქონდა. პოლონეთთან ოფიციალური თამაში იყო და ვიცოდით, რომ წამით მოდუნებასაც კი მეტოქე არ გვაპატიებდა. მონაწილეობა მიმიღია ისეთ მატჩებშიც, რომლებშიც 20 ქულით დავწინაურებულვართ და შემდეგ წაგვიგია. ამიტომ, სანამ მეოთხე პერიოდის ბოლოს ტაბლოზე ოთხი ნული არ აინთება, ძალებს არ ვზოგავ.

**- პოლონელებს განსაკუთრებით ფარქვეშ ვაჯობეთ, მოხსნებში 44:21 მოვუგეთ...**

- წინა ხაზში დამაჯერებლად ვითამაშეთ, მაგრამ ვერ ვიტყვი, მატჩი იმიტომ მოვიგეთ, რომ ფარქვეშ კარგად გავისარჯეთ-მეთქი. თუ უკანახაზელები მოწოდების სიმაღლეზე არ არიან, წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია. შეიძლება თამაში ისე წარიმართოს, რომ ტანმაღლებს გაუჭირდეთ. 40 წუთის განმავლობაში სამწამიანი ზონიდან ყველა ტყორცნას ვერ გამოიყენებ. ამ დროს აქცენტი უკანა ხაზზე უნდა გაკეთდეს. შეიძლება პირიქით მოხდეს. საქართველოს ნაკრების პლუსი ის არის, რომ სხვადასხვა სისტემაზე გადაწყობა შეუძლია. საამისოდ საკმარისი რესურსია.



**- თორნიკე შენგელიამ შენსავით ადრეულ ასაკში მოირგო ეროვნული ნაკრების მაისურა...**

- თორნიკეს ყველანაირად გვერდში ვუდგავარ. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ტრავმის გამო ნაკრებს ვლადიმერ ბოისა ვერ დაეხმარებოდა, აქტუალური გახდა მისი შემცვლელის საკითხი. სასიამოვნოა, რომ ბოისას ღირსეული შემცვლელი ახალი თაობიდან გამოჩნდა. მისასალმებელია მწვრთნელის თორნიკესადმი ნდობა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგორ კოკოშკოვი პერსპექტივაზეც მუშაობს და მას დღევანდელი კვერცხი არ ურჩევნია ხვალინდელ ქათამს.

**- გორტატმა აღნიშნა, ზაზა ფაჩულიას წინააღმდეგ ძალიან გამიჭირდაო...**

- მასთან ახლოს ვარ. ჩემს ყოფილ გუნდ „ორლანდოში" თამაშობს და ამერიკაში სახელიც აქვს. თუმცა, როცა მოედანზე შევდივარ, მოწინააღმდეგის ჩინებს არ ვუყურებ, მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობ.

**- როგორც ჩანს, არც პოლონეთის ნაკრებია სათანადო ფორმაში და არც გორტატი...**

- ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რამ განაპირობა პოლონელთა ჩავარდნა. მეორე ტაიმი ჩვენ ვითამაშეთ დამაჯერებლად. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სტუმრად თამაში ყოველთვის ძნელია. რამდენად კარგად იყო მომზადებული პოლონეთის ნაკრები, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მთავარი ჩემი გუნდის თამაშია. მნიშვნელოვანია 40 წუთს სტაბილურად თამაში. პოლონეთთან სწორედ სტაბილურობამ განაპირობა 19-ქულიანი უპირატესობა.

**- ქართველი გულშემატკივარი ელის, რომ ასევე განაგრძობთ...**

- A დივიზიონში პირველ სეზონს ვატარებთ. ალბათ ამიტომაცაა, რომ ფავორიტთა შორის არ გვასახელებენ, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. შეიძლება პოლონეთის ნაკრების მსგავსად ევროპის ჩემპიონატზე გამოცდილება არ მიგვილია, მაგრამ ყოველ მატჩში მოედანზე მოსაგებად გავდივართ. ეს მხოლოდ კალათბურთელების მისწრაფება არ არის, გამარჯვებისთვის ბრძოლა ქართველებს სისხლში გვაქვს. ამიტომაც ვართ დღეს A დივიზიონში. აქვე დავამატებ: დარჩენილ შვიდივე მატჩში მოგებას ვეცდებით, მაგრამ დედამიწაზე შეუცდომელი არავინაა და შესაძლოა ხანგრძლივმა მგზავრობებმა გარკვეული პრობლემა შეგვიქმნას. ვეცდებით, ყოველთვის ის ვაკეთოთ, რაც შეგვიძლია, სწორედ ისე, როგორც პოლონეთთან.

**- შემდეგი მეტოქე ბელგიაა...**

- სიმართლეს ვიტყვი, აქამდე მხოლოდ პოლონეთთან მატჩზე ვფიქრობდი. ახლა ბელგიელებთან საბრძოლველად მოვემზადებით. სტუმრად ასპარეზობა ყოველთვის ძნელია, მაგრამ ვეცდებით, მეტოქეს საკუთარი თამაში მოვახვიოთ თავს.

**- ბელგიელებს, ალბათ, ლეიკერსელი დიდიე მბენგა არ ეყოლებათ.**

- შეიძლება, უშუალო მეურვეს ვაჯობო, შეიძლება, მან უკეთესად ითამაშოს, მაგრამ ამაზე მთავარია, გუნდმა გაიმარჯვოს. ყველა ხერხს ვიხმარ, ძალას არ დავიშურებ, რათა მოგება ჩვენ დაგვრჩეს.




*საქართველო-პოლონეთი.*
*მატჩის გამოხმაურება და ანალიზი*

# როცა კარგი დასაწყისი საქმის ნახევარი არ არის

## იგორ გრიშჩუკი: ქართულ კედელს თავით შევასკდით!

პოლონელებმა საქართველოში წაგება ძალიან განიცადეს. ამ შეხვედრის მიმოხილვებში არაერთი საინტერესო ფრაზა ამოვიკითხეთ. ვფიქრობთ, ციტატები სლავთა კომენტარებიდან ქართველ მკითხველსაც დააინტერესებს და გაახალისებს.



იგორ გრიშჩუკი

დავიწყოთ გამოცემა „ვირტუალნა პოლსკათი", რომელშიც ასეთი სათაური გვხვდება: „პოლონელებმა ისე ითამაშეს, თითქოს კბილები სტკიოდათ". ქვემოთ მწვრთნელ **იგორ გრიშჩუკის** სიტყვებია მოხმობილი: *„ვიცოდით, რომ საქართველოში მატჩის მოგება ძნელი იქნებოდა, მაგრამ ნამდვილად არ გვეგონა, თავით ასეთ მყარ კედელს თუ დავეჯახებოდით. ძალიან ცუდად ვითამაშეთ"*.

„სპორტში" მყვირალა სათაური არ იყო, თუმცა მიმოხილვაში საკმარისი კრიტიკაა: *„თითქოს თბილისში პოლონეთის ნაკრებს ვინმემ ხტომა აუკრძალა. განსაკუთრებით მარცინ გორტატმა გაგვაწბილა."*

„სუპერ ექსპრესში" ასეთი სათაური გაჩნდა: *„ქართველებმა პოლონელები გალახეს"... „თბილისში წაგებას ბევრი არ ელოდა. ეს დიდი სიურპრიზი იყო. თუმცა მარცხსაც აქვს ახსნა: გორტატმა საკუთარი ფარის უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო"*.

გაზეთი „ფაქტი" მიმოხილვის დასაწყისში ძახილის ნიშანს იყენებს: *„სირცხვილი! მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები კარგ კალათბურთს თამაშობდა, მოედანზე პოლონელთა აჩრდილები დადიოდნენ..."*

საოცარია, მაგრამ გამოცემა „სპორტის" ჟურნალისტმა **ლუკაშ ჩეგლინსკიმ მარცინ გორტატის** თბილისური თამაშის შესახებ გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში ერთხელაც არ ახსენა **ზაზა ფაჩულია.** არადა, გორტატის არადამაჯერებელი თამაშის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქართველთა ატლანტელი ცენტრი იყო. სწორედ ზაზამ დაანახა თანაგუნდელებს, რომ ფავორიტები პოლონელები არ იყვნენ, მათი ძლევა შეიძლებოდა.

ზემოთ კედლისა და თავის ამბავი წაიკითხეთ. კედელი საქართველოს ნაკრების დაცვა იყო. საწყის 10 წუთს თუ არ ჩავთვლით, ჩვენმა გუნდმა დაცვაში ისტორიაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ასე აგრესიულად, მწყობრად და ჩავარდნების გარეშე ქართველებს დიდი ხანია, არ უთამაშიათ. გუნდური გარჯით მეტოქის „გათითოკაცება" ჩვენებს პირველად გამოუვიდათ. შვედეთის წინააღმდეგ დაცვაში შარშანაც კარგად ითამაშეს, მაგრამ სკანდინაველები გუნდური მოქმედებით მაინც ბოლომდე გვებრძოდნენ და 71 ქულა ჩააგდეს. პოლონელებმა კი თამაშის დალაგება ვერ მოახერხეს და ინდივიდუალურად ცდილობდნენ ფონს გასვლას. ამას **ლუკაშ კოზარეკის** სიტყვებიც მოწმობს: თამაშის ტემპს მეტოქე გვკარნახობდა. ყოველგვარი სისტემა მოშლილი იყოო...

გაზეთი „ფაქტი" წერს: პოლონეთის ნაკრები მხოლოდ ორი კალათბურთელით უტევდა - **კელატით** და **ლამპეთიო.** სხვათა შორის, ორშაბათს იტალიამ ისრაელთან შინ წააგო. აპენინელთაგანაც ორი გამოირჩა: **ბელინელიმ** და **ბარნიანიმ** 20-20 ქულა ჩააგდეს. მათ გარდა 5-ქულიან ბარიერს ვერც ერთმა გადააბიჯა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ კალათბურთი გუნდური თამაშია და 2 ვარსკვლავს შეკრული გუნდის დამარცხება არ შეუძლია. დღეს ამ თემაზე ხალისით ვწერთ. არადა, 2004-07 წლებში ქართველები სწორედ ისე გამოიყურებოდნენ, როგორც პოლონელები თბილისში - ჩვენი მწვრთნელები თამაშს 3-4 ლიდერზე აგებდნენ და დანარჩენებს ვერ ენდობოდნენ. გუნდური თამაში რომ ვერ გამოგვდიოდა, ეს ყველაზე მეტად ფინეთთან მატჩებისას ჩანდა.

საბედნიეროდ მოვიდა **იგორ კოკოშკოვი,** გაიზარდნენ კალათბურთელები (პროფესიული თვალსაზრისით) და ახლა ჩვენ ვამხელთ მეტოქეებს შეუთამაშებლობაში. მარცინ გორტატს ეგონა, თვენახევრის შეკრებილ ნაკრებს 8-9 დღეში შეეწყობოდა და ფორმასაც მოკლე დროში აღიდგენდა...

ისევ პოლონურ კომენტარს გაგაცნობთ. სლავების ფედერაციის პრეზიდენტმა **რომან ლუდვიჩუკმა** ნამატჩევს მშვიდად ილაპარაკა:

*- ლიტვის ევროპის ჩემპიონატის კარს არავინ გაგვიღებს მხოლოდ იმიტომ, რომ შარშან ევრობასკეტზე ვითამაშეთ. საგზურის მოსაპოვებლად ყოველ მატჩში ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. თბილისში მასპინძლებმა იომეს. მათ შემართება თვალებში ეტყობოდათ. თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, წინ შვიდი მატჩია და მჯერა, რომ წარმატებაზე ფიქრი რეალურია. სწორედ ამიტომ ვარ მშვიდად და კალათბურთელ-მწვრთნელების შეფასებისგან თავს ვიკავებ".*

ბატონი რომანის სიტყვებიდან დასკვნა ჩვენც უნდა გამოვიტანოთ: „წინ შვიდი მატჩია და გადაწყვეტილი ჯერ არაფერია." არავინ იცის, როგორ წარიმართება ბელგიასთან ხუთშაბათის (5 აგვისტო) მატჩი, არავინ იცის შეთამაშების მხრივ საქართველოს ნაკრებია უკეთესი, თუ ბულგარეთი (მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალია-ბულგარეთის მატჩის ინტერნეტით ხილვის საშუალება იყო)... ასე რომ, კალათბურთელებსაც ესმით, ემოციების აყოლა საჭირო არ არის. მათ „არწივები" უკვე დაივიწყეს და „ლომებზე" (ბელგიელებს უწოდებენ) ფიქრობენ. ჯერ არც ევროპის ჩემპიონატის საგზურზე ლაპარაკი შეიძლება, რადგან ევრობასკეტზე სამი ჯგუფის ხუთი საუკეთესო გადის ავტომატურად. ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე ადგილზე გასვლა ლიტვაში მოსახვედრად შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს: უარესი მაჩვენებლის მქონე მეორეადგილოსანი (სამი ჯგუფის დანარჩენ ხუთ გუნდთან ერთად) 2011 წელს გადათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

მოკლედ, ორშაბათს ქართველთა პოტენციალი დავინახეთ, თუმცა ეს ის შემთხვევა არ არის, როცა კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 აგვისტო: | | საქართველო-პოლონეთი | 84:65 |
| | | პორტუგალია-ბულგარეთი | 59:67 |
| 5 აგვისტო: | 22:15 | ბელგია-საქართველო (ანტვერპენი) | |
| | 20:00 | პოლონეთი-პორტუგალია (ბიდგოშჩი) | |
| 8 აგვისტო: | 20:00 | ბულგარეთი-პოლონეთი (სოფია) | |
| | 23:30 | პორტუგალია-ბელგია (კოიმბრა) | |
| 11 აგვისტო: | 19:00 | საქართველო-პორტუგალია (თბილისი) | |
| | 22:00 | ბელგია-ბულგარეთი (ანტვერპენი) | |
| 14 აგვისტო: | 20:00 | ბულგარეთი-საქართველო (სოფია) | |
| | 20:00 | პოლონეთი-ბელგია (ლოძი) | |
| 17 აგვისტო: | 20:00 | პოლონეთი-საქართველო (ლოძი) | |
| | 20:00 | ბულგარეთი-პორტუგალია (სოფია) | |
| 20 აგვისტო: | 19:00 | საქართველო-ბელგია (თბილისი) | |
| | 23:30 | პორტუგალია-პოლონეთი (კოიმბრა) | |
| 23 აგვისტო: | 20:00 | პოლონეთი-ბულგარეთი (კატოვიცე) | |
| | 22:00 | ბელგია-პორტუგალია (ანტვერპენი) | |
| 26 აგვისტო: | 23:30 | პორტუგალია-საქართველო (ალბუფეირა) | |
| | 20:00 | ბულგარეთი-ბელგია (სოფია) | |
| 29 აგვისტო: | 19:00 | საქართველო-ბულგარეთი (თბილისი) | |
| | 22:00 | ბელგია-პოლონეთი (ანტვერპენი) | |

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

დიდი ვიზიტის მოლოდინში



# პელე თანახმაა, თბილისში ჩამოვიდეს...

**თავის დროზე დიეგო მარადონას** თბილისში ჩამომყვანი **ნიკო პატარქალიშვილი** შემოდგომისთვის საქართველოს დედაქალაქში საერთაშორისო ოთხთა ტურნირის ჩატარებას რომ გვპირდება, მკითხველმა უკვე იცის. ხსენებული ტურნირი თბილისობა დღეს, 30 ოქტომბერს დაიწყება და 5 ნოემბრამდე გასტანს. საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების გარდა, მასში ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის ახალგაზრდული ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას. უფრო მეტიც, პატარქალიშვილის სურვილი იყო ამ ტურნირს თბილისში ფეხბურთის მეფე **პელე** დასწრებოდა.

საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით ნიკო პატარქალიშვილმა პელეს აგენტთან ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყო მოლაპარაკებები. მაშინ მან ასეთი პასუხი მიიღო, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის დასრულებამდე მოეცადა და მერე განახლებულიყო მოლაპარაკებები. საქმე ის არის, რომ პელე, რომელიც 23 ოქტომბერს 70 წლის ხდება, შორეულ ვიზიტებს ერიდება. თუმცა ნიკო პატარქალიშვილმა სამხრეთამერიკელი პარტნიორების დახმარებით პელეს აგენტთან მოლაპარაკება გააგრძელა და ეს პროცესი შედეგიანად დასრულდა - 29 ივლისს პატარქალიშვილმა პელეს საქართველოში ჩამოსვლაზე თანხმობა მიიღო. გუშინ ეროვნულ სტადიონზე გამართული პრესკონფერენცია სწორედ ამ თემას მიეძღვნა.

ნიკო პატარქალიშვილის გარდა, მასმედიის წინაშე ოთხთა ტურნირის საორგანიზაციო და შემოქმედებითი ჯგუფის წევრები წარდგნენ - რეჟისორი **ოთარ მიქელაძე**, ქორეოგრაფი **რევაზ ჭანიშვილი**, მუსიკალური ხელმძღვანელი **რომან რცხილაძე**, მხატვარი **ბესიკ ციბაძე** (რომელიც ტურნირის ლოგოსა და მხატვრულ გაფორმებაზე იმუშავებს), აუდიტორი **თემურ ჭელიძე** (ტურნირის ხარჯების აუდიტზე იზრუნებს) და **პელე გურული**... ამ ბოლო პერსონის ვინაობამ გაგაკვირვათ? საქმე ის არის, რომ ეს ქართველი კაცი გვარად გურული 1970 წელს, მაშინ დაიბადა, რომ ბრაზილიის ნაკრები პელეს წყალობით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. პელე გურულის მამამ მაშინ წერილი მისწერა ფეხბურთის მეფეს და აცნობა, ჩემს ახლადშეძენილ ვაჟს პელე უნდა დავარქვაო. ფეხბურთის მეფისგან მადლიერების წერილი მიიღო, მუნდიალის 70-იანი წლების დროინდელი თასის პატარა ასლთან და პატარა სასმისთან ერთად - ასეთია პელე გურულის ისტორია.

ისევ პრესკონფერენციას დავუბრუნდეთ, რომელზეც ნიკო პატარქალიშვილმა განაცხადა:

- გვინდა, 30 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით საქართველომ საერთაშორისო ოთხთა ტურნირს უმასპინძლოს და უკვე მიღებული გვაქვს თანხმობა ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციებისგან. ჩვენი ფედერაციაც მოამზადებს გუნდს ამ გათამაშებისთვის. სასიხარულო ამბავი უნდა გამცნოთ, ფეხბურთის გულშემატკივარი, ჩვენი ხალხი მხოლოდ ამ ტურნირით კი არა, უფრო დიდი პერსონის სტუმრობით შეგვიძლია გავახაროთ. უკვე მივიღეთ თანხმობა, პელე მზად არის თბილისობას ჩვენს დედაქალაქში შეხვდეს. ის ჩამოვა და ამ ტურნირს დაესწრება, მანამდე კი ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ეს ტურნირი და პელეს ვიზიტი მსოფლიო მნიშვნელობისაა და მისი ორგანიზება სათანადოდ უნდა მოხდეს. ჩვენი სურვილია, ეს ტურნირი და პელეს ვიზიტი ქვეყნის პრეზიდენტის პატრონაჟით ჩატარდეს. ჩვენ უკვე მოვამზადეთ წერილი და დღეს ვუგზავნით პრეზიდენტის პრესმდივანს. იმედი მაქვს, ამ პროექტს ბატონი მიხეილ სააკაშვილი მოიწონებს და მხარში დაგვიდგება. პელეს ჩამოსვლა და ეს ვიზიტი ჩინებული საფუძველი გახდება ბრაზილიასთან, არგენტინასთან, ურუგვაისთან და საერთოდ - სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან საქართველოს საქმიანი, ტურისტული, სავაჭრო, კულტურული და სპორტული, ზოგადად ახალი ურთიერთობების დასაწყებად.

**- დიდი ხნის ურთიერთობა გაკავშირებთ სამხრეთ ამერიკის საქმიან წრეებთან?**

- წლების განმავლობაში არგენტინაში ვცხოვრობდი. პარტნიორები მყავს ბრაზილიაში, ურუგვაიში, პარაგვაიში, ჩილეში. 1993 წელს საქართველოს სახელმწიფო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „რუსთავმა" ჩემი მეშვეობით მოაწყო გასტროლები არგენტინაში და იქ 27 კონცერტი გამართა. 2006 წელს ურუგვაის ნაკრები ჩემი ორგანიზებით ჩამოვიდა თბილისში, რომელიც ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა დაამარცხა. 2008 წელს დიეგო მარადონა ჩამოვიყვანე თბილისში. მაშინ ამ პროექტს სათანადო ორგანიზება და მხარდაჭერა რომ ჰქონოდა, მაშინ ყველაფერი ბევრად კარგად იქნებოდა. ამჯერად, პელე მზად არის გვესტუმროს, მაგრამ ამ პროექტს სათანადო მომზადება სჭირდება. ეს ტურნირი და პელეს სტუმრობა თბილისობის დღესასწაულზე ჩინებული საჩუქარი იქნება ჩვენი ხალხისთვის. იმედი გვაქვს, ქვეყნის პრეზიდეტი და ქალაქის მერი მხარში დაგვიდგებიან.

**- ვინ აწარმოებს მოლაპარაკებას სამხრეთამერიკულ მხარესთან?**

- კომპანია „სუნტრასმა" წარმართა მოლაპარაკება ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციებთან. პელეს აგენტთან კი უშუალოდ მქონდა მოლაპარაკება. წინასწარი შეთანხმება მიღწეულია. დრო ბევრი არ გვაქვს, კონტრაქტები უნდა გავაფორმოთ...

**- დრო რამდენია?**

- 5 სექტემბრამდე პელეს წარმომადგენელთან თუ არ გაფორმდა კონტრაქტი, ეს პროექტი ჩაიშლება. თუ ქვეყნის პრეზიდენტისგან და ქალაქის მერისან მხარდაჭერა არ გვექნება, ისე ეს პროექტი ვერ განხორციელდება.

**- პოტენციურ სპონსორებთან თუ გქონდათ შეხვედრები?**

- შეხვედრა მქონდა ნავთობკომპანია „სოკართან", VTB ბანკთან, კიდევ სხვა კომპანიებთან. მათი მხრიდან არის ინტერესი. პელეს ჩამოსვლის საკითხი მათთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა. ეს უკეთესია მათი ბიზნესის რეკლამისათვის და იმედი მაქვს მათი ინტერესი რეალურ პარტნიორობაში გადაიზრდება.

**რომან რცხილაძე**: - კარგად მახსოვს, მარადონას ჩამოსვლამდე დიდი ეჭვი იყო საზოგადოებაში, ბევრს არ სჯეროდა, რომ მარადონა ჩამოვიდოდა. ნიკომ ეს გააკეთა და დაამტკიცა, რომ სიტყვის კაცია. იმედი მაქვს, პელეს ჩამოსვლაზე არანაირი ეჭვი არ იარსებებს. ფეხბურთის მეფე თანახმაა გვესტუმროს. თუ გვინდა მისი ჩამოსვლა, ახლა მთავარია ჩვენ მოვინდომოთ და მოვიწადინოთ. იმედი მაქვს, ჩვენი ქვეყნისა და თბილისის ხელმძღვანელობა ამ ზეიმს ხალხს აჩუქებს.

ევროპის ლიგა დინამო-შტურმი

## გიორგი თექთურმანიძე

# დინამო არ ნებდება!

**ხვალ ქართული საფეხბურთო სამყაროს მზერა თბილისისა და ზესტაფონისკენ იქნება მიმართული. იმერლებს კარგი შანსი აქვთ, ლვოვში მინიმალური ანგარიშით წაგების შემდეგ შინ რევანში აიღონ და პლეი ოფის სტადიაზე გავიდნენ...**

**თბილისის „დინამო" უფრო რთული ამოცანის წინაშე დგას. ავსტრიაში 0:2-ის შემდეგ დინამოელები „შტურმთან"... შტურმისთვის ემზადებიან. ვნახოთ, რა განწყობაა ჩვენს გუნდში. ამ თემაზე სასაუბროდ „დინამოს" ნახევარმცველი გიორგი თექთურმანიძე შევარჩიეთ.**

**- გიორგი, როგორ ემზადებით „შტურმთან" საპასუხო მატჩისთვის?**

- დიდი მონდომებით ვემზადებით. წინ რთული მატჩი გვაქვს და ყველა მობილიზებულნი ვართ. ჩვენს გუნდში სრული საბრძოლო განწყობაა.

**- რამდენადაც ვიცი, ამჯერადაც ვერ ასცდით დანაკლისს?**

- სამწუხაროდ ასეა, დისკვალიფიკაციის გამო ნიკა ფირცხალავა დაგვაკლდება. ნიკა ჩვენთვის დიდი ძალაა, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, ყველამ ისე უნდა ვითამაშოთ, რომ ეს დანაკლისი არ დაგვეტყოს.

**- ეგ კი, მაგრამ სამაგიეროდ, ვაწაძე დაგემატებათ. მათე დიდი ძალაა...**

- მათე ჩვენი გუნდისთვის მართლაც დიდი ძალაა. მან ორი გოლი გაუტანა შვედებს და მოედანზე მისი ყოფნა ყველასათვის დიდი სტიმულია.

**- „შტურმზე" რა წარმოდგენა შეგექმნათ?**

- საშუალოევროპული დონის გუნდია. სათამაშო დისციპლინითა და გამართული, სწორი თამაშით გამოირჩევა.

**- „შტურმის" რომელი სათამაშო რგოლია შედარებით სუსტი?**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. ჩვენი მეტოქე ყველა სათამაშო რგოლში კარგად დაბალანსებული გუნდია. ვერ ვიტყოდი, რომ რომელიმე რგოლით გამოირჩევა.

**- დავიჯერო, გრაცელებს სუსტი წერტილი არ აქვთ?**

- არა, ეს არ მითქვამს. სუსტი და ძლიერი მხარეები ყველა გუნდს აქვს და ამ მხრივ არც „შტურმია" გამონაკლისი. ვერ ვიტყოდი, რომ თვალში საცემია, მაგრამ შედარებით სუსტად ავსტრიელთა გუნდის მარცხენა ფლანგი გამოიყურება.

**- მოწინააღმდეგის ეს მინუსი ჩვენს პლუსად უნდა ვაქციოთ. „შტურმთან" დაპირისპირებაში კიდევ რა უნდა იყოს ჩვენი კოზირი?**

- ჩვენი გუნდი ინდივიდუალისტებით არის დაკომპლექტებული და სწორედ ეს კოზირი უნდა გამოვიყენოთ. თუმცა ეს ინდივიდუალიზმი სათამაშო დისციპლინაში უნდა მოვაქციოთ, ქაოტური არ უნდა იყოს და მწვრთნელის დავალება უნდა შევასრულოთ.

**- „შტურმიდან" რომელი ფეხბურთელი დაგამახსოვრდათ?**

- იმდენად გუნდურად თამაშობენ, რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფა გამიჭირდება. კარგი ფეხბურთელია კინასტი, ერთი გოლი სწორედ მან გაგვიტანა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ის ლიდერია.

**- 0:2 წაგების შემდეგ მომდევნო ეტაპზე „დინამოს" გასვლის შანსს როგორ აფასებთ?**

- კარგი იქნებოდა, ერთი გოლი მაინც გაგვეტანა, საამისოდ შანსიც გვქონდა, მაგრამ ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ არც 0:2-ის შემდეგ ვართ უშანსოდ. რა თქმა უნდა, ავსტრიელები ჩვენზე უკეთეს სიტუაციაში არიან, მაგრამ ჩვენ დანებებას არ ვაპირებთ და ვნახოთ, ვინ როგორ გამოიყენებს თავის შანსს. ნამდვილად არ მგონია, რომ ამ ბარიერის გადალახვა შეუძლებელი იყოს.

**- თქვენი აზრი გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, გუნდში რა განწყობაა?**

- ეს მხოლოდ ჩემი განწყობა არ არის, ეს მთელი გუნდის აზრია. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს, გავალთ მოედანზე და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ ერთი გუნდი მეორეს ჯობნის, მაგრამ გოლი საკმარისი რაოდენობით ვერ გააქვს. „დინამო" მოედანზე მოვალეობის მოხდის მიზნით არ გავა... არ მინდა ამაზე ვიფიქრო, მაგრამ... თუ „შტურმს" ვერ გავივლით, მაინც არავინ დაგვძრახავს, რადგან ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ...



გიორგი თექთურმანიძე

**- შესაფერისი განწყობისთვის გულშემატკივარს დიდი მნიშვნელობა ენიჭება...**

- რა თქმა უნდა. ჩვენ ერთ-ერთი გამორჩეული გულშემატკივარი გვყავს. მწამს, არც ამჯერად მოგვაკლდება მათი მხარდაჭერა. მით უმეტეს, ბილეთი სულ რაღაც 2 ლარი ღირს და იმედი მაქვს, „შტურმთან" უფრო მეტი გულშემატკივარი გვიქომაგებს, ვიდრე „გეფლესთან" იყო. ჰოდა, თუ ასე იქნება, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ფანები სიმშვიდეს დაურღვევენ მეტოქეს, მოედანზე კი ავსტრიელებს ჩვენ შევეჭიდებით. ამიტომაც მინდა, ფანებს ვუთხრა - მოდით სტადიონზე, გვიქომაგეთ და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გაგახაროთ და კიდევ ერთი ლამაზი საღამო გაჩუქოთ!

**- მინიმუმ 2 უპასუხო გოლის გატანა გჭირდებათ. აქედან გამომდინარე, „დინამო" წესით სწრაფ გოლზე უნდა იყოს აქცენტირებული. ასეა?**

- რაც შეეხება ტაქტიკა-სტრატეგიას, ეს მწვრთნელმა უნდა განსაზღვროს. ისიც არის, რომ მეტოქეს ახლა უკეთ ვიცნობთ და უფრო თავისუფლად ვითამაშებთ. ისე კი, სწრაფი გოლი ნამდვილად წაგვადგებოდა...

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

უეფას ევროპის ლიგის
მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი.
საპასუხო მატჩი
UEFA EUROPA LEAGUE
5 აგვისტო, ხუთშაბათი
დინამო (თბილისი)
შტურმი (ავსტრია)
SK STURM
დასაწყისი 20:30
ბილეთის ფასი 2 ლარი
ლოჟაში 5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორპედო (ქუთაისი)

ამ დღეს და საქართველოს XXII საფეხბურთო ჩემპიონატი დაიწყება; იმედი დავიტოვოთ, რომ ათგუნდიანი და ოთხწრიანი ჩემპიონატი საინტერესო აღმოჩნდება, ინტრიგაც საკმარისი იქნება, ახალ-ახალი სახეებიც გამოჩნდებიან და, რაც მთავარია, ფეხბურთელებს, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინ არ მოუწევთ ასპარეზობა. ვიდრე XXII ჩემპიონატი დაიწყებოდეს, მანამდე უმაღლესი ლიგის ათივე გუნდზე გვინდა ვისაუბროთ: როგორ მოემზადნენ ახალი სეზონისათვის, რამდენად აქტიური სატრანსფერო კამპანია აწარმოეს, რას შეიძლება მიაღწიონ და ასე შემდეგ; მოკლედ, თითოეული გუნდის პლუს-მინუსთან ერთად, შანსებზეც ვისაუბრებთ.

# ტიტულოვანი ახალწვეული



რამაზ მუმლაძე

ახალი სეზონის უმთავრესი მოვლენა, რაღა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში ქუთაისის „ტორპედოს" დაბრუნებაა! რაც მთავარია, უძლიერესთა რიგებს გუნდი სპორტული პრინციპების სრული დაცვით დაუბრუნდა (ანუ, პირველი ლიგის გათამაშების გამარჯვებულის რანგში) და არა - პოლიტიკურ-გეოგრაფიული მოტივებითა თუ წარსულის დამსახურების გამო. არადა, შეგახსენებთ, რომ ქუთაისის „ტორპედოს" უმაღლესი ლიგა სპორტული პრინციპებით ნამდვილად არ დაუტოვებია (ანუ, სატურნირო ცხრილის ბოლო ან ბოლოსწინა ადგილი არ დაუკავებია); მიზეზი ფინანსური პრობლემები იყო, რის გამოც XIX ჩემპიონატის დაწყების წინ (2007-08 წლების სეზონი) ჩვენ ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან გუნდს უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაზე უარი ეთქვა.

ჰოდა, წინა 18 სეზონის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად მიჩნეულმა (სამართლიანადაც!) „ტორპედომ" მომდევნო სამი წელი პირველ ლიგაში გაატარა. სამწუხაროდ, უძლიერესთა შორის დაბრუნება მაშინვე არ მომხდარა და „ტორპედომ" მხოლოდ მესამე ცდაზე შეძლო უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვება. ანუ, გუნდი „იქ" დაბრუნდა, სადაც უნდა ყოფილიყო! სხვანაირად ხომ ვერც იქნებოდა - ქუთაისის „ტორპედო" ხომ ტიტულებით მხოლოდ და მხოლოდ ერთი გუნდს, თბილისის „დინამოს" ჩამორჩება!

საქართველოს სამგზის ჩემპიონი, სამგზის ვერცხლისა და ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი, საქართველოს თასის ორგზის მფლობელი და სამგზის ფინალისტი, - შეუძლებელია, რომ ასეთი მიღწევები გუნდს „შემთხვევით" ჰქონოდეს: ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სწორედ ქუთაისის „ტორპედომ" შეძლო საქართველოს ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" ათწლიანი ჰეგემონიის დამხობა: 1999-2000 წლების სეზონში, **დავით ყიფიანის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ოქროს მედლები მოიპოვა! ეს წარმატება „სენსაცია" თუ „სიურპრიზი" რომ არ ყოფილა, მომდევნო სეზონშიც დამტკიცდა: ზედიზედ სამი წელიწადი „ტორპედოს" საქართველოში კონკურენტი არ ჰყავდა! ჰოდა, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ახალ სეზონში, ქუთაისის „ტორპედოს" უმაღლესი ლიგის ახალწვეული როგორ უნდა ვუწოდოთ?

## მწვრთნელ(ებ)ი

ქუთაისის „ტორპედომ" პირველი საჩემპიონო ტიტული დავით ყიფიანის ხელმძღვანელობით მოიპოვა. მომდევნო სეზონში ყიფიანთან ერთად **რევაზ ძოძუაშვილიც** მუშაობდა, 2002 წლის ტრიუმფის დროს უკვე მარტო რომ თავკაცობდა „ტორპედოს". ქართული ფეხბურთის ამ ორი დამსახურებული მწვრთნელის გარდა ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში „ტორპედოში" უამრავ სპეციალისტს უმუშავია და თითოეულ მათგანსაც წარმატებებიც, რაღა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები ჰქონდა. თუმცა, კვალიფიკაცია არავის დაეწუნებოდა: **რევაზ ბურკაძეს, გიგა ნორაკიძეს, სოსო ფრუიძეს, ჯემალ ხერხაძესა** თუ **ოთარ გაბელიას**; უმაღლეს ლიგაში გატარებული 18 სეზონის განმავლობაში ორი შემთხვევა იყო, როცა გუნდში უცხოელი სპეციალისტიც მუშაობდა, თუმცა შედეგი აშკარად არაერთგვაროვანი იყო: უკრაინელი **ალექსანდრ შტელინის** ხელმძღვანელობით (2002-03 წლების სეზონში) „ტორპედო" მეორე ადგილზე გავიდა...

აი, ბრაზილიელმა **ჟოაო კამპუშმა** კი გუნდი პირველ ექვსეულში ვერ გაიყვანა და ქუთაისიდან ნაადრევად წასვლამ მოუწია (არადა, როგორც ამბობდნენ, ურიგო მწვრთნელი სულაც არ ყოფილა). ნორაკიძე, ძოძუაშვილი, ხერხაძე, ბურკაძე, ფრუიძე, გაბელია - ყველა ამ სპეციალისტისთვის ქუთაისის „ტორპედო" მშობლიურ გუნდად მიიჩნეოდა; ისე როგორც ამავე გუნდის ყოფილი ფეხბურთელებისათვის, სხვადასხვა დროს „ტორპედოს" გაძღოლამ რომ მოუწიათ (**გელა კიკალეიშვილი, მიხეილ კვერნაძე, დავით ჯანაშია**). ყოველივეს კი იმიტომ ვიხსენებთ, რომ უმაღლეს ლიგაში „ტორპედოს" აღზევების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედნიც სხვადასხვა დროს სწორედ ამ გუნდში თამაშობდნენ. **გია გიგატაძე, იასონ ბზიკაძე, გიორგი სუხიაშვილი** - აი, ამ მწვრთნელთა „ტრიუმვირატის" ხელმძღვანელობით გაიმარჯვა „ტორპედომ" პირველი ლიგის გათამაშებაში.

საერთოდაც, ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში „ტორპედოს" მწვრთნელთა კვალიფიკაციის მხრივ პრობლემა არასდროს ჰქონია. სასიხარულოა, რომ ეს ტენდენცია გრძელდება და კლუბის ახალი მეპატრონეების („ვისოლის") ხელმძღვანელებსაც არჩევანი მართლაც უნდა მოვუწონოთ: სამწლიანი პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „ტორპედოს" მთავარ მწვრთნელად ხომ ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი სპეციალისტი **რამაზ მუმლაძე** იმუშავებს! მუმლაძე-მწვრთნელის შესაფასებლად „ვიტ ჯორჯიაში" მოღვაწეობის პერიოდის გახსენებაც საკმარისი იქნება: ოთხი სეზონის განმავლობაში ეს გუნდი ერთხელ ჩემპიონი გახდა, ორჯერ მეორეზე გავიდა და ერთხელაც - მეხუთეზე; ვფიქრობთ, არც ის იყო პატარა ამბავი, როცა „ვიტ ჯორჯიას" არსებობის 12-წლიან ისტორიაში მხოლოდ და მხოლოდ ერთმა მწვრთნელმა იმუშავა „გადაბმით" ოთხი სეზონი ამ გუნდში - რამაზ მუმლაძემ!

ამჟამად კი ეს მართლაც გამორჩეული სპეციალისტი ახალი გამოწვევის წინაშეა: ფაქტობრივად, ახალ გუნდთან ერთად უმაღლეს ლიგაში არსებული ბოლო წლების „ბალანსის დარღვევას" შეეცდება. ყოველ შემთხვევაში, ქართული ფეხბურთის ქომაგთა ძალიან დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ახალ სეზონში დიდი ოთხეულის („ოლიმპი", „დინამო", „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია") „მყუდროებას" თუ ვინმე დაარღვევს, სწორედ ქუთაისის „ტორპედო" უნდა იყოს.

აბა, დიდ ფეხბურთს მონატრებული და ამასთან, საკმაოდ მომთხოვნი ქუთაისელი ქომაგი რომ თავიანთი საყვარელი გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებისგან მხოლოდ მაღალი მიზნებისათვის ბრძოლას მოითხოვს, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. ისე, როგორც ქუთაისის „ტორპედოს" პირველ ლიგაში ასპარეზობა იყო ამ გუნდისათვის შეუფერებელ-მიუჩვეველი, იმავეს ვიტყოდით რამაზ მუმლაძის უმაღლესი ლიგის გარეშე ერთწლიან დარჩენაზეც. საბედნიეროდ, დღესდღეობით, „ტორპედოც" და ამ გუნდის ახალი მწვრთნელიც იქ არიან, სადაც მათი „ადგილია"!



სევასტი თოდუა

## სატრანსფერო კამპანია

რა ბევრი მტკიცება სჭირდებოდა იმ ფაქტს, რომ ახალი სეზონისთვის ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობა გვარიანად გადახალისდებოდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პირველსა და უმაღლეს ლიგებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა: სხვა - მოთხოვნებია, სხვა - სისწრაფეებია და, რაც მთავარია, რაღაც განსაკუთრებული - არა, მაგრამ მაინც „სხვა"... დონეა! თანაც, ჩვეულებრივი პროცესია: პირველ ლიგაში გამარჯვებული გუნდის შემადგენლობიდან მომდევნო სეზონისთვის, უმაღლესში საასპარეზოდ თითქმის ნახევარი იცვლება ხოლმე; ასე მოხდა „ტორპედოს" შემთხვევაშიც: რამაზ მუმლაძემ საკმაოდ აქტიური სატრანსფერო კამპანია აწარმოა და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე მართლაც არცთუ ურიგო ფეხბურთელები დაიმატა. თანაც, ცვლილებები ყველა რგოლს შეეხო და „ტორპედოს" მეტ-ნაკლებად ცნობილ ახალწვეულთა შორის ყველა ამპლუის ფეხბურთელია: **მაქსიმე ქვილითაია** (მეკარე), **დაჩი ფოფხაძე, ნოდარ მაჭავარიანი, სევასტი თოდუა** (მცველები), **ნიკა კვასხვაძე, თენგიზ ჩიკვილაძე, თორნიკე თარხნიშვილი, გიორგი დათუნაიშვილი** (ნახევარმცველები), **ზაურ ხაჭიპერაძე** (თავდამსხმელი).

თუმცა მოწვეულ ფეხბურთელთა გარდა, „ტორპედოში" მრავლად არიან ადგილობრივი მოთამაშეებიც და ისეთებიც, გაჭირვების პერიოდში (პირველ ლიგაში გუნდის ყოფნის პერიოდს ვგულისხმობთ) სხვაგან წასვლა რომ არ უფიქრიათ: **გიორგი გურული, ომარ მიგინეიშვილი, გივი ჩხეტიანი, თეიმურაზ ფარულავა, ბექა ბიბილაშვილი, რევაზ კვერნაძე, ლევან კირკიტაძე** და სხვები.



თენგიზ ჩიკვილაძე

კიდევ ერთი დეტალი: რატომღაც ბევრს ეგონა, რომ ფინანსურად წელში გამართული სპონსორის („ვისოლი") მხარდაჭერით, „ტორპედო" ახალი სეზონისათვის უცხოეთში მოემზადებოდა. თუმცა, ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით „ტორპედო" ადგილზე, საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე ემზადებოდა და, რაც მთავარია, უმაღლესი ლიგის გუნდებიდან... ყველაზე მეტი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა.

ერთი მხრივ, არც ეს ფაქტი უნდა გაგვკვირვებოდა: ფეხბურთელების ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებასთან ერთად, რამაზ მუმლაძის უმთავრესი საზრუნავი ხომ ახალი პარტნიორების ერთმანეთთან შეთამაშება უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, საკონტროლო შეხვედრებში შედეგს არსებითი მნიშვნელობა არასდროს და არავისთვის ჰქონია, მაგრამ, „ტორპედომ" ამ სპარინგმატჩებშიც დაამტკიცა, რომ უმაღლეს ლიგას სამწლიანი პაუზის შემდეგ სერიოზული ამბიციითა და მიზნებით უბრუნდება.

## ლელოს პროგნოზი

კვალიფიციური მწვრთნელი, მოტივირებული ფეხბურთელები, უპრობლემო ფინანსური გარემო, ერთგული ქომაგები და ტრადიცია, - ყველა ეს წინაპირობა გვაფიქრებინებს, რომ ამ სეზონში „ტორპედოს" რეალურად შეეძლება მედლებისათვის ბრძოლა. ყოველ შემთხვევაში, გუნდი ევროტურნირის საგზურის გარეშე არ უნდა დარჩეს...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 15 | ინტერვიუ გელა შეყილაძესთან

# მომავლის გუნდი გეგმაზომიერად შენდება

საქართველოს 15-წლამდელთა მთავარი მწვრთნელი გელა შეყილაძე და მისი ასისტენტები სანაკრებო კანდიდატების შერჩევას მიმდინარე წლის დასაწყისიდან შეუდგნენ და ამ მიზნით მთელი საქართველო შემოიარეს. ამას მოჰყვა შეკრებები, რეგიონული ნაკრების ჩამოყალიბება და უცხოური ტურნირი. ეს ის გუნდია, რომელიც ორი წლის შემდეგ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება, შესაბამისად, მზადების მთავარი ეტაპები წინაა და მწვრთნელებს საკმაო დრო აქვთ საუკეთესო ფეხბურთელების მოსაძიებლად.

გელა შეყილაძეს დღემდე გაწეულ სამუშაოსა და ნაკრების სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ.

- იმის მიუხედავად, რომ საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრების ჩამოყალიბების პროცესი დიდი ხნის დაწყებული არაა, მაინც მიმაჩნია, რომ მე და ჩემმა სამწვრთნელო შტაბმა დიდი მოცულობის სამუშაო შევასრულეთ. ბუნებრივია, ფეხბურთის ფედერაციის აქტიური მხარდაჭერის გარეშე ეს ვერ მოხდებოდა. საქმე მნიშვნელოვნად გაგვიადვილა რეგიონული ნაკრებების ჩამოყალიბებამ. შევქმენით 15-წლამდელთა შემდეგი ნაკრებები: სამეგრელოს, იმერეთის, აჭარა-გურიის, კახეთის, შიდა ქართლი-სამაჩაბლო-სამცხე-ჯავახეთისა და თბილისი-ქვემო ქართლის. ამ გუნდებს ჩვენთვის მხოლოდ სპარინგპარტნიორის ფუნქცია არ ჰქონიათ. რეგიონებში არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა თამაშობს და იქიდან ყველას მიეცემა საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებში დამკვიდრების შანსი. ასე მაგალითად, იმერეთის ნაკრებიდან ორი მოზარდი მოხვდა იმ 18-კაციან შემადგენლობაში, რომელიც იბიცას საერთაშორისო ტურნირზე წავიყვანეთ.

**- ნაკრების ბირთვი უკვე გამოიკვეთა?**

- ნაკრებში ადგილი გარანტირებული არავის აქვს, თუმცა ნელ-ნელა უკვე გამოჩნდა იმ გუნდის კონტურები, რომელსაც ორი წლის შემდეგ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების სტატუსი ექნება. ნაკრების შეკრებებზე დღეისათვის ჯამში 40-45 ფეხბურთელია ნამყოფი და ეს მხოლოდ დასაწყისია სელექციისა, რომელიც შემდგომ პერიოდში აქტიურად გაგრძელდება. ბევრს ვიშრომებთ და ყველანაირად ვეცდებით, რომ არც ერთი ნიჭიერი მოთამაშე თვალთახედვის არედან არ გამოგვეპაროს. ოფიციალურ მატჩებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ. მზადების საწყისი პერიოდით კი კმაყოფილი ვარ. აქამდე, მოგეხსენებათ, გავიარეთ ორი შეკრება ზუგდიდის „ბაიას" ბაზაზე, ჩავატარეთ ამხანაგური მატჩები რეგიონულ ნაკრებებთან, ბოლოს კი ივნისში იბიცას ტურნირზე ვიასპარეზეთ.

**- რამდენად წარმატებულად გამოვიდა ჩვენი ნაკრები ესპანეთში?**

- იბიცაზე სამი მატჩი მოვიგეთ და მხოლოდ ერთში დავმარცხდით, რაც ახლად შექმნილი გუნდის კვალობაზე უთუოდ დადებითი შედეგია. ჯგუფური ეტაპი წარმატების დავძლიეთ და მეოთხედფინალში დავმარცხდით „ვალენსიას" 15-წლამდელთა გუნდთან, რომელმაც ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა – ფინალში „ბარსელონასთან" წააგო. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ასაკში საერთაშორისო ტურნირები არც თუ ხშირად ტარდება, ესპანურმა შეჯიბრებამ ჩვენი გუნდის მზადების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ბუნებრივია, შეკრებები და ადგილობრივი ამხანაგური შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებს სულ სხვა დატვირთვა აქვს.

**- ამჟამად ნაკრები ვარჯიშობს თუ ფეხბურთელები ისვენებენ?**

- დღეისათვის ნაკრების შეკრება არ მიმდინარეობს, მაგრამ ფეხბურთელები ჩვენ მიერ შედგენილი პროგრამით საკუთარ კლუბებში ინტენსიურად ვარჯიშობენ. მათ კონკრეტული დავალებები აქვთ მიცემული, რომლებსაც კვირაში ექვსი დღის განმავლობაში ასრულებენ.

**- უახლოესი გეგმები როგორი გაქვთ?**

- აგვისტოს ბოლოსთვის დაგეგმილი გვქონდა მინსის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრება, რასაც, სამწუხაროდ, ველარ ვახერხებთ. თუმცა, ოქტომბრისთვის მაინც ვაპირებთ რომელიმე უცხოურ შეჯიბრებაზე წასვლას. წლეულს ჩვენი პროგრამა ამით არ ამოიწურება, ჩავატარებთ შეკრებასა და ამხანაგურ მატჩებს. ამხანაგურად სავარაუდოდ ორჯერ შევხვდებით აზერბაიჯანს, ან შინ, ანაც სტუმრად. რაც შეეხება შეკრებას, თუ „ბასაზე" სარემონტო სამუშაოები დროულად დასრულდება, იქ შევიკრიბებით, თუ არა და ისევ ზუგდიდს მივაშურებთ. სპარინგპარტნიორებს თბილისშიც ვიპოვით და ზუგდიდშიც, შესაბამისად, აღმოსავლეთის ან დასავლეთის რეგიონული ნაკრებების სახით.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გელა შეყილაძე

ლეგიონერი

# კობიაშვილმა ჰერტას უკაპიტნა



**ლევან კობიაშვილმა** ბერლინის „ჰერტა" ავსტრიული „რიდის" წინააღმდეგ საკონტროლო მატჩში მოედანზე კაპიტნის სამკლავურით გაიყვანა. „ჰერტამ" შეხვედრა 3:1 მოიგო, კობიაშვილმა კი ჩვეულებისამებრ, დაცვის მარცხენა ფლანგზე ითამაშა. შესვენებისას ბერლინელთა მთავარმა მწვრთნელმა **მარკუს ბაბელმა** მთელი ძირითადი შემადგენლობა შეცვალა. იმ დროისთვის „ჰერტა" 1:0 იყო დაწინაურებული.

არაა გამორიცხული, სულ მალე კობიაშვილი „ჰერტას" მუდმივ კაპიტნად გამოაცხადონ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ევროპის ლიგა

# დღეს მოდიან...

ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპს შემორჩენილი ორი ქართული გუნდი, ხვალ საპასუხო მატჩებს გამართავს. შეგახსენებთ, რომ უკრაინაში 0:1 დამარცხებული „ზესტაფონი" იმერეთში შეეცდება „კარპატის" დაპყრობას. „დინამო" კი „ეროვნულზე" „შტურმს" რევანშს შტურმით ჰპირდება.

ჩვენი გუნდების მეტოქეები დღეს გვეწვევიან. პირველად ავსტრიელები გვეწვევიან და ჯერ მათზე ვთქვათ:

გრაცის „შტურმი" დღეს ნაშუადღევის 2 საათზე ჩამოფრინდება. ავსტრიელები სასტუმრო „რედისონში" დაბინავდებიან. გრაცელებს ჟურნალისტთა გარდა ასამდე გულშემატკივარი ჩამოჰყვება. „შტურმი" ეროვნულ სტადიონზე 19 საათზე ივარჯიშებს. ჟურნალისტებს წვრთნაზე დასწრება მხოლოდ საწყისი 15 წუთის განმავლობაში შეეძლებათ. გრაცელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი **ფრანკო ფოდა** ვარჯიშამდე, 18:30 საათზე მასმედიის კითხვებს უპასუხებს. ავსტრიელთა შემდეგ, 20:30 საათზე ეროვნულ სტადიონზე უკვე „დინამო" გამართავს ვარჯიშს. ხვალ, 5 აგვისტოს კი „დინამო"-"შტურმის" მატჩი ეროვნულ არენაზე 20:30 საათზე დაიწყება. მატჩზე დასასწრები ბილეთის ფასი 2 ლარია. შეხვედრას სერბი მსაჯები გაუძღვებიან. მატჩის არბიტრი **მილორად მაჟიჩი** იქნება.

ახლა მეორე წყვილზე ვთქვათ. ზესტაფონელთა მეტოქე ლვოვის „კარპატი" დღეს 15 საათზე კოპიტნარის აეროპორტში ჩამოფრინდება. ლვოველთა გუნდი ქუთაისში სასტუმრო „ბაგრატში" დაბინავდება. უკრაინელები მრავალრიცხოვანი დელეგაციით გვეწვევიან. მათ დელეგაციაში ჟურნალისტებსა და ფანკლუბის გარდა, ქალაქ ლვოვის მუნიციპალიტეტის ოცამდე წარმომადგენელიც იქნება. „კარპატის" მთავარი მწვრთნელი **ოლეგ კონონოვი** გუნდს 19 საათზე ავარჯიშებს, საათის შემდეგ კი „დავით აბაშიძეზე" უკვე „ზესტაფონი" ივარჯიშებს. „ზესტაფონი"-"კარპატის" მატჩი 20 საათზე დაიწყება. მატჩზე დასაწრები ბილეთის ფასი 5 და 7 ლარია. თამაშს ნორვეგიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. არბიტრი **ტომი შერვენი** იქნება.

როგორც ადრე ვწერდით, საეჭვო იყო, რომ ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, ზესტაფონელებს მეტოქისთვის მშობლიურ არენაზე ემასპინძლათ. თუმცა კლუბის მესვეურთა და ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი ძალისხმევით ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. თუმცა მესამე რაუნდში მატჩის მასპინძლობისთვის უეფას უფრო მეტი მოთხოვნა აქვს და ზესტაფონის არენაზე გარკვეული სამუშაოები შესრულდა, რაზეც კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძემ** მოგვითხრო.

კერძოდ, „კარპატისთან" მატჩში ზესტაფონის არენაზე პირველად გამოჩნდებიან სტიუარდები. თამაშს 30 სტიუარდი მოემსახურება, რომელთაც უკვე გაიარეს სპეციალური ტრენინგები. ამასთან, საპრესკონფერენციო დარბაზი ამიერიდან უკვე 50 მასმედიელს დაიტევს. ასევე მოიმატა სტადიონის ტევადობამ. ახალი სკამების დამონტაჟების შემდეგ, „დავით აბაშიძეზე" ტევადობა 4 558-მდე გაიზარდა. ფოტოკორესპონდენტების სამუშაო პირობები გაუმჯობესდა და სტადიონის ავტოსადგომი ახლა უკვე 100-ით მეტ მანქანას დაიტევს.

**დავით ცაბაძე**

ფუტზალი

# იბერია პირდაპირ ძირითად ეტაპზე

14 აგვისტოს ევროპული საკლუბო ფუტზალის უმნიშვნელოვანესი საკლუბო ტურნირი, უეფას ფუტზალის თასი იწყება. ეს შეჯიბრება ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ მასში კვლავ მონაწილეობს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი „იბერია სტარი". შეგახსენებთ, თბილისურმა კლუბმა შარშან უეფას ფუტზალის თასზე საკმაო წარმატებით იასპარეზა. „იბერიამ" ძირითადი ჯგუფური ტურნირი დაძლია და ელიტრაუნდში, ანუ ევროპის საუკეთესო 16 კლუბს შორის მოხვდა, სადაც ერთი მატჩის მოგება შეძლო.

შარშანდელი და წინა წლებში მიღწეული წარმატებების გამო „იბერია" გათავისუფლებულია საკვალიფიკაციო რაუნდისგან, რომელიც 14-22 აგვისტოს გაიმართება. ქართული კლუბი პირდაპირ მოხვდა ძირითადი რაუნდის მე-4 ჯგუფში, რომელსაც 25 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე ჩეხეთი უმასპინძლებს და მისი მეტოქეები ჩეხური „ჩრუდიმი" და ბელარუსული „რაპიდი" იქნებიან. „იბერიას" კიდევ ერთი მოწინააღმდეგე კი საკვალიფიკაციო ეტაპის F ჯგუფის გამარჯვებული გახდება. ამ ჯგუფში უნგრული „დიორი ეტო", ინგლისური „ჰელვესია", შვეიცარიული „აპენცელი" და ანდორული „ენკამპი" ითამაშებენ.

ელიტრაუნდში გასასვლელად „იბერიას" ჯგუფის ორ საუკეთესო გუნდში მოხვედრა სჭირდება. ელიტრაუნდი 12-20 ნოემბერს გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ამბები

## რონალდინიო დროზე ადრე დაბრუნდა

ტრავმის შემდეგ, **რონალდინიომ** სრული დატვირთვით ვარჯიში დაგეგმილზე ადრე განაახლა. „მილანის" ექიმების თავდაპირველი ვარაუდით, 30 წლის ბრაზილიელს ლაზარეთში ერთი თვე უნდა გაეტარებინა, მაგრამ ტრავმა მოსალოდნელზე ნაკლებად სერიოზული აღმოჩნდა.

რონალდინიოს გარდა, ტრავმების მოშუშების შემდეგ ვარჯიში „მილანის" კიდევ სამმა ფეხბურთელმა დაიწყო - **მასიმო ამბროზინიმ, ანდრეა პირლომ და ფილიპო ინძაგიმ.**

## რუბინი გუისას ეპატიჟება

ყაზანური კლუბი თურქულ „ფენერბაჰჩესთან" 30 წლის **დანიელ გუისას** შეძენის თაობაზე ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. შეგახსენებთ, ესპანელი თავდამსხმელი 2008 წელს თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა და „ფენერბაჰჩეში" კარიერა სწორედ ამის შემდეგ განაგრძო. ჯერჯერობით, უცნობია რა თანხის გადახდას აპირებს „რუბინი" მის სანაცვლოდ.

## ფიფამ ფინალისტები დააჯარიმა

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ფეხბურთელთა ზღვარგადასული უხეშობის გამო ფიფამ ესპანეთისა და ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციები დააჯარიმა.

ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელებმა ფინალში რვა გაფრთხილებასა და ერთ გაძევებას „გამოჰკრეს ხელი", რისთვისაც ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია 14 480 აშშ დოლარს გადაიხდის. მუნდიალის გადამწყვეტი მატჩის არბიტრმა, ინგლისელმა **ჰოვარდ ვებმა** ესპანელ ფეხბურთელებს ხუთი ყვითელი ბარათი უჩვენა, რაც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას 9 650 დოლარად დაუჯდა.

ფიფამ ეს გადაწყვეტილება დისციპლინარული კოდექსის იმ მუხლით მიიღო, რომლის მიხედვითაც მას იმ ფედერაციის დასჯის უფლება აქვს, რომლის ნაკრების წევრებიც ერთ მატჩში ხუთ და მეტ გაფრთხილებას მიიღებენ.

ესპანეთი-ჰოლანდიის ფინალი მუნდიალის ყველა დროის ფინალებს შორის ყველაზე უხეში გამოდგა. მანამდე ამ მაჩვენებლით 1986 წლის არგენტინა-გერმანია ლიდერობდა, სადაც მსაჯმა ყვითელი ბარათი ჯიბიდან საერთო ჯამში ექვსჯერ ამოიღო.

ესპანელებსა და ჰოლანდიელებს ამ ჯარიმის გადახდა ნამდვილად არ გაუჭირდებათ, რადგან ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონობისთვის 30 მილიონი დოლარი მიიღო, ჰოლანდიისამ კი ვიცე-ჩემპიონობისთვის - 24 მილიონი.

## ბიელსა დარჩა

ჩილეს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მარსელო ბიელსა** ამჟამინდელ დაკავებულ პოსტზე კიდევ ხუთი წლის განმავლობაში იმუშავებს. არგენტინელმა სპეციალისტმა ჩილეს ფეხბურთის ფედერაციასთან ახალი კონტრაქტი უკვე გააფორმა.

აღსანიშნავია, რომ ბიელსას ხელმძღვანელობით ჩილეს ნაკრებმა მუნდიალებზე ბოლო 48 წლის განმავლობაშიპირველ გამარჯვებას მიაღწია. შეგახსენებთ, მუნდიალზე ჩილელებმა ჰონდურასსა და შვეიცარიასთან გაიმარჯვეს, ბრძოლა კი მერვედფინალში შეწყვიტეს ბრაზილიასთან.

## რა ხდება მაიკონის გარშემო?

როგორც „მარკა" იტყობინება, ინტერელი **დუგლას მაიკონის** „რეალში" გადასვლის ალბათობა შემცირდა მას შემდეგ, რაც ფეხბურთელის აგენტმა ვერ შეძლო მადრიდელებთან მოლაპარაკება პირადი კონტრაქტის ფინანსურ პირობებთან დაკავშირებით.

გამოცემის მიხედვით, ბრაზილიელს წელიწადში შვიდი მილიონი ევროს მიღება სურს, მაგრამ სამეფო კლუბის თავკაცობას მისთვის ამ თანხის გადახდა არ სურს.

თუმცა არის სხვა ინფორმაციებიც. კერძოდ, ასევე ესპანური გამოცემა „ასი" იტყობინება, თითქოს მაიკონმა „რეალთან" პერსონალური კონტრაქტის პირობები უკვე შეათანხმა. მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, ოფიციალურ განცხადებას დაველოდოთ.

## სუდანს მოკვეთა ემუქრება

იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთის ადგილობრივი ფედერაცია პრეზიდენტს 15 აგვისტომდე არ გადაირჩევს, სუდანის ნაკრები და კლუბები ფიფას ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო შეჯიბრებებიდან მოიკვეთებიან.

მსოფლიო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა იმით, რომ სუდანის მთავრობამ **ქამალ შადადს** არ მისცა უფლება, მესამე ვადით ეყარა კენჭი ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

26 ივლისს ჩატარებული არჩევნების შედეგად, სუდანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **მუტაზიმ ჯაფარი** გახდა.

## რეალს ტიაგო სილვაც სურს

„რეალმა" „მილანის" ოცდახუთი წლის მცველის, **ტიაგო სილვას** შეძენის სურვილი გამოთქვა. „მარკას" თანახმად, ესპანური კლუბი მზადაა ბრაზილიელში გადაიხადოს 20 მილიონი ევრო და „მილანს" **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ყიდვის ნებაც მისცეს. მილანელები მადრიდელთა შეთავაზებას მალე გამოეხმაურნენ და სილვაში 30 მილიონი მოითხოვეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესპანეთი — ლა ლიგას სატრანსფერო მიმოხილვა

# პრიმერა ივსება

## ჩიგარინი სევილიაში გადავიდა...

ევროპაში სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე თითქმის თვე დარჩა და ესპანური კლუბებიც განაგრძობენ ახალი სეზონისათვის კომპლექტაციას. ესპანურმა პრიმერამ შევსება იტალიიდან მიიღო - ყველაფერი შეთანხმებულია და მალე იტალიელი პლეიმეიკერი **ლუკა ჩიგარინი** იჯარის წესით „სევილიას" ფეხბურთელი გახდება. 24 წლის ჩიგარინის ახლანდელი კლუბი „ნაპოლი" და „სევილია" უკვე შეთანხმდნენ - ფეხბურთელი 2010/11 წლების სეზონს ანდალუსიაში გაატარებს და კლუბს ჩემპიონთა ლიგაში დამკვიდრებაში დაეხმარება. სეზონის ბოლოს „სევილიას" ჩიგარინის გამოსყიდვის უფლება ექნება, თუ იტალიელი ესპანეთში თავს გამოიჩენს, მას 4-წლიან კონტრაქტს გაუფორმებენ. ამ შემთხვევაში ესპანელებს იტალიელის სანაცვლოდ 8 მილიონი ევროს გაღება მოუწევთ. *„სატრანსფერო საკითხი შეთანხმებულია, როგორც კი ფეხბურთელი ჩამოვა სევილიაში, ის სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტზე ხელს მოაწერს"*, - ვკითხულობთ „სევილიას" ოფიციალურ ვებსაიტზე.

ლუკა ჩიგარინის გუშინ ელოდნენ ანდალუსიაში, თუმცა ფეხბურთელმა ფრენაზე უარი განაცხადა. მიზეზი კი გრიპია, ჩიგარინის 39 გრადუსი სიცხე აქვს და, ბუნებრივია, ასეთ პირობებში ის სრულფასოვან სამედიცინო შემოწმებას ვერ გაივლის. „სევილიას" ბოსებს მოცდა მოუწევთ, როდის გამოჯანმრთელდება ნახევარმცველი.

ჩიგარინი პირველად „პარმას" შემადგენლობაში გამოჩნდა და თანაგუნდელ **დანიელე დესენასთან** ერთად სპეციალისტების ყურადღება მიიქცია. როცა 2008 წელს „პარმა" სერია A-დან გავარდა, ჩიგარინი „ატალანტაში" გადავიდა, სადაც ერთი სეზონი გაატარა. შარშან ზაფხულში კი ფეხბურთელი 5 წლით „ნაპოლიმ" შეიძინა. შარშანდლამდე ჩიგარინი იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა, სადაც 20 მატჩში 1 გოლი გაიტანა. ენერგიულმა ნახევარმცველმა იტალიის ოლიმპიურ ნაკრებშიც ითამაშა, რომელსაც **პიერლუიჯი კაზირაგი** წვრთნიდა. სხვათა შორის, „სევილია" მხოლოდ როდი იძენს: ახლახან ანდალუსიური კლუბი 27 წლის ცენტრალურ მცველ **დავიდ პრიეტოს** შეელია, რომელიც „ხერესს" უსასყიდლოდ დაუთმო. გასული სეზონი პრიეტომ სწორედ „ხერესში" გაატარა იჯარით. შეგახსენებთ, რომ სწორედ პრიეტოს ერგო 2007 წელს გარდაცვლილი **ანტონიო პუერტას** 16-ნომრიანი მაისურა „სევილიაში".

გალისიური „დეპორტივო" შეელია 29 წლის ფორვარდ **რუბენ კასტროს**, რომლის სანაცვლოდაც სეგუნდა დივიზიონის „ბეტისმა" 1,5 მილიონი ევრო გადაიხადა (სეგუნდა დივიზიონის სეზონის რეკორდი). მართალია, რუბენი 2004 წლიდან „დეპორის" ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ მან იჯარით მრავალი კლუბი მოიარა („ალბასეტე", „რასინგი", „ხიმნასტიკი", „უესკა" და „რაიო ვალეკანო"). როგორც ჩანს, რუბენი „დეპორტივოში" დამკვიდრებაზე ოცნებას შეეშვა. „ხეტაფემ" 2 მილიონ ევროდ „უელვას" ფორვარდი **ადრიან კოლუნგა** შეიძინა. 25 წლის კოლუნგამ გასული სეზონის მე-2 ნახევარი იჯარით „სარაგოსაში" გაატარა და თავი კარგად წარმოაჩინა - 16 თამაშში 7 გოლი გაიტანა. კოლუნგა თამაშის სტილით **დავიდ ვილიას** წააგავს.


ლუკა ჩიგარინი პრიმერაში მოსინჯავს ძალებს

პრიმერა დივიზიონში ითამაშებს გასული სეზონის სეგუნდას ერთპიროვნული ბომბარდირი **კრისტიან სტუანი**. 23 წლის ურუგვაელი იტალიური „რეჯინას" წევრია, თუმცა ბოლო სეზონი მან „ალბასეტეში" გაატარა იჯარით და 39 თამაშში 23 გოლი გაიტანა. სტუანი ახლაც იჯარით ითამაშებს, ოღონდ, პრიმერაში დაწინაურებულ „ლევანტეში".

გაგიკვირდებათ და, 22 წლის პაუზის შემდეგ დაბალი დივიზიონებიდან სეგუნდაში დაბრუნებულ „გრანადას" მსოფლიოს ჩემპიონატის ორი მონაწილე ეყოლება სეზონში, თანაც ორივე საკმაოდ პერსპექტიული ფეხბურთელი: 24 წლის ჩილელი **ფაბიან ორელანა** და 20 წლის განელი **ჯონათან მენსა**. ანდალუსიურმა კლუბმა, რომელსაც „ოქროს ხანა" 70-იან წლებში ჰქონდა, როცა მუდამ უმაღლეს დივიზიონში ასპარეზობდა, საინტერესო სატრანსფერო პოლიტიკა აწარმოა. ორ მუნდიალელზე უკვე გითხარით და, კლუბში იჯარით აიყვანეს, რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც პრიმერაში ასპარეზობის გამოცდილება აქვს. მაგალითად, **ალექს ბერგანტინიოსი** „დეპორტივოდან". ამასთან „გრანადას" ხელშეკრულება აკავშირებს იტალიურ „უდინეზესთან", რომელიც მას ისეთი ფეხბურთელებით ამარაგებს, რომელთაც თავი ვერ დაიმკვიდრეს სერია A-ში.

### ესპანური ტრანსფერები
(27 ივლისიდან დღემდე)

| ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|
| ჯონ. დე გუზმანი (ჰოლ) | ფეიენოორ. (ჰოლ) | მალიორკა | თავ. აგენტი |
| მიგელ ანხელ კორდერო | რეალ B | ხერესი | თავ. აგენტი |
| ფელიპე მატიონი (ბრა) | მალიორკა | ესპანიოლი | თავ. აგენტი |
| პერე მარტი | მალაგა | კასტელონი | თავ. აგენტი |
| ხოსე მორატონი | რასინგი | სალამანკა | თავ. აგენტი |
| სებ. ფერნანდესი (ურუ) | ბანფილდი (არგ) | მალაგა | 4 მლნ. ევრო |
| დავიდ პრიეტო | სევილია | ტენერიფე | თავ. აგენტი |
| კრისტიან სტუანი (ურუ) | რეჯინა (იტ) | ლევანტე | იჯარა |
| იაგო ფალკე | იუვენტუსი (იტ) | ვილიარეალი B | იჯარა |
| ხორხე ალონსო | ერკულესი | ვალიადოლიდი | თავ. აგენტი |
| ალბერტო მარკოსი | ვალიადოლისი | უესკა | თავ. აგენტი |
| მანუელ ლოსანო | მალაგა | პონფერადინა | თავ. აგენტი |
| როდრიგო გალატო (ბრა) | ატლ. პარან. (ბრა) | მალაგა | თავ. აგენტი |
| ნიკოლას პარეხა (არგ) | ესპანიოლი | სპარტაკი (რუს) | 10 მლნ. ევრო |
| სამი ხედირა (გერ) | შტუტგარტი (გერ) | რეალი | 12 მლნ. ევრო |
| ხოსე მალდონადო | სპორტინგი | კარტახენა | თავ. აგენტი |
| დავიდ კორტესი | ხეტაფე | ერკულესი | თავ. აგენტი |
| მანუჩო (ანგ) | ვალიადოლიდი | ბურსასპორი (თურ) | იჯარა |
| ტომ დე მული (ბელ) | სევილია | სტანდარდი (ბელ) | იჯარა |
| რაფაელ მარკესი (მექ) | ბარსელონა | ნიუ იორკი (აშშ) | თავ. აგენტი |
| ანხელ მარტინესი | ესპანიოლი | ხირონა | იჯარა |
| დანიელ კარილი | ლევანტე | ლას პალმასი | თავ. აგენტი |
| რაულ ტამუდო | ესპანიოლი | რეალ სოსიედადი | თავ. აგენტი |
| კარლოს მარჩენა | ვალენსია | ვილიარეალი | 2,2 მლნ. ევრო |
| ადრიან კოლუნგა | უელვა | ხეტაფე | 2 მლნ. ევრო |
| კეპა ბლანკო | ხეტაფე | უელვა | იჯარა |
| რუბენ კასტრო | დეპორტივო | ბეტისი | 1,5 მლნ. ევრო |
| ლუკა ჩიგარინი (იტ) | ნაპოლი | სევილია | იჯარა |
| იური ბერჩიჩე | ვალიადოლიდი | უნიონი | თავ. აგენტი |

აბრაკადაბრა რეალში

# რონალდომ რაულის, ბენზემამ რონალდოს, დი მარიამ ბენზემას, ჩაბიმ გუტის...

„რეალში" დიდი გადანაცვლებებია მოსალოდნელი - ამჯერად, ჩვენ მხოლოდ ნომრების განაწილებას ვგულისხმობთ. ყველაფერს კი სათავე **რაულის** წასვლამ დაუდო. „შალკეში" გადასულმა „რეალის" ლეგენდამ **კრიშტიანო რონალდოსთვის** სანუკვარი შვიდიანი გამოათავისუფლა, რაზეც უმალ განაცხადა პრეტენზია პორტუგალიელმა. რონალდომ ეს ჯერ კიდევ მაშინ გამოთქვა, როცა რაულის ტრანსფერი ბოლომდე გადაწყვეტილი არ იყო, რითაც გულშემატკივართა უკმაყოფილება გამოიწვია.

სპეციალისტებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ უპრიანი იქნებოდა, თუკი რაულის 7-იანი სამუდამოდ დაიდებდა ბინას „რეალის" მუზეუმში და მას აღარავინ ჩაიცვამდა, მაგრამ ესპანეთში ასეთი პროცესი ძალზე რთულად გასახორციელებელი, თითქმის შეუძლებელიც კია - როცა „სევილიას" მცველი **ანტონიო პუერტა** გარდაიცვალა, ანდალუსიელებს სურდათ მისი 16-ნომრიანი მაისურის გაუქმება, მაგრამ არ გამოუვიდათ.

ამიტომაც, კრიშტიანო რონალდო, დიდი ალბათობით, მიიღებს 7-ნომრიან მაისურას და ახალ სეზონში „შვიდიანით" ისპარეზებს. ნომრების შეცვლა მხოლოდ ამით არ დასრულდება, პორტუგალიელი ხომ ასევე პრესტიჟულ 9-იანს გამოათავისუფლებს. 9-იანზე პრეტენზია არ გამოუთქვამს **გონსალო იგუაინს**, რომელმაც განაცხადა, რომ ურჩევნია ისევ 20 ნომრით ითამაშოს „რეალში". *„რაც მოვედი, ეს ნომერი მაქვს და შეცვლის სურვილი არ გამაჩნია. ფეხბურთს მოთამაშეები თამაშობენ და არა ნომრები"*, - განაცხადა „ელ პაისტამ".

სამაგიეროდ, 9-იანი ფრანგმა **ქარიმ ბენზემამ** მოინდომა. ბენზემა დღეისათვის „რეალის" 11 ნომერია, მაგრამ „ცხრიანით" „სამეფო კლუბში" **ალფრედო დი სტეფანოს, უგო სანჩესსა** და ბრაზილიელ ფორვარდ **რონალდოს** უასპარეზიათ. სხვათა შორის, „კიჭამაც" ბენზემას დარად, ჯერ 11 ნომრით დაიწყო კარიერა „ბერნაბეუზე" და შემდეგ გადავიდა 9-იანზე. ბენზემას ძველ ნომერს კი „რეალის" არგენტინელი ახალწვეული **ანხელ დი მარია** დაეპატრონება. აქ კი წრე შეიკრა...

რაც შეეხება, „რეალის" კიდევ ერთი ლეგენდარული ფეხბურთელის, გუტის მიერ გამოთავისუფლებულ 14-ნომრიან მაისურას... აქ ყველაფერი ძალზე ბუნებრივად მოხდა - 14-იანს **ჩაბი ალონსო** ჩაიცვამს, რომელიც ზუსტად ამ ნომრით ასპარეზობდა „რეალში" და ეროვნულ ნაკრებშიც.

ამით „რეალში" ნომერთა ცვილებები არ დასრულდება, ჩაბი ალონსომ ხომ 22-ნომრიანი მაისურა გამოათავისუფლა! მასზე პრეტენზიას ორი ახალწვეული აცხადებს - **პედრო ლეონი** და **სერხიო კანალესი**. თუმცა არჩევანის პრიორიტეტი კანალესს ექნება, პედრო ლეონი კი ალბათ 21 ნომრით დაკმაყოფილდება. **სამი ხედირამ** 16-ნომრიანი მაისურა კი შეარჩია, მაგრამ შეიძლება გერმანელმა სეზონი მაინც სხვა ნომრით დაიწყოს, თუკი **მაჰამადუ დიარა** გუნდიდან წავა, სამის 6-ნომრიანით თამაში ურჩევნია. შეგახსენებთ, რომ ხედირამ მუნდიალზე სწორედ „ექვსიანით" ითამაშა.

„რეალში" კიდევ ერთი პრესტიჟული ნომერი გამოთავისუფლდა - 2-იანი. არა, **ალვარო არბელოა** არსად გადასულა, მაგრამ მან გადაწყვიტა, რომ 17-მა ნომერმა მას დიდი წარმატება მოუტანა (სამხრეთ აფრიკაში არბელოა 17 ნომრით თამაშობდა) და კლუბშიც 17-ნომრიანი მაისურა აირჩია. მოკლედ, გაგრძელება იქნება...

### კასილიასიც ჩავიდა

ცოტაც და, **ჟოზე მოურინიოს** სრული გუნდი ეყოლება ლოს-ანჯელესში. ორშაბათ საღამოს „სამეფო კლუბის" დროებით ბაზას მსოფლიოს ჩემპიონთა კაპიტანმა **იკერ კასილიასმა** ჩააკითხა. ვარჯიში უკვე დასრულებული იყო, ასე რომ, გოლკიპერი პირდაპირ სასტუმროში მივიდა. მოურინიოს განკარგულებაში ახლა 27 ფეხბურთელია. შვებულებაში მხოლოდ ორი დარჩა: **ჩაბი ალონსო და სერხიო რამოსი**.



რონალდომ და ბენზემამ ოცნება აისრულეს

ტრანსფერი

# როდრიგო ბენფიკასთვის გაიტანს




ბრაზილიური წარმოშობის ესპანელმა ფორვარდმა **როდრიგომ** ლისაბონის ბენფიკასთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პორტუგალიური მედიის ცნობით, მადრიდის „რეალმა", რომელსაც 19 წლის ფეხბურთელი ეკუთვნის, დაახლოებით 6 მილიონი ევრო მიიღო. ხელშეკრულებაში ერთი ასეთი პუნქტია - თუკი „რეალის" ხელმძღვანელობას როდრიგოს თამაში მოეწონება, შეუძლია სეზონის ბოლოს ახალგაზრდა ფეხბურთელი უკან გამოისყიდოს, გარკვეული თანხის (დაახლოებით ორჯერ მეტი, ვიდრე ეს ტრანსფერი) საფასურად. *„ძალიან ბედნიერი ვარ, „ბენფიკაში" თამაში ბევრი ახალგაზრდის ოცნებაა"*, - განუცხადა „ა ბოლას" ესპანელმა.

როდრიგო მორენო მაჩადო, მართალია, რიოში დაიბადა, მაგრამ ბავშვობიდან ესპანეთში იზრდებოდა, სადაც „სელტას" ახალგაზრდულ გუნდში გამოდიოდა. შარშანდელი სეზონი როდრიგომ „რეალ C"-ში დაიწყო და „სამეფო კლუბის" სარეზერვო გუნდში დაასრულა. როდრიგო ახლახან დასრულებულ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობდა და ფინალში გოლიც გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

მილანი

## მასიმილიანო ალეგრი

# ახალი მილანი ძველ დიდებას დაიბრუნებს


მასიმილიანო ალეგრი

**მასიმილიანო ალეგრის** პერსონისადმი იტალიაში ძალიან დიდი ინტერესია, რაც ნამდვილად არ გახლავთ გასაკვირი. პერსპექტიულ და მეტად ნიჭიერ სპეციალისტად შერაცხილი „მილანს“ ჩაუდგა სათავეში და უნდა დაამტკიცოს, რომ მასზე ტყუილად არ გაიცა უამრავი ავანსი. ჯერ კიდევ „კალიარის“ მთავარი მწვრთნელი იყო, როდესაც მისი მომავალი ევროპული ფეხბურთის არაერთ ალიარებულ გრანდს დაუკავშირეს – თუნდაც ტურინის „იუვენტუსს“ და მილანის „ინტერს“. რაც ასევე ძალიან საინტერესოა, ალეგრის კანდიდატურა განიხილებოდა ეროვნული ნაკრების მესაჭის პოსტზეც. არადა, მასიმილიანოს „კალიარისთან“ ერთად მწვერვალები ნამდვილად არ დაუპყრია, უბრალოდ, მისი გუნდი მეტად ორგანიზებულ ფეხბურთს თამაშობდა და კერკეტი მოწინააღმდეგე გახლდათ ნებისმიერი რანგის გუნდისთვის. იტალიელმა საფეხბურთო ექსპერტებმა მასში დიდი ნიჭი დაინახეს, არაერთი რეკომენდაცია გაუწიეს და საერთოდაც, ალეგრის პოპულარიზაცია დიდწილად სწორედ მათ განაპირობეს. როდესაც საფეხბურთო ექსპერტებზე ვსაუბრობთ, ბევრს ეს შესაძლოა სიტყვის მასალა ეგონოს, მაგრამ დამიჯერეთ, ეს ასე ნამდვილად არ არის. იტალიაში აღნიშნული სკოლა ძალიან განვითარებულია და საფეხბურთო ექსპერტები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ – ისინი შეგვიძლია ცნობილ პოლიტოლოგებს შევადაროთ. მაშ ასე, ქვემოთ ძალიან საინტერესო ინტერვიუს შეგიძლიათ გაეცნოთ, რომელიც „მილან ჩენელის“ ჟურნალისტმა საფეხბურთო ექსპერტების რჩეულ მასიმილიანო ალეგრისთან ჩაწერა...

**- როგორი განწყობით ხვდებით ახალ სეზონს?**

- შესანიშნავი განწყობა მაქვს და რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში ვარ. მომეცა შანსი, ევროპული ფეხბურთის გრანდი გავწვრთნა და ეს მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო. „მილანში“ დიდი ხნით მინდა დარჩენა, რათა ახალი ეპოქა შევქმნა და იმედია, ეს ასეც იქნება. მთავარია, რომ გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა, რაც ოპტიმიზმით აღმავსებს. ვგრძნობ, რომ ფეხბურთელებს სჯერათ ჩემი და მეც მჯერა მათი. სწორედ ამ ორმხრივ ნდობასა და ურთიერთგაგებაზე უნდა დაფუძნდეს ახალი „მილანი“, რომელიც ძველ დიდებას დაიბრუნებს.

**- წარმოიდგენდით ოდესმე, რომ ერთ მშვენიერ დღეს „მილანს“ ჩაუდგებოდით სათავეში?**

- ვერა, რადგან ამ სფეროში იტალიაში ძალიან დიდი კონკურენციაა. ფეხბურთელთა უმეტესობა კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას იწყებს და ერთ წარმატებულ სპეციალისტზე, ასი წარუმატებელი მოდის. წარმატების მიღწევის გაცილებით მეტი შანსი აქვთ სახელოვან ფეხბურთელებს, რომლებიც წლების განმავლობაში გულშემატკივართა უდიდესი სიყვარულით სარგებლობდნენ. მე ესეც არ მიწყობდა ხელს და ბუნებრივია, არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ამხელა კონკურენციაში წარმატებას მივაღწევდი. იყო „მილანის“ მთავარი მწვრთნელი, უდიდესი პატივია და ჩემში სიამაყის გრძნობას იწვევს.

**- ხშირად ამბობენ, რომ სილვიო ბერლუსკონიმ ისეთ მწვრთნელზე შეაჩერა არჩევანი, რომელიც მას ბოლომდე დაუჯერებს...**

- ბერლუსკონის შესახებ საზოგადოებაში არასწორი წარმოდგენაა შექმნილი. სილვიოს ფეხბურთი სიგიჟემდე უყვარს და ის, რომ საკუთარ მოსაზრებას ხშირად აფიქსირებს, სამწვრთნელო საქმიანობაში ჩარევას ნამდვილად არ ნიშნავს. ბერლუსკონი ორი თავდამსხმელით თამაშის მომხრეა და ეს ყველამ ვიცით, მაგრამ გავიხსენოთ გასული სეზონის „მილანი“ და გამოვიტანოთ დასკვნა, ახდენდა თუ არა გავლენას სილვიო ლეონარდოს მუშაობაზე? „როსონერიმ“ მთელი სეზონი ერთი ფორვარდით იასპარეზა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ლეო თავის ქმედებებში აბსოლუტურად თავისუფალი იყო. არადა, როდესაც ბრაზილიელი „მილანის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნა, მაშინაც ანალოგიური განცხადებები კეთდებოდა. მერწმუნეთ, ბერლუსკონიმ სრული კარტბლანში მომცა.

**- ამბობენ, რომ ორი ფორვარდით აპირებთ თამაშს, ანუ, ბერლუსკონი კმაყოფილი იქნება...**

- ერთ-ერთი საბაზო ტაქტიკა აუცილებლად 4-4-2 იქნება, რადგან ფეხბურთელთა არჩევანი გვაძლევს ამ სქემით ასპარეზობის საშუალებას. გვყავს რონალდინიო, რომელსაც იდეალურად შეუძლია გამთამაშებლის ფუნქციების შესრულება. ძალიან მონდომებული გახლდათ ვარჯიშებზე, თუმცა დაშავდა და მცირე ხნით ლაზარეთში გადაინაცვლა. გაუჩოს დიდი იმედი მაქვს, ის უნდა გაუძლევს გუნდს. რაც შეეხება ფორვარდთა ტანდემს, რესურსი აქაც დიდია: ალეშანდრე პატო, მარკო ბორიელო, კლას-იან ჰუნტელაარი, ფილიპო ინძაგი. იმათ დავაყენებ ძირითად შემადგენლობაში, ვინც მოცემული მომენტისთვის უკეთეს ფორმაში იქნება. გარდა 4-4-2-სა, მუშავდება კიდევ არაერთი ტაქტიკური მონახაზი, მათ შორის 4-2-3-1.

**- სატრანსფერო გეგმებზე რას გვეტყვით?**

- გუნდი ძალიან კარგად არის დაკომპლექტებული და მთლიანობაში, კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ მაღალი კლასის ფეხბურთელის შეძენის შანსი გამოჩნდა, უარს ვიტყვით. მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმის ხაზში არჩევანი ისედაც დიდია, მაინც ვფიქრობთ ფორვარდის შეძენაზე და წესით, უახლოეს დღეებში ბევრ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. რამდენიმე მიმართულებით მიდის მოლაპარაკებები, თუმცა დღეს კონკრეტულ გვარებზე ვერ ვისაუბრებ.

**- ლუკას ბარიოსი, ლუიშ ფაბიანო, მანუელე ბლაზი, მაჰამადუ დიარა...**

- თითოეული მათგანი ძალიან საინტერესო ფეხბურთელია, მაგრამ ოთხივეს გადაბირებას ნამდვილად არ ვაპირებთ. ბარიოსი ძალიან მომწონს და ვნახოთ, რას იტყვიან გერმანელები, ფაბიანო კი ძვირი ღირს და ამ პრობლემას „მილანი“ უკვე მესამე წელია აწყდება. რაც შეეხება ნახევარმცველებს, ეს საკითხი მხოლოდ მაშინ დადგება დღის წესრიგში, თუკი ჯენარო გატუზო გუნდიდან წასვლას გადაწყვეტს. ჩემი ბოლო ინფორმაციით, რინო დარჩენას აპირებს და შესაბამისად, ახალი საყრდენი ნახევარმცველის შეძენის აზრს ვერ ვხედავ. ძალიან გამიხარდა, როდესაც გატუზოს განზრახვის შესახებ გავიგე, გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია და მასთან განშორების არავითარი სურვილი არ მქონდა.

**- თუ „მილანი“ კვლავაც უტიტულოდ დარჩა, დიდია შანსი, წამყვანი ფეხბურთლები კლუბიდან გაიქცნენ...**

- მართალი ხართ და ეს არ უნდა დავუშვათ. მაგალითისთვის ალეშანდრე პატოს მოყვანაც კმარა, რომელსაც ოქროს ასაკი უდგას და ტიტულების მოგება სწყურია. კიდევ ერთმა წარუმატებელმა სეზონმა „მილანი“ შეიძლება ძალიან მძიმე დღეში ჩააგდოს და ეს კარგად ესმით კლუბის მესვეურებს. ამიტომ, ორმაგად სასიამოვნოა, რომ ასეთ დროს არჩევანი ჩემზე შეაჩერეს და გუნდის გაძღოლა მომანდვეს. ამასთან, ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რომელიც კიდევ უფრო დიდ სტიმულს მაძლევს.

**- როგორ ფიქრობთ, დაასუსტა „ინტერი“ მოურინიოს წასვლამ?**

- ამაზე პასუხი სეზონის ბოლოს გვეცოდინება, თუმცა ჩემი ვარაუდით, „ინტერი“ ძველებურად ძლიერი იქნება და ყველა ფრონტზე მაქსიმალური მიზნებისთვის იბრძოლებს. სიმართლე გითხრათ, მოურინიოს ფორმაციის „ინტერის“ ჰეგემონიის დამხობა მსურდა, მაგრამ რა გაეწყობა, მომიწევს, რაფაელ ბენიტესს გავუწიო კონკურენცია. ესპანელს უდიდეს პატივს ვცემ, რადგან ვფიქრობ, რომ „ლივერპულში“ განუზომლად დიდი სამუშაო გასწია. მან ძველი დიდება დაუბრუნა მერსისაიდელებს და ამით კლუბის ისტორიაში დაიმკვიდრა ადგილი. იმავეს გაკეთება სურს „ნერაძურიში“ და ვნახოთ, რამდენად გამოუვა.

**- თქვენი მიზანიც იგივეა და ამაზე თავშივე ისაუბრეთ...**

- დიახ, უკვე აღვნიშნე კიდეც, რომ მსურს „მილანში“ რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე. ეს კი ავტომატურად ბევრ წარმატებასაც ნიშნავს, რადგან ტროფეების გარეშე „როსონერიში“ დიდხანს არავინ გაგაჩერებს.

რომა

# ტოტი: ამ გუნდს ყველაფერი შეუძლია!

**ფრანჩესკო ტოტი** დარწმუნებულია, რომ მომდევნო სეზონში „რომას“ ყველა მწვერვალის დაპყრობა შეუძლია. გუნდის უცვლელ კაპიტანს და უდავო ლიდერს ხშირად უწევს ჟურნალისტებთან ურთიერთობა, თუმცა ასეთი ოპტიმისტური განცხადებების გაკეთებისგან ადრე თავს იკავებდა. პირიქით, არაერთხელ აქვს ნათქვამი, გაძლიერება გვესაჭიროება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს გავხდებითო. თუმცა, ამჯერად სხვა განწყობაზეა, რაც მისი კომენტარიდან ნათლად ჩანს:

*„ფრანგულ კლუბებთან, „ბორდოსთან“ და პსჟ-სთან ძალიან საინტერესო ამხანაგური პაექრობები გავმართეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სწორ გზას ვადგავართ. ეს „რომა“ სულ უფრო და უფრო მომწონს და შესაბამისად, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩვენ გვყავს ადრიანო, რომელსაც შეხვედრის ბედის გადაწყვეტა მარტოს შეუძლია. მას სიმშვიდე სჭირდება, დანარჩენი შესანიშნავად იცის. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამხანაგური პაექრობები რამდენიმე მნიშვნელოვანი ფეხბურთელის გარეშე გავმართეთ – მათთან ერთად კიდევ უფრო ძლიერები ვიქნებით“.*

პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „რომაში“ დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო **სისინიომ**. ბრაზილიელი უკანახაზელი „ჯენოაში“ გადაბარგებასთან იყო ახლოს, თუმცა ბოლო მომენტში იტალიის დედაქალაქში დარჩენა ამჯობინა. მართალია, **კლაუდიო რანიერისგან** ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობის გარანტიები ვერ მიიღო, მაგრამ გარისკა და კიდევ მინიმუმ ერთი წელი „რომას“ ღირსებას დაიცავს.


ფრანჩესკო ტოტი პსჟ-სთან მატჩში

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული



ფერნანდო ტორესი თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშს შეუდგა

# ტორესი ჩამოვიდა, ჰუანგი გზაშია...

 თუ ის, რაც ითქვა, მართლა შეისხამს ხორცს, „ლივერპულის" ახალი თავკაცი **როი ჰოჯსონი** ვისაც კი თითს დაადებს, მისი ფეხბურთელი გახდება: ორშაბათს, როდესაც შვებულების შემდეგ „წითლების" საწვრთნელ ბაზაზე მსოფლიოს ჩემპიონი **ფერნანდო ტორესი** დაბრუნდა, კლუბის ოფისში წერილიც მივიდა - ჩინელმა მილიარდერმა **კენი ჰუანგმა** მერსისაიდული კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტის ყიდვა მოინადინა. თან, ჰუანგმა გამჟღავნებულ სურვილს გეგმა და ამბიციებიც მიაყოლა. ჩინელი ბიზნესმენი „ლივერპულში" დიდძალი ფულის ჩადებასა და რევოლუციურ ცვლილებებს აპირებს. ერთი შეხედვით შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მას სურს „ლივერპულისთვის" გახდეს იგივე, რაც „ჩელსისთავის" **რომან აბრამოვიჩია.**

კენი ჰუანგს გარანტად ერთ-ერთი სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი უდგება. მათ წინადადებაში გათვალისწინებულია კლუბის ვალის 237 მილიონი ფუნტის გადახდაც. მიმომხილველები წერენ, რომ ასეთი ძლიერი წინადადება „ლივერპულის" ამჟამინდელ მეპატრონეებს **ჯორჯ ჯილეტსა** და **ტომ ჰიკსს** დიდი ზეწოლის ქვეშ მოაქცევს და თუ რამე არ შეიცვალა, კლუბის გაყიდვასაც აიძულებს.

თან, გთხოვთ დააკვირდეთ, ჩინელი ბიზნესმენის გეგმაში ვადებიც გათვალისწინებულია. კერძოდ, ჰუანგს კლუბის ყიდვა სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე, ანუ აგვისტოს ბოლომდე უნდა, რათა როი ჰოჯსონს მხარში ამოუდგეს და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები უყიდოს. ეს რასაკვირველია დიდძალ დანახარჯთან იქნება დაკავშირებული: ბაზარზე ხომ მსგავსი პრინციპით უკვე მოქმედებს „მანჩესტერ სიტი" და მას „ლივერპულიც" რომ დაემატოს, ფეხბურთელების ფასები ცამდე ავარდება. მაგრამ, ჰუანგი უკან არ იხევს. მას უნდა, **ფერნანდო ტორესსა** და **სტივენ ჯერარდს** გარშემო მათივე კალიბრის ფეხბურთელები შემოუწყოს.

მართლაც საოცარი რამ თქვეს ჩინელი ბიზნესმენის პარტნიორებმა. მათი ვერსიით ჰონკონგის საინვესტიციო კომპანია QSL Sports Ltd-ის შეფი მზადაა ჰოჯსონს ნებისმიერი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) მოთამაშე აყიდვინოს. ერთ-ერთმა თქვა:

*„თუ ჰოჯსონს ლეო მესი ენდომება, ჩვენ ყველაფერს ვილონებთ, რათა მესი „ლივერპულში" გადავიყვანოთ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კენი ჰუანგი ძალიან სერიოზულად არის განწყობილი და უნდა, ჰოჯსონს ახლავე აყიდვინოს ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც სეზონს ტიტულით დაამთავრებენ".*

გასაოცარია, რომ ლაპარაკი უკვე დაიწყეს ახალი სტადიონის მშენებლობაზე. ახალი სტადიონი 60-ათასიანი იქნება - „წითლების" ლეგენდარულ სტადიონზე „ენფილდ როუდზე" 45 362 ადამიანი ეტევა.

ჰონკონგელი მილიარდერის გამოჩენამ კი ფერნანდო ტორესის გუნდში დაბრუნების ამბავი დაჩრდილა. მოგეხსენებათ, ლივერპულში მთელი ზაფხულის განმავლობაში არ ცხრებოდა ჭორები, რომ ესპანელი თავდამსხმელი ახალ გუნდს ეძებდა და მერსისაიდში აღარ დაბრუნდებოდა. როგორც ხედავთ, ტყუილი აღმოჩნდა, თუმცა ის კი მართალია, რომ ტორესი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მიღებულ საზარდულის ტრავმას ჯერ კიდევ მკურნალობს.

ამრიგად, როი ჰოჯსონმა უკვე მთელი შემადგენლობა შეკრიბა და ახლა გამალებით ემზადება 15 აგვისტოსთვის, როდესაც პრემიერლიგის პირველ შეხვედრაში „არსენალს" უმასპინძლებს.




პორტრეტი

# პატარა ბარდას ფართო თვალსაწიერი

**გვადალახარას ცენტრში, „ნაიკის" მაღაზიის თავზე უზარმაზარი ბილბორდი დაუდგამთ. ბილბორდიდან სახეანითლებული ყმაწვილი იყურება. მას მექსიკაში ჩიჩარიტოს ანუ ბარდის მარცვალს ეძახიან. სურათისთვის ისეთი სიტყვები მიუწერიათ, კაცს შეიძლება გააჟრჟოლოს: ერის მომავალი შენს ფერხთაა - მიხვდებოდით, ხავიერ ერნანდესზე მოგახსენებთ. სწორედ ასე ჰქვია ჩიჩარიტოს სინამდვილეში. ის მექსიკელთათვის იგივეა, რაც უეინ რუნი ინგლისელებისთვის. ჰოდა, ითამაშებენ კიდეც ეს ფეხბურთელები ახალი სეზონიდან ერთმანეთის მხარდამხარ „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში.**

ყმაწვილი, რომელშიც ინგლისურმა კლუბმა 7 მილიონი ფუნტი (11,07 მილიონი დოლარი) გადაიხადა, ქუჩაში თავისუფლად ვერ გადის, ხალხი ეხვევა. წინა ხუთშაბათს, როდესაც „ნაიკის" ხსენებულ მაღაზიაში ჩიჩარიტო ავტოგრაფების დასარიგებლად მივიდა, ათასზე მეტმა ახალგაზრდამ ისეთი ამბავი ატეხა, რომ გარეთ, ქუჩაში, საავტომობილო მოძრაობა შეფერხდა. ახლა, გვადალახარაში, ყველა ჟურნალის გარეკანზე ერნანდესის ფოტოა, ოთხ დღეში კი მისი ახალი გუნდი, პრემიერლიგის სეზონს იწყებს - ინგლისის ჩემპიონ „ჩელსის" „ქომუნითი შილდზე", ანუ ქვეყნის სუპერთასზე ეთამაშება.

ხოლო ინგლისელებისთვის **ხავიერ ერნანდესი** ერთ-ერთი იმ ახალგაზრდა ფეხბურთელთაგანია, რომელმაც თავისი ოსტატობა ახლა უკვე მათ ქვეყანაში უნდა დაამტკიცოს. ამიტომაც გაგზავნა გაზეთმა „სანმა" თავისი კორესპონდენტი მექსიკაში, სადაც მას 22 წლის თავდამსხმელის შესახებ ყველაფერი უნდა შეეტყო და... პირველი, რაც ჟურნალისტს თვალში მოხვდა აი, ეს გახლდათ: ცხოვრების წესით ჩიჩარიტო ძალიან განსხვავდება მისი თანატოლი პრემიერლიგელებისგან. ამ ზაფხულს გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის მექსიკელი მონაწილე არასდროს ეხვევა სკანდალებში, არ ეტანება ღამის ცხოვრებას, არავის უნახავს, გამთენიისას როგორ გამოდის მთვრალი ამა თუ იმ კლუბიდან - ის მორწმუნე კათოლიკეა და შესაბამისადაც იქცევა. ერნანდესი კარგა ხანია ერთგულად ცხოვრობს მეგობარ გოგონასთან **ლეტისია საჰაგუნთან**. ხოლო ის, რომ ტრადიციული საფეხბურთო ოჯახის შვილია, უკვე ყველამ კარგად ვიცით.

და მაინც, გავიმეოროთ: პაპამისი, 79 წლის **ტომას ბალკასარი** და მამა - **ხავიერ ერნანდეს გუტიერესი,** ხავიერ უმცროსისა არ იყოს, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილენი გახლავან. ისინიც მექსიკის ნაკრების ფეხბურთელები იყვნენ. პაპა ამბობს:

*„დედამიწის ზურგზე არ მეგულება თავის საქმეში ჩემს შვილიშვილზე მეტად შეყვარებული ადამიანი. დიეტასაც კი მკაცრად იცავს, ყველაფერს როდი ჭამს. ალკოჰოლზე ლაპარაკიც ზედმეტია - წვეთსაც არ სვამს. დასაძინებლადაც ყოველთვის ადრე წვება. რეჟიმს ვერაფერი დაარღვევინებს".*

ალბათ, რა სასიამოვნო მოსასმენია ტომას ბალკასარის ეს სიტყვები „მანჩესტერ იუნაიტედის" დისციპლინის მოყვარული მწვრთნელისთვის - სერ **ალექს ფერგიუსონს** რეჟიმი ხომ განსაკუთრებულ რანგში აქვს აყვანილი.

**ექტორ ლოპეს სატარიანი** კი სპორტული მარკეტინგის მექსიკელი კონსულტანტი გახლავთ. ის დარწმუნებულია, რომ ჩიჩარიტო მის ქვეყანაში ახალი კერპი და აღფრთოვანების ობიექტი გახდება.

*„ჩვენთან ფეხბურთი ელიტას და მდიდარ ხალხსაც უყვარს. ისინი თამაშებს უყურებენ, მაგრამ ხედავენ, რომ ფეხბურთელებთან ურთიერთობა ძნელია. ერნანდესი კი მოკრძალებული ახალგაზრდაა, რომელსაც რაზეც გინდა დაელაპარაკები. ფეხბურთი მისი ერთადერთი თემა სულაც არ არის. მერედა, ვერასდროს გაიგებ, რომ ხავიერმა რაღაც პრობლემა შექმნა. ის არასდროს ქეიფობს, მშვიდი და გონიერი ადამიანია".*

და თუ მაინცდამაინც რუნის უნდა შევადაროთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მექსიკელს ინგლისელთან შედარებით თვალსაჩინო უპირატესობა აქვს - მან მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი გოლი გაიტანა.

„ლელოს" მკითხველს ადრე ისიც ვუთხარით, თუ რატომ ჰქვია ხავიერ ერნანდესს მეტსახელად ჩიჩარიტო - ეს მამამისის მწვანე თვალებიდან მოდის. თავად მექსიკელები ამბობენ, რომ მწვანე თვალები მათ ერში იშვიათობაა. ჰოდა, მამა თუ ბარდა იყო, შვილი პატარა ბარდა გამოვიდა - ძალიან მარტივად არის ყველაფერი.

ფეხბურთის თამაში „პატარა ბარდამ" „კლუბ დეპორტივო გვადალახარაში" დაიწყო. ამ კლუბს სამშობლოში „ჩივასს" ანუ თხებს ეძახიან. თავიდან „აუტჩიკი" იყო, მერე ბავშვთა ლიგაში ათამაშეს, შემდეგ ყმაწვილებში გადავიდა, ბოლოს კი დიდი გუნდის ფეხბურთელიც გახდა. უცნაური რა არის, იცით? თავიდან მამამისი ვერ ხვდებოდა, რომ მის ვაჟს ფეხბურთელის ნიჭი ჰქონდა, ეჭვის თვალით უყურებდა. „დიდი ბარდა" ამას არ მალავს:

*„არასდროს მეგონა, რომ ის პროფესიონალი ფეხბურთელი გახდებოდა. მეეჭვებოდა, ამას თუ შეძლებდა. ოჯახში ვერასდროს ვიფიქრებდით, ის ოდესმე პირველი დივიზიონის ფეხბურთს თუ გაართმევდა თავს, მაგრამ ბავშვი თანდათანობით დაიხვეწა და თხუთმეტი წლის რომ გახდა, ჩვენ წინაშე სულ სხვანაირი წარდგა. მაშინ გადაწყვიტა, პროფესიონალი ფეხბურთელი გამოსულიყო. ჩვენ ერთადერთი, რაც ვიცოდით, ეს იყო: მისთვის ხელი უნდა შეგვეწყო. ყველაფერი ხავიერზე გახლდათ დამოკიდებული".*

კაცმა რომ თქვას, ორიოდ წლის წინ ჩიჩარიტომ კინაღამ დაანება ფეხბურთს თავი - ასეთი დღეებიც იდგა მის ცხოვრებაში.

ისევ მამა, ხავიერ ერნანდესი: *„დიახ, იყო მომენტი, როდესაც მას თავადაც შეეპარა ეჭვი, რომ დიდი ფეხბურთის თამაშს შეძლებდა. ოჯახის წევრებმა ავუხსენით, რომ ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო და მოთმინება მართებდა, მაგრამ სწორედ ახალგაზრდობა უშლიდა ხელს. უნდოდა ყველაფრისთვის ერთბაშად მიეღწია. დაჩემებული ჰქონდა, თუ ფეხბურთში ვერ ვივარგებ, სხვა გზას ვეწევიო, ჩვენ კი მშვიდად ყოფნას და შრომას ვურჩევდით. თუმცა, ისიც იყო: მისთვის საფეთქელზე იარაღი არავის მიუდვია და არავის დაუძალებია - გინდა თუ არა ფეხბურთელი უნდა გამოხვიდეო. მოკლედ, ხავიერს ჰქონდა ცხოვრებაში პერიოდი, როდესაც თქვა, სწავლას უნდა მივხედოო და ფეხბურთს ცოტათი უგანა".*

საბოლოოდ, ოჯახის მხარდაჭერამ შედეგი გამოიღო: გასულ სეზონში ჩიჩარიტომ „ჩივასის" შემადგენლობაში 12 შეხვედრაში 10 გოლი გაიტანა - თხების ფანებისთვის ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავდა. სხვათა შორის, პაპა ტომას ბალკასარი დარწმუნებულია, რომ „ჩივასში" მის შვილიშვილზე პოპულარულ მექსიკელ ფეხბურთელს არასდროს უთამაშია. ოთახში, რომელიც ოჯახის წევრების მოპოვებული ჯილდოებით არის გადავსებული, ტომასი სიამაყით ჰყვება: *„14 თვეში მან ყველა ჩარჩო გაარღვია. აქ, ასეთი პოპულარობისთვის არასდროს არავის მიუღწევია".*

ზემოთ ვახსენეთ, რომ ხავიერ ერნანდესს ინტერესების ფართო წრე აქვს. ამაში დარწმუნება იოლია: ახალგაზრდა კაცმა ბურთაობის პარალელურად მოახერხა, კარგად დაუფლებოდა ინგლისურს და ბიზნესის სასწავლებელიც დაემთავრებინა. და გნებავთ, უცნაური რამ გითხრათ? მიუხედავად იმისა, რომ ხავიერი საფეხბურთო დინასტიის მესამე თაობაა, ოჯახი მაინცდამაინც მდიდარი არ არის... ტომასი ღარიბულ უბანში იზრდებოდა და კარიერაც 1950-იან წლებში ჰქონდა, როდესაც „ჩივასი" თავს იმკვიდრებდა მექსიკურ ფეხბურთში.

ნაკრებში მისთვის ყველაზე გამორჩეული წელიწადი 1954 გახლდათ. ამ წელიწადს ტომას ბალკასარმა მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და საფრანგეთის ნაკრებს გოლიც გაუტანა. დღეს, როდესაც იმ გოლიდან 56 წლის შემდეგ საფრანგეთს მისმა შვილიშვილმაც შეუგდო, პაპა საოცარი სიამაყით ივსება და ასე ამბობს: *„მე მეორე გოლი გავიტანე, მაგრამ მაინც წავაგეთ, 3:2. ჩემმა შვილიშვილმა კი გაიტანა და 2:0 მოვიგეთ".*

რაც შეეხება მამას, მან კარიერა სხვა მექსიკურ კლუბებში გაატარა, „ჩივასს" კი მოგვიანებით წვრთნიდა. ნაკრების შემადგენლობაში მან 1986 წლის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა.

დღეს კი ვარსკვლავი ჩიჩარიტოა: როდესაც გასულ კვირაში, გვადალახარაში მან უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში ითამაშა, ამ ამბის სანახავად სტადიონს 7 ათასი გულშემატკივარი მიაწყდა. ახალგაზრდა ქალების აქტიურობას ხომ საზღვარი არ ჰქონდა.

მანჩესტერში ხავიერი მშობლებთან და დასთან, **ანა-რიტასთან** ერთად აპირებს ცხოვრებას. სამ თვეში ერთხელ შვილიშვილს 79 წლის ტომასიც ჩააკითხავს. რატომ? იმიტომ, რომ პაპა დარწმუნებულია: ჩიჩარიტო პრემიერლიგისთვის მზად არის. „ნაიკის" მაღაზიის თავზე აღმართულ ბილბორდს კი სხვა სიტყვებიც აწერია: მიდიხარ გმირად, დაბრუნდები ლეგენდად!

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ხავიერ ერნანდესი და სერ ალექს ფერგიუსონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგიმ რუნი საშინლად გამოლანძღა...


სერ ალექს ფერგიუსონი და უეინ რუნი

დიახ, ინგლისური ტაბლოიდების თანახმად, სერ **ალექს ფერგიუსონმა** თავისი საყვარელი ფეხბურთელი, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების მთავარი ვარსკვლავი **უეინ რუნი** საშინლად გამოლანძღა - მრავალ ნიჭთან ერთად ლეგენდარულ შოტლანდიელ მწვრთნელს შეგირდების შერისხვის უნარიც მომადლებული აქვს. ამას ინგლისური პრესა ფერგიუსონის ცნობილ „თმის საშრობს“ უწოდებს.

რა დააშავა რუნიმ? კვირას, დილის ექვსის ნახევრამდე იქეიფა და სიგარეტიც მოსწია. ეს ყველაფერი პაპარაცებმა, ბუნებრივია, გადაიღეს და გამოაქვეყნეს. ამბობენ, რუნის ფოტოების ნახვაზე ფერგიუსონი გაცხარებისგან თავად აბოლდაო. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დაკავშირებულმა ადამიანებმა კლუბში მომხდარი ამბავი დიპლომატიურად ასე აღწერეს: სერ ალექსი გაბრაზებული და განბილებული ბრძანდებოდაო. გასაბრაზებელი ჰქონდა კიდეც: სეზონის დაწყებამდე აღარაფერია დარჩენილი. 68 წლის სპეციალისტმა გუნდი ამერიკაში წაიყვანა, ავარჯიშა, დაბრუნებულს კი საოცარი ამბავი დახვდა - რუნი მთელი ღამე ლოთობდა, სიგარეტს ეწეოდა და ქუჩაში მთელი ხმით ფანების სიმღერებს ბლაოდა. მეტიც, პაპარაცებმა 24 წლის ვარსკვლავი არ დაინდვეს და დააფიქსირეს, რომ მან მანჩესტერის მოდური ღამის კლუბის „პანაცეას“ გვერდით კედელს მიაშარდა.

ორშაბათს კი რუნი „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუბრუნდა და მწვრთნელისგან დამსახურებული რისხვაც მიიღო - კვირას ინგლისში „ქომუნითი შილდის“ მატჩია, „იუნაიტედი“ პრემიერლიგის ჩემპიონს „ჩელსის“ ხვდება.

მანჩესტერული კლუბის პრესცენტრის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ ორშაბათს კერინგტონის საწვრთნელ ცენტრში იყვნენ როგორც ფერგიუსონი, ასევე რუნი - ანუ ხმები „თმის საშრობის“ შესახებ გადაჭარბებული არ არის. თვითმხილველი კი ამბავს ასე მოჰყვა:

*„სერ ალექსი და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელთა ძირითადი ჯგუფი ამერიკიდან ინგლისში შაბათ საღამოს დაბრუნდანენ, ორშაბათს კი მწვრთნელი გასული სეზონის შემდეგ პირველად შეხვდა უეინ რუნის. უეინი ვარჯიშებზე, ჩვეულებრივ ძალიან მხიარულია, თუმცა გაზეთში თავისი ფოტოების ნახვის შემდეგ იმ დღეს უხალისოდ იყო. გუნდში დაძაბული ატმოსფერო იგრძნობოდა. ყველა ელოდა, რომ სერ ალექსი „თმის საშრობს“ ჩართავდა. ფერგიუსონი პრესა-ტელევიზიაში უარყოფითი მხრიდან გამოჩენას ვერ იტანს და როდესაც ვინმე „მანჩესტერ იუნაიტედს“ ასე წარმოაჩენს, ამას ღალატად უთვლის“.*

რუნი ღამის კლუბში ცოლთან **კოლინთან** და ძმაკაცებთან ერთად იყო.

„იუნაიტედის“ კიდევ ერთი ფეხბურთელი, ბრაზილიელი **ანდერსონი** კი ამასობაში პორტუგალიის პოლიციაში მოჰყვება რა მოხდა ერთი დღით ადრე, შაბათ დილას ბრაგაში. მოგეხსენებათ, ის და მისი ორი მეგობარი „აუდის“ მარკის მანქანაში, კერძოდ R8-ში ისხდნენ, როდესაც ავტომობილი კედელს მიენარცხა, გაფრინდა და 30 მეტრის მოშორებით დაენარცხა. გუშინ მოგახსენეთ, რომ საჭესთან ანდერსონის მეგობარი იჯდა, მაგრამ როგორც გაირკვა, პირველი ინფორმაცია სწორი არ იყო და სინამდვილეში მანქანას ფეხბურთელი მართავდა. ამას არც ანდერსონი უარყოფს. მთვრალი იყო მანჩესტერელი ვარსკვლავი თუ არა, ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, ის, რომ ანდერსონი და მისი მეგობრები კლუბიდან ღამენათევები გამოვიდნენ, ფაქტია. სამი წლის წინ „პორტუდან“ 28 მილიონ დოლარად ნაყიდმა ფეხბურთელმა ინგლისელ ჟურნალისტებს უთხრა:

*„ძალიან გამიმართლა, რადგან მძიმე ავარიაში მოვყევი. გზა კარგად ვიცოდი, მაგრამ მოულოდნელად მანქანამ მოსახვევში გეზი დაკარგა და კედელს შეასკდა. მახსოვს, საშველად უამრავი ადამიანი გამოვარდა. მე მათი მადლობელი ვარ. მინდა „იუნაიტედის“ ფანებს ვუთხრა, რომ გადავრჩი, კარგად ვარ და ნატკენი მუხლის მკურნალობას განვაგრძობ. მინდა დროულად ჩავდგე ფორმაში და გუნდს წარმატებაში დავეხმარო. უამრავმა მეგობარმა დამირეკა. მინდა ყველა დავამშვიდო: კარგად ვარ, თუმცა დიდი შიში ვჭამე“.*

და ამ ავარიისთვის ანდერსონს „თმის გაშრობა“ არ ერგება? როგორც მანჩესტერული წყაროები ამბობენ, ეს ჯერ არ არის ცნობილი, თუმცა იმას იხსენებენ, რომ იანვარში, ნებართვის გარეშე ბრაზილიაში გამგზავრებისთვის ანდერსონს ფერგიუსონმა ორი კვირის ხელფასი დაუქვითა.

ბრაგის ერთ-ერთმა მცხოვრებმა თქვა: *„თავიდან ანდერსონი მკვდარი მეგონა. მანქანიდან ის ჩემმა ძმამ გადმოიყვანა. ავტომობილს ცეცხლი ეკიდებოდა და იქაურობას გავარიდეთ“.*

**ილია ბაბუნაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაიერნი



არიენ რობენი ბუნდესლიგისა და ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურებს გამოტოვებს

# ორი თვე რობენის გარეშე!

## მიუნხენელები ჰოლანდიელ ექიმებს ადანაშაულებენ

გუშინ მიუნხენის „ბაიერნის" სამედიცინო შტაბმა რეკორდმაისტერის ქომაგებისთვის, შეფებისა და მწვრთნელ **ლუის ვან გაალისთვის** შოკისმომგვრელი ინფორმაცია გაავრცელა: **არიენ რობენი** ფეხბურთს ორი თვე ვერ ითამაშებს. მიუნხენური გრანდის მთავარმა ექიმმა **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტმა** ჰოლანდიელ დრიბლიორს კუნთის საკმაოდ მძიმე ტრავმის დიაგნოზი დაუსვა.

ისევე როგორც მუნდიალის სხვა მონაწილეების უმეტესობა, მიუნხენში 26 წლის რობენიც ორშაბათს დაბრუნდა და მიულერ-ვოლფარტთან ტრადიციული სამედიცინო შემოწმება გაიარა. ასეთ შემოწმებას შვებულებიდან დაბრუნებული ყველა ფეხბურთელი გადის. გუშინ კი, მიულერ-ვოლფარტს ასეთი მძიმე დიაგნოზის დასმა მოუხდა. *„ყველანი შოკში ვართ. არ მეგონა, თუ არიენს ასეთი მძიმე ტრავმა აღმოაჩნდებოდა. თუ გვინდა, რომ ორ თვეში მაინც ითამაშოს, მან სასწრაფოდ მკურნალობა უნდა დაიწყოს,"* - უთხრა „ბაიერნის" მთავარმა ექიმმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ამრიგად, რობენი ნაღდად გამოტოვებს ბუნდესლიგის პირველ ტურებს და ჩემპიონთა ლიგის მინიმუმ პირველ ორ მატჩს (შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგა 14-15 სექტემბერს იწყება). გაგახსენებთ იმასაც, რომ რობენს ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატზე აწუხებდა კუნთის ტრავმა, რომელიც მან სულაც მუნდიალის დაწყებამდე, მაგრამ არა „ბაიერნში", არამედ ჰოლანდიის ნაკრებში მიიღო. რეკორდმაისტერის ექიმები არიენის ტრავმას ჰოლანდიის ნაკრების ექიმებს აბრალებენ და ფიქრობენ, რომ „ნარინჯისფრების" სამედიცინო შტაბმა მუნდიალამდე რობენს „აგრესიული თერაპია" ჩაუტარა, რათა არიენს მსოფლიოს ჩემპიონატზე ეთამაშა.

*„მხოლოდ იმედგაცრუებულები კი არა, გაბრაზებულები ვართ, ვინ მოთვლის, მერამდენედ ვხდებით იძულებულები, რომ რომელიმე ნაკრების გამო ვიზარალოთ. ჩვენ არიენ რობენი ჰოლანდიის ნაკრებს სრულიად ჯანმრთელი ჩავაბარეთ",* - ეს „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია.

*„თუ ჰოლანდიის ნაკრების ექიმებმა მუნდიალის წინ რობენი შეამოწმეს და მას ეს ტრავმა ვერ დაუდგინეს, მაშინ უნდა ვთქვა, რომ ჰოლანდიის ნაკრებში არაპროფესიონალი ექიმები მუშაობენ. მათ რამდენჯერმე შევთავაზე დახმარება, მაგრამ უარს ამბობდნენ,"* - განრისხებულია მიულერ-ვოლფარტიც.

თვითონ რობენი კი ამბობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ტკივილები არ უგრძვნია: *„თავს მშვენივრად ვგრძნობდი. ფინალშიც 120 წუთი თავისუფლად ვითამაშე. ტკივილი არც ფინალის შემდეგ მიგრძვნია და ამიტომაც წავედი შვებულებაში. ასე რომ, ამ დიაგნოზიც მეც ძალიან გაკვირვებული და შოკირებული ვარ!"*

### კროოსის პრეტენზიები

ამასობაში, **ტონი კროოსი**, რომელიც „ლევერკუზენში" წლინახევრიანი იჯარის შემდეგ, „ბაიერნში" დაბრუნდა, რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრეტენზიას გამოთქვამს. *„ჩემს შესაძლებლობებში ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ. ფაქტია, „ბაიერნს" რომ არ ვჭირდებოდე, აქ არავინ დამაბრუნებდა,"* - თქვა შვებულებიდან დაბრუნებულმა კროოსმა პირველი ვარჯიშის შემდეგ.

ვან გაალი 20 წლის ნახევარმცველის ადგილს 4-2-3-1 სქემაში, ცენტრალური ფორვარდის უკან ხედავს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ტონის რომელიმე ფლანგზეც შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში. თავდამსხმელის უკან ლუისი **თომას მიულერს** ათამაშებს, რომელსაც სასტარტო თერთმეტეულში ადგილი გარანტირებული აქვს. ამრიგად, თავიდან კროოსს ალბათ რობენის პოზიციაზე ვიხილავთ.

*„მინდა, რაც შეიძლება მეტ მატჩში მივიღო მონაწილეობა და „ბაიერნის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გავხდე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ 60 შეხვედრა უნდა ჩავატარო და 50 გოლი გავიტანო,"* - ამბობს ტონი.

ლევერკუზენი

# ბალამანია ბაიერში

## მიხაელი და სიმონი ვარჯიშს შეუდგნენ

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლევერკუზენში ბალამანიაა. **მიხაელ ბალაკის** ხმაურიანმა ტრანსფერმა „ბაიერის" გულშემატკივრები ეიფორიაში ჩააგდო. ამასთან, კლუბს პოტენციური სპონსორებისგან მსუყე წინადადებებიც მოუმრავლდა და ერთი სიტყვით, 33 წლის მიხაელის ტრანსფერით „ფარმაცევტები" არა მარტო სპორტული თვალსაზრისით, არამედ ფინანსურადაც იხეირებენ. თვითონ განსაჯეთ: დღემდე ბალაკის 20 000 მაისურაა გაყიდული.

რაც შეეხება სპორტულ მხარეს: მიხაელმა გუშინ ახალ თანაგუნდელებთან ერთად სრული დატვირთვით პირველად ივარჯიშა. მასთან ერთად, ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ პროცესში გუნდის კაპიტანი **სიმონ როლფესიც** ჩაერთო. თუმცა, „ფამაცევტების" მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** ბალაკს და როლფესს უახლოეს ტესტმატჩებში მაინც არ ათამაშებს, რადგან რისკზე წასვლა არ სურს - დიდი შანსია, რომ მიხაელს და სიმონს ტრავმები „შეუბრუნდეთ".

ბალაკს ფეხბურთი მაისის შუა რიცხვების შემდეგ აღარ უთამაშია. გეხსომებათ, ის ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში დაშავდა, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვერ იასპარეზა. მასთან ერთად, მუნდიალზე როლფესსაც უნდა ეთამაშა, მაგრამ ახალგაზრდა საყრდენმა ტრავმა მიხაელზე გაცილებით ადრე მიიღო. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ნაკრები 11 აგვისტოს კოპენჰაგენში დანიას ამხანაგურად ეთამაშება და ბალაკი და როლფესი არც იმ შეხვედრაში იასპარეზებენ. სამაგიეროდ, ბუნდესლიგის სტარტისთვის „ლევერკუზენს" ორივე ლიდერი მწყობრში ეყოლება. შეგახსენებთ, რომ გერმანიის ჩემპიონატის პირველ ტურში (22 აგვისტოს) „ბაიერი" დორტმუნდის „ბორუსიას" ხვდება.

### კასტრომ კონტრაქტი გააგრძელა

ამასობაში, „ლევერკუზენის" ფლანგის მცველმა **გონსალო კასტრომ** „ბაიერთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2014 წლამდე აქვს. მის ხელშეკრულებას ვადა 2012 წელს ეწურებოდა. *„გონსალო კასტრო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა და ძალიან მიხარია, რომ მასთან შეთანხმება არ გაგვიჭირდა,"* - ეს გუნდის სპორტული დირექტორის, **რუდი ფიოლერის** სიტყვებია. „გონსო" „ლევერკუზენში" 1999 წლიდან თამაშობს და ბუნდესლიგაში „ბაიერის" მაისურით 149 მატჩი (7 გოლი) აქვს ჩატარებული. ამასთან, კასტრომ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში 5-ჯერ იასპარეზა.

ვერდერი

# მერტე და მესუთი ცუდად მღერიან

## ბრემენელ მუსიკოსებში ორმა ხმამ აურია...

ფეხბურთელები, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატის გამო შვებულება ძალიან გაუხანგრძლივდათ, „ვერდერშიც" დაბრუნდნენ. ბრემენული კლუბის შემთხვევაში მათი რაოდენობა მხოლოდ სამია: **ტიმ ვიზე, პერ მერტეზაკერი** და **მესუთ იოზილი**. „მუსიკოსების" მთავარი მწვრთნელი **თომას შაafi**, ცხადია, კმაყოფილია იმით, რომ ახლა უკვე ყველა შეგირდი მის განკარგულებაშია, მაგრამ ზემოთ ხსენებული სამეულიდან, ორმა აურია. არევაში კი იმას ვგულისხმობთ, რომ მუნდიალიდან დაბრუნების შემდეგ, რაკი სამხრეთ აფრიკაში თავი გამოიჩინეს და მთხოვნელებიც მოუმრავლდათ, იოზილი და მერტეზაკერი უკვე „სხვანაირად მღერიან".

დავიწყოთ იოზილით, რომლის საკითხი ყველაზე აქტუალურია. „ვერდერისა" და გერმანიის ნაკრების გამთამაშებელი პირველ ვარჯიშზე კარგად დასვენებული და ზედმეტად თავდაჯერებული ჩანდა. *„მართლა კარგად დავისვენე და მიხარია, რომ სულ მალე ისევ ფეხბურთს ვითამაშებ,"* - განუცხადა მესუთმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. კითხვაზე, აპირებს თუ არა ის „ვერდერის" დატოვებას ახლავე და რამდენია იმის შანსი, რომ ბრემენულ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს (იოზილს ხელშეკრულების ვადა გაისად ეწურება), ახალგაზრდა ფეხბურთელმა, „ვერდერის" შეფებისა და ქომაგების საუბედუროდ, ასე უპასუხა: *„მე აქ ვარ და მეტს ვერაფერს გეტყვით."*

უბედურება კი ის არის, რომ თუ იოზილი ახალ კონტრაქტს არ აფორმებს, რაც მისი ადრინდელი კომენტარებიდანაც ჩანს, გამოდის, რომ ბრემენელები მას გაისად უფასოდ დაკარგავენ - არადა, მესუთის ფასი მინიმუმ 20 მილიონი ევროა. „ბილდის" კორესპონდენტი იოზილს ჩაეკითხა, ახლა აქ ხარ, მაგრამ როდემდეო, რაზეც იგივე პასუხი მიიღო: *„ვერდერთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს და აქ ამიტომაც ვარ."* „ბილდის" ჟურნალისტი კი წერს, რომ იოზილს მონდომება არ ეტყობა და გაისად კლუბის უფასოდ დატოვებაზე ფიქრობსო.

რაც შეეხება მერტეზაკერს: პერის შესახებაც ვრცელდება სპეკულაციები. მიმომხილველებმა მისი ბედი არაერთხელ დაუკავშირეს ლონდონის „არსენალს" და „მეთოფეების" მწვრთნელმა **არსენ ვენგერმაც** დაადასტურა, რომ მერტეს შეძენა უნდა. გერმანიის ნაკრების უკანახაზელმა სპეკულაციებისთვის ბოლოს მოღება არც კი სცადა – პირიქით, ცეცხლზე ნავთი დაასხა.

*„შვებულებაში ყოფნის დროს დასვენების გარდა არაფერზე მიფიქრია. ვიცი, რომ მთხოვნელები მყავს, მაგრამ ჯერ არაფერი მომხდარა,"* - თქვა მერტეზაკერმა. კითხვაზე, მოხდება თუ არა რამე უახლოეს მომავალში, პერმა მხოლოდ გაიღიმა და მხრები აიჩეჩა...

სამაგიეროდ, ტიმ ვიზე ნამდვილად „ვერდერში" რჩება და უაღრესად მოტივირებულია...

ვოლფსბურგი

# ფრიდრიხს კაპიტნად ნიშნავენო...

## მგლებს მომავალ სეზონში დიდი ამბიციები ექნებათ

„ვოლფსბურგმა" გერმანიის ნაკრების მცველ **არნე ფრიდრიხში** 2 მილიონი ევრო გადაიხადა და ეს ნამდვილად არ არის „მგლების" ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი, მაგრამ იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც გერმანიის ექსჩემპიონმა შეიძინა, ფრიდრიხი ყველაზე სახელოვანია. 31 წლის გამოცდილი უკანახაზელი „ვოლფსბურგს" ორშაბათს შეუერთდა და ახალი სეზონისთვის სამზადისში ჩაერთო. ოფიციალურ პრეზენტაციაზე არნემ თქვა: *„ვოლფსბურგში" უდიდეს პოტენციალს ვხედავ. ჩვენ მართლაც ძალიან კარგი გუნდი გვყავს. მე უკვე 31 წლის ვარ და მინდა, რომ კიდევ ერთხელ ვიბრძოლო უმაღლესი მიზნებისთვის!"*

ამრიგად, „მგლები" ახალი სეზონისთვის უკვე სრული შემადგენლობით ემზადებიან, რაც მენეჯერ **დიტერ ჰიონესის** ბედნიერების საბაბია. ბოსის თქმით, გუნდი უკვე დაკომპლექტებულია, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ კიდევ რაღაც მოხდეს. მაგალითად, დიდი შანსია, რომ „ვოლფსბურგი" 29 წლის იტალიელმა მცველმა **ანდრეა ბარძალიმ** დატოვოს. როგორც იცით, ფრიდრიხთან ერთად, „მგლებმა" ახალგაზრდა დანიელი მცველი **სიმონ კიაერიც** იყიდეს, რის გამოც ბარძალის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი აღარ აქვს. იტალიელს კი თამაში უნდა დიტერ ჰიონესმა მას გუნდიდან წასვლის ნება დართო. „კიკერის" ინფორმაციით, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონს იტალიაში დაბრუნება არ სურს, ისე კი, სერია A-ს არაერთი კლუბი ეპატიჟება.

სამაგიეროდ, უკვე ასი პროცენტით გადაწყდა, რომ ბრაზილიელი თავდამსხმელი **გრაფიტე** „ვოლფსბურგში" დარჩება. ჰიონესის თქმით, 31 წლის გოლეადორის წასვლა უკვე საბოლოოდ გამოირიცხა. გრაფიტეს შენარჩუნების მიზეზები: ჯერ ერთი, მწვრთნელმა **სტივ მაკლარენმა** თქვა, რომ ბრაზილიელი ძალიან სჭირდება და ამასთან, გრაფიტეთი დაინტერესებულ კლუბებს (ყაზანის „რუბინი", მოსკოვის „ლოკომოტივი"), „ვოლფების" მიერ მოთხოვნილი თანხა, 9 მილიონი ევრო ეძვირებათ. რაც შეეხება **ედინ ჯეკოს**, დიტერ ჰიონესი ამბობს, მიუნხენის „ბაიერნსაც" უარი შევუთვალეო.

დავუბრუნდეთ ფრიდრიხს, რომელმაც ახალ გუნდში პირველი ვარჯიშის შემდეგ ასეთი განცხადება გააკეთა: *„მე არ ვარ სასწაულმოქმედი, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინო. ვფიქრობ, საკმარისი გამოცდილება მაქვს იმისათვის, რომ „ვოლფსბურგის" დაცვის ცენტრი ჩემთან ერთად გაცილებით სტაბილური იყოს, ვიდრე წინა სეზონში."*

არნეს ტრანსფერითა და შემართებით თვითონ მაკლარენიც უაღრესად კმაყოფილია. *„ფრიდრიხს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვაკვირდებოდი და გაოცებული დავრჩი. არ მესმის, როგორ გავარდა ბერლინის „ჰერტა" მეორე ბუნდესლიგაში, თუკი ამ გუნდს დაცვაში არნე ფრიდრიხი ჰყავდა,"* - თქვა მაკლარენმა.

### ვინ იქნება მგლების კაპიტანი?

ამასობაში, ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ „ვოლფსბურგს" ახალ სეზონში ახალი კაპიტანი ეყოლება და გუნდის თავს მაკლარენი უახლოეს მომავალში დაასახელებს. „მგლების" კაპიტანი აქამდე ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველი **ჟოსუე** გახლდათ - მიუხედავად იმისა, რომ გერმანული კარგად არ იცის. მაკლარენს კი ისეთი კაპიტანი სურს, რომელიც ყველა თანაგუნდელს დაელაპარაკება. დიდი შანსია, რომ „მგლების" კაპიტანი სწორედ ფრიდრიხი გახდეს. არნე ბერლინშიც ლიდერი და კაპიტანი იყო. შესაბამისად, სამკლავურის მორგების საუკეთესო შანსი სწორედ მას აქვს. თვითონ ფეხბურთელი ამბობს, რომ კაპიტნობაზე პრეტენზია არ აქვს.

ფრიდრიხის გარდა, კაპიტნობის რეალური კანდიდატები არიან შვეიცარიელი მეკარე **დიეგო ბენალიო**, მარცხენა მცველი **მარსელ შეფერი** და მარჯვენა მცველი **საშა რიტერი**. გამორიცხული არც ისაა, რომ მაკლარენმა კაპიტნად სულაც ჯეკო დანიშნოს და ამით ბოსნიელ თავდამსხმელს წასვლა გადააფიქრებინოს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა



არნე ფრიდრიხი (მარცხნივ) შეიძლება, ვოლფსბურგის კაპიტანი გახდეს, გრაფიტე გუნდში რჩება

ტყვიის სროლა | მსოფლიოს ჩემპიონატი

# ჯერჯერობით ისევ წარუმატებლად

ჩვენი მსროლელები წარუმატებლად გამოდიან მიუნხენში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატში. თუმცა ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჯერჯერობით ტურნირში ჩვენი ლიდერი **ნინო სალუქვაძე** არ ჩაბმულა.

გუშინ ჩვენებურთაგან **ლევან ქადაგიძემ** ისროლა პნევმატური პისტოლეტით და არცთუ წარმატებით - 553 ქულა დააგროვა და 140 მონაწილეს შორის 124-ე ადგილზე გავიდა. ეს შედეგი საკმაოდ ჩამორჩება მის პირად რეკორდს. ქადაგიძემ ექვსი სერიიდან სამში 93 ქულა დააგროვა, ორში - 92, ერთში კი, პირველში, 90 აჩვენა.

ამ დღეებში იასპარეზა მესტენდურმა **მაია გუბიევამაც**. მისი მონაგარი 61 ქულაა, რაც 72 მონაწილეს შორის 58-ე შედეგი აღმოჩნდა.

დღეს მიუნხენში ჩვენებურთაგან არავინ გამოვა, ხვალ კი ახალგაზრდა გოგონებში პნევმატური პისტოლეტით **ნინო ფანჩულიძე** ისვრის. ქუთაისელმა გოგონამ სპეციალისტთა ყურადღება გაზაფხულზე მიიპყრო, როცა მაისში ისევ გერმანიაში, ოღონდ ზულში გამართულ ახალგაზრდების ტრადიციულ დიდ საერთაშორისო ტურნირში 374 ქულა დააგროვა და მეხუთეზე გავიდა. ვისთვის როგორ და, ეს მაჩვენებელი ჩვენთვის ფრიად საყურადღებოა - დაახლოებით ასეთ შედეგს ჩვენი ეროვნული ნაკრების სხვა წევრები აღწევდნენ. იქნებ ზოგჯერ რამდენიმე ქულით მეტსაც, მაგრამ ფანჩულიძის ასაკს თუ გავითვალისწინებთ, ყველაფერი გასაგებია. ვნახოთ, აჩვენებს თუ არა ის სტაბილურად ამ შედეგს.

**ირაკლი თავაძე**



ლევან ქადაგიძე

ფარიკაობა



# ბათუმი საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს

საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის (პრეზიდენტი **არჩილ გოგელია**) ინიციატივით აჭარის დედაქალაქში 10 აგვისტომდე გასტანს მუშკეტერთა საერთაშორისო ფესტივალი „კვარიათი-2010". სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ქართველი, ამერიკელი, სომეხი და აზერბაიჯანელი მოფარიკავეები იასპარეზებენ. 6 აგვისტოს ჩათვლით მთავარი პაექრობისთვის მოსამზადებელი ვარჯიშები გაიმართება, 7-8 აგვისტო კი მოხმალავე ვაჟები **ნუგზარ ასათიანისა** და **გურამ ლორთქიფანიძის**, ხოლო გოგონები **მალხაზ ადეიშვილის** ხსოვნის თასებს გაითამაშებენ. ქართველი სპორტსმენები საფარიკაო ბილიკებზე შავი სამკლაურებით გავლენ ფედერაციის ახლახან გარდაცვლილი ვიცე-პრეზიდენტის **დავით თურქიას** სახელის პატივსაცემად.

საერთაშორისო ფესტივალი ტრადიციული გახდება და საქართველოში ფარიკაობის პოპულარიზაციასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

**ვაჟა დანელია**

თავისუფალი ჭიდაობა | ევროპის ჭაბუკთა პირველობა

# ქართველებმა ბრინჯაოთი გაასამეს

წარმატებით, მაგრამ ცოტა უცნაურადაც დაიწყო გამოსვლა ჩვენმა „თავისუფლად" მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრებმა სარაევოში გუშინ დაწყებულ ევროპის ჩემპიონატში - ხუთიდან ოთხი ფალავანი ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ იქ ოთხივე დამარცხდა და დამამშვიდებლის ფინალში გადავიდნენ. საბოლოოდ **თემურ ბენდიანიშვილის** შეგირდთა მონაგარი სამი ბრინჯაოა, რომელიც **დავით ბუზიაშვილმა** (58), **ლაშა გიგაშვილმა** (69) და **ლევან გოგრიჭიანმა** (85) მოიპოვეს. მეოთხე ბრინჯაოს მოპოვების შანსი **ლევან ცალქალამანიძემ** (50) - მეხუთეზე დარჩა.

ამ კვარტეტიდან ნახევარფინალამდე უფრო გრძელი გზის გავლა ბუზიაშვილს და გიგაშვილს მოუწიათ - სამ-სამი შეხვედრა მოიგეს. მათ მიერ ნახევარფინალამდე განვლილი გზა ბევრი რალაცით ჰგავს ერთმანეთს და ნიშანდობლივია, მედალი ორივემ რომ მოიპოვა. რაც მთავარია, მათ საკმაოდ დამაჯერებლად იჭიდავეს და ჩემპიონატი ხმაურიანი განაცხადით დაიწყეს - პირველ წრეში ორივემ ორივე პერიოდი ქულებით წმინდად მოიგო. ახალგაზრდა ფალავნებისგან ასეთი ტექნიკური გამოსვლა, შემტევ სტილსა და ფანდებზე აგებული ჭიდაობა განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან იმედია, მომავალშიც ასე გააგრძელებენ.

პირველ შეხვედრაში ბუზიაშვილმა მაკედონიელი **ლიმანი საბანი** ორ პერიოდში ჯამში 13:0 დაჯაბნა, გიგაშვილმა კი ლატვიელ **ედგარს სუპრინსს** 12:0 მოუგო! მომდევნო ბრძოლაში ბუზიაშვილმა ებრაელი **გარდაშ გარდაშოვი** კიდევ უფრო იოლად გადათელა - 14:0 ორი პერიოდის ჯამში, გიგაშვილს კი უკრაინელ **ალან აბდულაევთან** დამატებითი დრო დასჭირდა - თავიდან 0:1 წააგო, მერე კი 3:1; 3:1 იმარჯვა. მესამე წრეში ორივემ ძირითად დროში იმარჯვა, თუმცა, სავარაუდოდ, ბუზიაშვილს ბევრად ძლიერი მეტოქე ეყოლებოდა რუსი **ალან ბაგამაევის** სახით, ვიდრე გიგაშვილს - ბელარუსი **იჰარ ზალიზკასი**. ბუზიაშვილმა რუსს 3:2; 2:1 აჯობა. ამით ჩვენებურები ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც მათი მარცხის დროც დადგა. ბუზიაშვილმა მომავალ ჩემპიონთან, თურქ **სელაჰათინ კილიქსალაიანთან** პირველი პერიოდი სუფთად წააგო - 0:6. მეორეში კი სცადა მდგომარეობის გამოსწორება, 4 ქულაც მიითვალა, მაგრამ არც თურქს დაუყრია ფარ-ხმალი, სანაცვლოდ 6 მიითვალა და ფინალშიც გავიდა. ასევე ძირითად დროში დამარცხდა გიგაშვილიც რუს **დანიელ მალიკოვთან** - 3:0; 3:1 და ისიც დამამშვიდებლის ფინალში გადავიდა. იქ ბუზიაშვილს მედლის მოსაპოვებლად დამატებითი დრო და უფრო მეტი შრომა დასჭირდა ბულგარელ **ლეონ სუჰოვთან**, გიგაშვილმა კი ძირითად დროში მოუგო უნგრელ **ნოე ჟაბოს**.

85-ში შედარებით ცოტა მონაწილე გამოდიოდა და შეჯიბრებები პირდაპირ მერვედფინალიდან დაიწყო. გოგრიჭიანს პოლონელ **კრისტიან პიეკარასა** და სომეხ **ედიკ მქოიანთან** მოსაგებად ორი პერიოდიც ეყო. ნახევარფინალშიც თავიდან უგებდა თურქ **ალი ბონცეოღლუს** - 1:0, მაგრამ თურქმა მომდევნო ორი პერიოდი ძლიერად იჭიდავა და ფინალშიც გავიდა. მისი უპირატესობა განსაკუთრებით საგრძნობი დამატებით დროში იყო, რომელშიც 5:0 იმარჯვა. დამამშვიდებლის ფინალში ქართველი ორ პერიოდში იოლად გაუსწორდა უკრაინელ **იაროსლავ კნიგინს**.

ჩემპიონატი საუცხოოდ დაიწყო საჭიდაო გვარის გამგრძელებელმა, სახელოვანი ოლიმპიური ჩემპიონის მოგვარე ცალქალამანიძემაც - პირველივე შეხვედრაში ებრაელი **ანდრეი პრივალოვი** 7:0; 7:0 გაანადგურა. მოლდოველ **ევგენი სავინსაც** ძირითადში აჯობა, ნახევარფინალში კი ბულგარელ **მეჰმედ ფერაიმთან** დამატებითში წააგო. შევნიშნავთ, რომ აქ სამივე პერიოდი 1:0 დამთავრდა. სამწუხაროდ, ცალქალამანიძემ მობილიზება ვერც ბრინჯაოსთვის შეხვედრაში შეძლო უკრაინელ **ფედირ კარაბიბერთან** და მინიმალური სხვაობით დამარცხდა - 0:1; 1:2.

გუშინ ჩვენებურთაგან მხოლოდ **ბესიკ ბოლქვაძე** (42) დამარცხდა - თურქ **ბურჰან საიგილისთან** და რაკილა ფინალში ვერც ეს გავიდა, ბოლქვაძემაც დაასრულა ტურნირი.

დღეს სარაევოს ოლიმპიურ სპორტკომპლექს „ზეტრაში" **ბექა ბუჯიაშვილი** (46), **ლაშა ბითარაშვილი** (54), **ირაკლი მოსიძე** (63), **იაკობ პეტრიაშვილი** (76) და **გენო პეტრიაშვილი** (100) იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**



ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა

# შაფათავა კალაშნიკოვას ელის

ყაზახეთის დედაქალაქში სტარტი აიღო საერთაშორისო ტურნირმა „ასტანა ვუმენსმა", რომელშიც 4 ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობს. ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. ჩვენებურთაგან მხოლოდ **ოქსანა კალაშნიკოვაა** (180) განთესილი (მე-7 ნომრად). პირველ წრეში კალაშნიკოვა 16 წლის ურეიტინგო ყაზახ **დარია ბერეჟნაიას** ხვდება. რა თქმა უნდა, მატჩის უპირობო ფავორიტი ოქსანაა. კალაშნიკოვა ჯერ კი არ ჩაბმულა ტურნირში, მაგრამ მას უკვე ელოდება მეტოქე მერვედფინალში - თანამემამულე **სოფიო შაფათავა** (299). ალმათის ტურნირის ფინალისტმა დაძაბულ ბრძოლაში ავსტრიელი **ნიკოლა ჰოფმანოვა** (187) დაამარცხა - 5:7, 6:4, 6:4. ერთეულთა ძირითად ბადეში ჯერ არ უთამაშია **ეკა გორგოძესაც** (551), რომლის მეტოქე რუსი **დარია კუჩმინაა** (406). სამაგიეროდ, ითამაშა **თათია მიქაძემ** (283), რომელიც საუკეთესო ფორმაშია. 22 წლის ქართველმა ორ სეტში მოუგო რუს **მარტა სიროტკინას** (376) - 7:5, 7:5.

ახლა წყვილთა ბადეზეც ვთქვათ - აქ სამი წყვილია ქართველთა მონაწილეობით. თათია მიქაძე და სოფიო შაფათავა სუფთა ქართულ დუეტს წარმოადგენენ. დანარჩენი ორი კი შერეულია - ოქსანა კალაშნიკოვა რუს **ალექსანდრა პანოვასთან** (140) ერთად ასპარეზობს. ეს წყვილი მე-3 ნომრად განთესეს, პირველ წრეში მათ ებრაელ **მასურისა** და ფრანგ **პიკიონს** მოუგეს - 7:5, 6:1. მეოთხედფინალში მათი მეტოქეები რუსები (**პაშკოვა, როდინა**) იქნებიან, რომელთაც გორგოძისა და **შარიპოვას** ქართულ-უზბეკურ წყვილს მოუგეს - 6:4, 6:3. მიქაძე და შაფათავა პირველ წრეში ყაზახ **დიასსა** და უზბეკ **ხაბიბულინას** ეთამაშებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# SOS!



## ნართმეული მეორე სიცოცხლე

წლევანდელმა ზაფხულმა და წყლის სამყარომ დაუზოგავად მომეტებული მსხვერპლი შეიწირა საქართველოში. ერთი მეორეზე შემაშფოთებელ ამბებს გადასცემდნენ ჩვენი ტელევიზიები. სხვადასხვა ასაკის ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები გამოგვაცალა ხელიდან წყლის სტიქიამ.

თავის დროზე სასწავლო დაწესებულებები საცურაო აუზის გარეშე აღარ შენდებოდა საქართველოში. თბილისში სასკოლათაშორისო აუზებიც გაჩნდა, ცურვის ორგანიზებულად შესასწავლად მაქსიმალურად იყენებდნენ მდინარეებს, ტბებს, წყალსაცავებს, ზღვის სანაპიროს და, თქვენ წარმოიდგინეთ, სახანძრო აუზებსაც კი, რომლის მოწყობა ევალებოდა ყველა საწარმოს, რომელთა ჭკვიანმა ხელმძღვანელებმა - რა აუცილებელია, წყალი მაინცდამაინც მრგვალ რეზერვუარში ჩაასხაო და ასეთ ობიექტებს საცურაო აუზის ფორმა და სიღრმე მისცეს. ცურვის შესასწავლად საცურაო აუზებზე ორგანიზებულად დაჰყავდათ სტუდენტები...

გაავლეთ პარალელები და მიხვდებით, დღეს რამდენი სიცოცხლის ფასად გვიჯდება ცურვის უცოდინრობა. ისწავლე ცურვა და სხვასაც ასწავლე, გადაირჩინე სიცოცხლე განსაცდელისას და სხვაც გადაარჩინე — ასეთია მარტივი ჭეშმარიტება. ცურვა მეორე სიცოცხლეა ადამიანისთვის, რომელიც, წესით, უფრო ადრე თუ არა, წერა-კითხვასთან ერთად უნდა შეისწავლოს მოზარდმა.

წლეულს საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის და ამავე კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თხოვნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ქვეყნის სკოლების სასპორტო ინფრასტრუქტურის კვლევა ჩაატარა. აქედან გახდა ცნობილი, რომ სადღეისოდ საქართველოში მხოლოდ სკოლების 8,4 პროცენტს, რაოდენობრივად — 181 სკოლას გააჩნია საცურაო აუზი.

აქედან 42 აუზი დახურულია. მაგრამ საგანგაშო ისაა, რომ 172 აუზი უმოქმედოა და მხოლოდ 9 მუშაობს. მკითხველს, ვფიქრობთ, არც ამ სტატისტიკიდან გაუჭირდება თავში ნახსენებ უბედურებასთან პარალელის გავლება.

მოკლედ, დახანება აღარ შეიძლება. არადა, ხომ ვხედავთ, რა ტემპებით მიდის ქვეყანაში მშენებლობები. კეთილი ნება და ზემოხსენებული უმოქმედო 172 აუზი ერთ წელიწადში შეიძლება ამუშავდეს ბავშვებისა და მშობლების, საერთოდ, ქვეყნის გასახარად. მერე ახლის მშენებლობების დროც დადგება.

ვაჩუქოთ მეორე სიცოცხლე თაობებს.

**თენგიზ თომაშვილი**

ჭადრაკი

## ფავორიტები მოგებით იწყებენ

პოლონეთის ქალაქ ხოტოვაში გუშინ დაიწყო 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც 85 გოგონა (მათ შორის — 7 დიდოსტატი) და 137 ვაჟი (18 დიდოსტატი) მონაწილეობს. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 13 ტურად გაიმართება. თითოეულ მონაწილეს 40 სვლისთვის ეძლევა 90 წუთი, შემდეგ პარტიის ბოლომდე — 30 წუთი, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. 8 აგვისტო დასვენების დღეა.

ქართველთაგან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობენ **სოფიკო გურამიშვილი, ნანი უნაფქოშვილი** და **დავით ლომსაძე**. გოგონებში რეიტინგ-ფავორიტია სლოვენიელი **ანა მუზიჩუკი,** რომელიც 2527 პუნქტით მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკე ქალთა ათეულში შედის. პირველ ტურში მან იოლად სძლია პოლონელ **ანა ივანოვას**. მედლებისთვის ქართველ მოჭადრაკეებთან ერთად იბრძოლებენ 16-წლიანთა შარშანდელი მსოფლიო პირველობის გამარჯვებული და 20-წლიანთა შორის ვერცხლის პრიზიორი პერუელი **ესტელა დეისი გორი ტელო,** რუსი **ოლგა გირია,** რუსი **ზოია სევერიუხინა,** ბელარუსი **ნატაშა ზიაზიულკინა,** თურქი **კუბრა ოზთურქი,** ამერიკელი **ალისა მეილიოხინა.** ასპარეზობის სტარტზე უნაფქოშვილი თეთრი ფიგურებით 35-ე სვლაზე **კლაუდია ქულონთან** დამარცხდა, გურამიშვილი კი შავებით ინდოელ **ბოდა პრატიუშას** დაუზავდა.

ვაჟებში ფავორიტად რუსი **დიმიტრი ანდრეიკინი** მიიჩნევა. პირველ ტურში მან ლიტველი **მათას ნარმონტასი** დაამარცხა. ინდოელ **პარიმარინ ნეგის** მეტოქის (პოლონელი **პიოტრ ნგუენი**) გამოუცხადებლობის გამო მოგება ჩაეთვალა. ესპანელმა **ივან სალგადო ლოპესმა** ბულგარელ **პაველ დიმიტროვს** აჯობა. **ელთაჯ საფარლისა** და **დავით ლომსაძის** შეხვედრა ყაიმით დამთავრდა

დღეს მეორე ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

## სამი ხელისუფალი




კავალას (საბერძნეთი) საერთაშორისო ტურნირზე გუშინ მე-5 ტურის პარტიები გათამაშდა. ქართველთაგან **დავით ჯოჯუა** გერმანელ **ალექსანდრ გრაფს** დაუზავდა, ასევე, ყაიმზე შეთანხმდენ **ლუკა პაიჭაძე-დანიელ ალსინა** (ესპანეთი), **სალომე მელია-მარინა მაკროპულუ** (საბერძნეთი), **ლელა ჯავახიშვილმა** კი თეთრებით **ჩალკო ჩანცევს** (რუსეთი) მოუგო.

რაც შეეხება მეწინავეთა ჯგუფის წარმომადგენლებს, ინდოელი ერთპიროვნული ლიდერი **თეჯას ბაკრე** უკრაინელ **ვლადისლავ ბოროვიკოვს** დაუზავდა, რუსმა **ანდრეი რიჩაგოვმა** სომეხი **ჰრანთ მელქუმიანი** დაამარცხა, სამაგიეროდ, რევანში **ზავენ ანდრიასიანმა** აიღო — მან **დენის ხისმატულინს** მოუგო.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **მომჩილ ნიკოლოვი** (ბულგარეთი)-**გაბრიელ სარგისიანი** (სომხეთი) 0.5:0.5, **ნიჯათ მამედოვი** (აზერბაიჯანი)- **იური იაკოვიჩი** (რუსეთი) 0.5:0.5, **ევგენი ვორობიოვი** (რუსეთი)-**ჯოშუა ფრიდელი** (აშშ) 1:0, **საჰაჯ გროვერი** (ინდოეთი)-**რობერტ ჰესი** (აშშ) 0:1, **აბჯით გუფთა** (ინდოეთი)-**პრასანა ვიშნუ** (ინდოეთი) 1:0, **ალბერტო დავიდი** (ლუქსემბურგი)-**ადამ ტუხაევი** (უკრაინა) 0:1.

კავალას ტურნირში რამდენიმე სახელოვანი მოჭადრაკე მანდილოსანიც მონაწილეობს. გუშინ ევროპის ჩემპიონმა **ეკატერინა ატალიკმა** (თურქეთი) თეთრებით **ვლადისლავ ნევედნიჩისთან** (რუმინეთი) წააგო, **ჰარიკა დრონოვალიმ** (ინდოეთი) **ანა-მარია ბოცარს** (საბერძნეთი) სძლია, **ტანია საჩდევი** (ინდოეთი) **სლავოლიუბ მარიანოვიჩს** (სერბეთი) დანებდა, სომეხმა **ელინა დანიელიანმა სებასტიან ფილიპასს** აჯობა, ოცწლიანებში შარშანდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა **შვამინათან სოუმიამ** (ინდოეთი) **ილიას კაზანძიდისი** (საბერძნეთი) დაამარცხა.

ამდენად, 5 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში არიან ბაკრე, რიჩაგოვი და ანდრიასიანი, ქართველთა მონაგარი ასეთია: ჯოჯუა — 3,5, პაიჭაძე, ჯავახიშვილი — 3-3, მელია — 2,5 ქულა.

ლიდერთაგან დღეს ერთმანეთს შეხვდებიან: ბაკრე-ანდრიასიანი, ვორობიოვი-რიჩაგოვი, ტუხაევი-ბოროვიკოვი, ჰესი-გუფთა. ჩვენებურთაგან ჯოჯუა შავებით ნევედნიჩის დაუპირისპირდება. ასევე, შავებით ითამაშებენ ჯავახიშვილი, პაიჭაძე და მელია, რომლებიც, შესაბამისად, პრასანა ვიშნუსთან, **კლეანდის ვაფიადისთან** (საბერძნეთი) და **ნელი აგინიანთან** (სომხეთი) გაარკვევენ ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**



გამოხმაურება



## ისტორიანი და აზმანი ტორპედოსანი

ბევრჯერ დამიწერია და ამჟამადაც დავწერ: დღესაც, სსრკ-ის დაქცევის ოცი წლის შემდეგაც ლამის გენეტიკაში გამჯდარი წამყვანი სპორტული (განსაკუთრებით საფეხბურთო) გუნდების სახელები ბევრისთვის ისეთივე მარადიულია, როგორც საკუთარი ნათესავ-ახლობლების გვარ-სახელები.

გაზეთ „ლელოში“ (30.VII.2010. №177) რუბრიკაში „ოფიციოზი“ ვკითხულობთ: „ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე განხილული იქნება ქუთაისური კლუბის წინადადებაც, რომლის თანახმადაც იმერული კლუბი ისტორიულ სახელს დაიბრუნებს. თუ ქუთათურთა საკითხი დადებითად გადაწყდება, უმაღლეს ლიგაში ოფიციალურად უკვე ქუთაისის „ტორპედო“ იასპარეზებს“.

თუ ისტორიას ვახსენებთ, აუცილებლად უნდა დავუმატოთ, რომ იგი საბჭოთა ქუთაისის ავტოქარხნელთა ისტორიაა.

საქართველოში 1924 წელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ საქართველოს სასწრაფო „დინამოიზაცია“ მოხდა. ეს ჩეკისტური სახელი საქართველოს უკლებლივ ყველა ძლიერი (და აქედან გამომდინარე, ოკუპანტებისთვის სახიფათო) ქალაქის საფეხბურთო გუნდს დაარქვეს. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ზუგდიდში, გაგრაში. ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი ქალაქში „დინამოზე“ რანგით დაბალი მეორე გუნდით გაჩნდა — Команда города Кутаиси შემდეგ მას „ტორპედო“ დაარქვეს, პრეცედენტად, ეჭვგარეშეა, მოსკოვის ავტოქარხნელთა გუნდის სახელწოდება გამოიყენეს. სხვათა შორის, დღეს მოსკოვის ისტორიულ „ტორპედოს“ გამოეყო გუნდი, რომელსაც „მოსკვა“ ეწოდება. ისიც მინდა გაგახსენოთ, რომ თავად რუსეთში უძველესი ავტოქარხნის გუნდს ეწოდებოდა არა „ტორპედო“, „კარბიურატორი“ ან „პაკრიშკა“, არამედ „ვოლგა“. სწორედ მას ეთამაშნენ 1964 წელს „ტორპედოს“ მიმბაძველი ქუთაისის ავტოქარხნელები უმაღლეს ლიგაში დასარჩენ მატჩში. ისიც მინდა გაგახსენოთ, რომ ამავე დროს იმავე ქუთაისის ავტოქარხანაში გამოშვებულ მინიტრაქტორს „რიონი“ ერქვა, თვითმცლელს — „კოლხიდა“, ხოლო სხვა საწარმოში გამოშვებულ ჩაის საკრეფ მანქანას — „საქართველო“, სოსისს კი „ივერია“...

უცნაური შთაბეჭდილება დატოვა ვეტერანი ქუთაისელი ფეხბურთელის სატელევიზიო ინტერვიუმ ახალშელებილ ევროსკამებმორგებულ ქუთაისის სტადიონზე. მას მკერდზე რუსული (გნებავთ, ლათინური) T- ჰქონდა მიკერებული და იგი ქუთაისური ფეხბურთის ტრადიციებზე ლაპარაკობდა. ინგლისური „ლიდს იუნაიტედის“ მაისურებს ოქროს საწმისის გამოსახულება ამშვენებს, აიეტის ქვეყნის შვილებისას კი — ჩაქუჩისმაგვარი უცხო ლიტერა... დღეს ტესტირება მოდაშია და, მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ მიკროფონმომარჯვებული ტელეკორესპონდენტი ქუთაისელებს ეკითხება: ხომ არ აღვადგინოთ მორაგბეთა ქუთაისური კლუბის ისტორიული სახელი — „სახლმშენებელი კომბინატი“, რა დროს „აიაა“! ისიც აღსანიშნავია, რომ პროფესიონალი ჟურნალისტი **დავით ცაბაძე** (რომელმაც „ოფიციოზში“ იმერეთში საფეხბურთო ისტორიული სამართლიანობის აღდგენის სურვილის შესახებ ცნობა მოგვაწოდა) იმავე ნომერში აღგვიწერს დღესდღეობით უძლიერესი იმერული გუნდის თამაშს უეფას ტურნირში ლვოვში, სადაც ზესტაფონელები „ზესტაფონის“ სახელით იცავდნენ საქართველოს ღირსებას და არა „საკავშირო“ ჟღერადობის „მეტალურგის“ სახელით.

თავს უფლებას მივცემ, შეგახსენოთ, რომ მე გადავიღე ფილმი ლანჩხუთელ ფეხბურთელებზე „გურია“! „გურია“! „გურია!“ და გარწმუნებთ, არასოდეს გადავიღებდი ფილმს „კოლმეურნე“! „კოლმეურნე“! „კოლმეურნე“! იმაშიც გარწმუნებთ, რომ ვერასოდეს ვერავინ გაბედავს ლანჩხუთელთა „ისტორიული“ სოცკოლექტიური სახელის აღდგენაზე კრინტის დაძვრასაც კი.

ძალიან საგულისხმო დიზაინერული გართულება ჰქონდათ 1993 წლის შემდეგ აღდგენილ „ტორპედოს“ მესვეურებს — ქართველი „ავტოზავოდცელების“ კლუბის ემბლემაზე გამოხატულ ქართული „ტ“ს (რუსული T-ს სამართალმემკვიდრეს) თავზე სამეფო (!) გვირგვინი დაადგეს. სხვათა შორის, იმერეთის მთავარ გუნდში ასეთი პარადოქსები ტრადიციულია. სოცსაქართველოს დროს საზოგადოება „განთიადის“ ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდას“ საფეხბურთო კოლექტივს „ტორპედო“ ერქვა... ეს იგივეა, პასპორტში კაცს სახელად შალვა ეწეროს, მეგობრები ვანოს ეძახდნენ, თვითონ კი ამბობდეს, დაზმირა მქვიაო!

ისევ ისტორიას მივუბრუნდეთ: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ — წარმოთქვა პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე 1990 წლის 30 მარტს საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ.** ეს სიტყვები კი ეროვნული ჩემპიონატის გუნდების მხოლოდ ეროვნულ სახელებს მიესადაგება. გავიხსენოთ ისინი — „იბერია“, „კოლხეთი-1913“, „შევარდენი-1906“ (კავკასიის ორი უძველესი კლუბი), „ქუთაისი“, „ბათუმი“, „ცხუმი“, „გორდა, „ოდიში“, „ამირანი“, „გურია“. ეს - უმაღლესი ლიგა. აი, პირველიც — „სიხარული“, „გაგრა“, „სულორი“, „სამეგრელო“, „მარგვეთი“, ა„სიონი“, „არმაზი,“ „ბახტრიონი“, „კახეთი“, „ქართლი“, „იმერეთი“...

წერილს კი ისევ ისტორიით დავასრულებ და იმერეთს შევეხები. იყო დრო, ოსმალეთის რუკებზე იმერეთი თავისი დედაქალაქით „ბაში-აჩუკის“ სახელით იყო აღნიშნული. ბაში-აჩუკი კი რისი სიმბოლოა, ყველამ კარგად იცის. ჰოდა, თქვენ წინაშეა ფოტოსურათი, რომელზეც ქუთაისის „ბაში-აჩუკის“ საფეხბურთო გუნდია გამოსახული. 1919 წელია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელი ქვეყანაა და თუმც წინ საშინელი განსაცდელი ელით („დინამოს“, „ტორპედოს“, „ლოკომოტივის“, ცსკას და „სტალინეცის“ მშობელი ქვეყნის ურდოების შემოსევა), მაინც „ქართულ ფეხბურთს თამაშობენ ქართველები“, თერთმეტი მაისურიანი მობურთალი და ერთი ჩოხოსანი მწვრთნელი. ისინი შორს, მომავალში იცქირებიან და ჩვენ შემოგვყურებენ. გესმით, ისტორიულობის აღმდგენელო ამხანაგებო?!

გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს, ბატონებო!

პატივისცემით,

**ალექსანდრე ჟღენტი**

კინორეჟისორი, საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი,
საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების ინიციატორი,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომიტეტის თავმჯდომარე (1990-91).

ახალზელანდიამდე

# რა უშველის რიჩი მაკქოუს რეპუტაციას?


რიჩი მაკქოუ კარდიფი 2007

2011 წლის მსოფლიო თასის დაწყებამდე წელიწადზე მეტი დარჩა, მაგრამ ვნებათაღელვა უკვე კარგა ხნის დაწყებულია. აგერ, „ბოკეს“ თავკაცი მის ამჟამინდელ უთავობას სწორედ ახალ ზელანდიაში გასამართავ მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმს უკავშირებს. „ოლ ბლექსი“ მასპინძელია და ამიტომ ყველაზე რეალურ ფავორიტად მიიჩნევა. ამ თემასთან დაკავშირებით ინგლისელმა ჟურნალისტმა **ჰიუ გუდვინმა** სარაგბო პორტალ www.scrum.com-ზე საინტერესო მოსაზრება გამოაქვეყნა, რომელიც ძირითადად „კივების“ კაპიტან **რიჩი მაკქოუს** ეხება. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ამ წერილიდან.

„ინგლისელო ვაიპატრიოტებო, ძალიან გთხოვთ, ნუ გამომეხმაურებით. განსაკუთრებით ისინი, ვინც ახალ ზელანდიაში შავი ჭირის გავრცელებაზე ოცნებობთ, იმიტომ რომ „პომებმა“ მსოფლიო თასი მოიგონ. მე კი იმედი მაქვს, რომ ვებ ელისის თასს მასპინძლები მოიგებენ - მათ ხომ რიჩი მაკქოუ ჰყავთ.

მაკქოუ ყველაზე დიდი მორაგბეა, რომელიც მე მინახავს. არსებობს საკმაოდ რეალური საფრთხე იმისა, რომ რიჩი კარიერას ისე დაასრულებს, მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდება და ისტორიაშიც ნაკლებად შთამბეჭდავ სახელს დატოვებს.

მისი სიდიადე მარტო ჩემი ახირება არ გახლავთ. ახლახან ESPENscrum-ის ფურცლებზე **ჯონ გრიფიტსმა** თავის სტატიაში აღნიშნა, რომ მაკქოუს კაპიტნობით „კივებს“ ტესტების 88 პროცენტი აქვთ მოგებული. ფანტასტიკური მიღწევაა იმის მიუხედავად, რომ ლაპარაკია მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდზე.

ვერაფრით ვივიწყებ 2007 წლის მსოფლიო თასს. მაკქოუსთვის ის კარდიფში, მეოთხედფინალში საფრანგეთის ნაკრებთან წაგებით დამთავრდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი დაბნეული თვალები პრესკონფერენციაზე, აღელვებული ხელს მალიმალ თავზე ისვამდა, მერე თვალებზე აიფარა, თუმცა ცრემლის შეკავება მაინც შეძლო. ის სასტიკად გალახული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მინდა გავიხსენო 2003 წლის მსოფლიო თასიც. იქ იგრძნობოდა, რომ ინგლისელთა კაპიტნის **მარტინ ჯონსონის** ტრიუმფი გარდაუვალი იყო. თითქოს სპორტული დიდების მატიანეში მისთვის ადგილი დაბევებული იყო. შეძლებს მაკქოუ ჯონსონის ბედის გაზიარებას?

უბრალოდ, დამთხვევა იყო, მაგრამ მგონია, ერთადერთი ინგლისელი რეპორტიორი ვარ, ვისაც მაკქოუსა და მისი მეგობრის, „კივების“ მგეზავ **დენ კარტერის** სადებიუტო მატჩის ხილვის ბედნიერება ხვდა წილად. მაკქოუ პირველად ახალი ზელანდიის ნაკრებში 2001 წელს გამოჩნდა დუბლინში, ირლანდიასთან მატჩში. ის მაშინ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. კარტერმა კი პირველად ორი წლის მერე ჰემილთონში ითამაშა უელსელებთან. კარგად არ მახსოვს, მაგრამ მგონი, იმ მატჩში კარტერიც საუკეთესოდ აღიარეს.

მაშინ 21 წლის მგეზავს ინტერვიუ ჩამოვართვი, ის უკვე ჩამოყალიბებული, სერიოზული პიროვნება იყო, რომელსაც დიდი მომავალი ელოდა და ამას ნათლად აცნობიერებდა. ასეთივე იყო კარიერის დასაწყისში მაკქოუც.

არიან ადამიანები, რომლებიც ვერაფრით ეგუებიან მსოფლიო რაგბიზე ახალზელანდიური რაგბის გავლენას. ამ ჯუჯღუნა ანტიკივებმა უდიდესი ზეიმი მოიწყვეს, როცა კარდიფში „ოლ ბლექსი“ „ჩაახრჩეს“. მათ ეშინოდათ ახალი ზელანდიის ექვსწლიანი ბატონობისა. 2005 წლიდან დაწყებული, როცა მათ „ბრიტანელ ლომებს“ შავი დღე აყარეს, დღემდე. მაგრამ კარდიფში ეს ბატონობა შეწყვიტეს.

დიახ, შესაძლოა, ახალზელანდიელები დაადანაშაულო იმაში, რომ, როცა იგებენ, მედიდურები ხდებიან. მაგრამ უბრალო ადამიანს დანიდინში ან ვაიკატოში აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული შეხედულებები ოვალური ბურთით თამაშის რაობაზე და თავისუფლად შეუძლია, ტაქტიკასა და სტრატეგიაზე ილაპარაკოს ისე, რომ ბევრ ევროპელ სპეციალისტსაც შეშურდება. რაგბი მათი თამაშია.

მედიდურობა მაკქოუს თვისება არ არის. ის აკეთებს იმას, რასაც აკეთებს. მანახვეთ კიდევ ერთი მესამეხაზელი, რომელიც ასე სუფთად, წესების დაურღვევლად იბრძვის რაკსა და მოლში. შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ რიჩი სუსტია დერეფანში თამაშისას. კი, ბატონო, ეს ნაკლია, მაგრამ მაქკოუ ამის კომპენსაციას შეუპოვარი, თავდადებული და რაც მთავარია, უნარიანი თამაშით ახერხებს.

ვის შეუძლია შეაჩეროს „შავი მზის“ ნათება რაგბის პლანეტის თავზე? ინგლისს? რატომაც არა. ნუ ხითხითებთ! გაიხსენეთ, ვინ ითამაშა 2007 წლის ფინალში, „კივებმა“ თუ „პომებმა“. ადვილი შესაძლებელია, ეს გუნდები ჯერ კიდევ მეოთხედფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ინგლისელთა გარდა პირველობაზე პრეტენზია აქვთ სამხრეთ აფრიკას, ავსტრალიას და საფრანგეთსაც, რომელიც მსოფლიო თასის გათამაშების ისტორიაში „ოლ ბლექსისთვის“ ყველაზე უხერხული მეტოქეა.

ერთი სიტყვით, ამ გუნდებთან წარმატებული თამაში რიჩი მაკქოუს მარიფათზე ჰკიდია, მისი რეპუტაცია კი მუდამ იქნება დამოკიდებული იმაზე, როგორ გაართმევს თავს ამ მართლაც ურთულეს მისიას.“

სამი ერი


პირი ვიპუ ჰაკას უძღვება

# ოლ ბლექსში ორი ცვლილებაა

სამი ერის მორიგ შეხვედრაში ახალი ზელანდიის ნაკრები 7 აგვისტოს ქრაისთჩერჩში ავსტრალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „ოლ ბლექსის“ მთავარმა მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** გუნდში ორი ცვლილება განახორციელა.

ტრავმირებული ცხრა ნომრის **ჯიმი ქოუანის** ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **პირი ვიპუ** ითამაშებს. სათადარიგოთა სკამზე კი მის ადგილს **ალბი მეთიუსონი** დაიკავებს. ჰენრიმ 22-კაციან განაცხადში არ შეიყვანა გარემარბი **იზრაელ დაგი**, მის ნაცვლად მან **სტენლი ბენსონი** გამოიძახა.

„მელბურნში ავსტრალიის ნაკრებთან გამარჯვებამ ძალიან გაგვახარა. დიდი სურვილი გვაქვს, რომ ამჯერადაც, ქრაისთჩერჩში თამაშის იგივე დონე შევინარჩუნოთ,“ - თქვა „კივების“ თავკაცმა.

ავსტრალიელებთან დაპირისპირებაში ახალზელანდიელთა შუამარბი **მაა ნონუ** 50-ე კეპს მოიხვეჭს. მას დებიუტი 21 წლისას, 2003 წელს, ინგლისის ნაკრებთან მატჩში ჰქონდა.

შერკინების ბურჯი **ტონი ვუდკოქი** კი 67-ედ მოირგებს ეროვნული ნაკრების კვართს, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ახალზელანდიელ ბურჯთა შორის.

მგეზავი **დენ კარტერი** კი საერთაშორისო მატჩებში დაგროვილი ქულებით **ჯონი ვილკინსონს** წამოეწია. კარტერს 1094 ქულა აქვს მოპოვებული, ვილკინსონს კი - 1178.

ახალი ზელანდია: **15. მალილი მულიაინა, 14. კორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. ჯო როკოთოკო, 10. დენი კარტერი, 9. პირი ვიპუ. 1. ტონი ვუდკოქი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრენკსი, 4. ბრედ თორნი, 5. ტომ დონელი, 6. ჯერომ კაინო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი**

*16. კორი ფლინი, 17. ბენ ფრენქსი, 18. სემ ვაითლოქი, 19. ვიქტორ ვიტო, 20. ალბი მეთიუსონი, 21. აარონ კრადენი, 22. ბენსონ სტენლი.*

# დე ფილიერსის საქმეს პარასკევს განიხილავენ

სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **პიტერ დე ფილიერსის** საქმეს SANZAR-ის სადისციპლინო კომიტეტი პარასკევს კეიპთაუნში განიხილავს.

დე ფილიერსს ბრალად ედება SANZAR-ის ქცევის კოდექსის ნორმების დარღვევა. „ბოკეს“ თავკაცმა ახალ ზელანდიასთან ზედიზედ ორჯერ წაგებული მატჩის შემდეგ მომხდარში არბიტრები დაადანაშაულა. ბრალდება ირიბად SANZAR-ის ხელმძღვანელებსაც შეეხო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ორგანიზაციის შეფები საკმაოდ განაწყენებულნი არიან დე ფილიერსის განცხადებებით, მათგან შენდობას არ უნდა ველოდეთ.

მიუხედავად ამისა, სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირი დე ფილიერსს სრულ მხარდაჭერას უცხადებს, რაც ისე უნდა გავიგოთ, რომ მის გამონათქვამებს ეთანხმება. ერთი სიტყვით, დაცდა პარასკევამდე მოგვიწევს და ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ სამხრეთული რაგბის მამები.

მეტოქე

# ნარშავები ტესტებისთვის ემზადებიან

2011 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე შოტლანდიის ნაკრები ნოემბრის ტესტებისთვის მზადებას იწყებს. „ნარშავები“ პირველ შეხვედრას 13 ნოემბერს ახალი ზელანდიის ნაკრებთან გამართავენ.

შოტლანდიელთა ინგლისელმა მთავარმა მწვრთელმა **ენდი რობინსონმა** სენ ენდრიუს საწვრთნელ ბაზაზე 37 მორაგბეს უხმო. მისი ხელმძღვანელობით „სკოტები“ აქ 9-11 აგვისტოს ივარჯიშებენ.

გუნდს დაუბრუნდა მგეზავი **კრის პატერსონი**, რომელიც ექვსი ერის ბოლო შეხვედრაში დაშავდა ირლანდიის ნაკრებთან. „ნარშავებმა“ ივნისის ტესტებე არგენტინაში მის გარეშე იასპარეზეს და საკმაოდ წარმატებითაც.

„სენ ენდრიუს შეკრებას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. მოხარული ვარ, რომ სეზონის პირველი ნახევარი წარმატებული გვქონდა. თუმცა ამაზე გაჩერება არ შეიძლება. ჩვენი მიზანია, თამაში კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ. მით უფრო, რომ ნოემბერში პირველი მეტოქე ახალი ზელანდიაა“ - თქვა რობინსონმა.

„სკოტების“ თავკაცმა ფრანგულ „ტულონში“ მოთამაშე უკანახაზელი **რორი ლამონტიც** გაიხსენა, რომელსაც მუხლის ტრავმის გამო მთელი სეზონი გაუცდა. რობინსონის მხედველობის არეშია „კლერმონის“ მესამეხაზელი **ჯონ ვაითიც**, რომელსაც ასევე ფეხი ჰქონდა ნატკენი და ვარჯიში ახლახან განაახლა.

„ჯეისონი სენ ენდრიუში არ მოვიწვიე, რადგან ვფიქრობ, რომ მისთვის ახლა უფრო მნიშვნელოვანია, მთელი ყურადღება საკლუბო კარიერას დაუთმოს. მასთან სერიოზული ლაპარაკი მქონდა და კარგად იცის, რომ ამ სეზონში მისი დიდი იმედი გვაქვს“ - ასე ახსნა რობინსონმა ჯეისონის ნაკრებს მიღმა დარჩენა.

**შოტლანდიის ნაკრები**

შერკინება: **ჯონ ბარკლი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, ალასდაირ კელოკი, მურეი ლოუ, რიჩი ვერნონი (ყველა-გლაზგო), კელი ბრაუნი (სარასენზი), ჯოფ კროსი, როს ფორდი, ალან იაკობსენი, ალან მაკდონალდი, სკოტ მაკლოიდი, კელი ტრეინორი (ყველა-ედინბურგი), ალასდაირ დიკინსონი, ჯიმ ჰემილთონი, სკოტ ლოუსონი, ალასდაირ სტროკოში (ყველა-გლოსტერი), ნათან ჰინესი (ლენსტერი), ევან მურეი (ნორსჰემპთონი).**

უკანა ხაზი: **მაიკ ბლერი, ბენ კაირნსი, ნიკ დე ლუკა, ფილ გოდმენი, ალექს გროუ, კრის პატერსონი, ჯიმი თომპსონი (ყველა-ედინბურგი), კრის კაზიტერი, მაქს ევანსი, რიჩარდ ჯექსონი, გრემ მორისონი (ყველა-გლაზგო), საიმონ დენიელი (ალსტერი), შონ ლამონტი (ნიუპორტი), რორი ლამონტი (ტულონი), რორი ლოუსონი (გლოსტერი), დენ პარქსი (კარდიფი), უგო საუთვილი (სტად ფრანსე), ნიკი ვოლკერი (ოსფრიზი).**


კრის პატერსონი

მსოფლიო რეიტინგი

# ახალი ზელანდიის რეკორდული ლიდერობა

ახალი ზელანდიის ნაკრებმა გასულ უქმეებზე ავსტრალიაში გამარჯვების შემდეგ მსოფლიო რეიტინგში პირველობა კიდევ უფრო განიმტკიცა. „ოლ ბლექსს“ ახლა 93,68 ქულა აქვს და მეორეადგილოსან სამხრეთ აფრიკას 6,92 ქულით უსწრებს. ეს რეკორდული მაჩვენებელია. აქამდე მსოფლიო კლასიფიკაციის ლიდერი უახლოეს მდევარს ასეთი დიდი სხვაობით არასდროს უსწრებდა.

საქართველოს ნაკრები კი 66,38 ქულით მე-17 ადგილზეა. „ბორჯღალოსნებს“ რეიტინგში დაწინაურების შანსი შემოდგომაზე მიეცემათ. 20 და 27 ნოემბერს ჩვენი ნაკრები აშშ-ისა და კანადის ნაკრებებს უმასპინძლებს. ორივე ჩრდილოამერიკული გუნდი რეიტინგში ამჟამად საქართველოს ნაკრებზე წინაა. წარმატების მიღწევის შემთხვევაში „ბორჯღალოსნები“ ერთბაშად სამი საფეხურით დაწინაურდებიან.

**მსოფლიო რეიტინგი**

**1. ახალი ზელანდია - 93,68 ქულა, 2. სამხრეთ აფრიკა - 86,76. 3. ავსტრალია - 85,11. 4. საფრანგეთი - 82, 75, 5. ირლანდია - 82, 03. 6. ინგლისი - 81, 82. 7. შოტლანდია - 79,81. 8. არგენტინა - 79, 70. 9. უელსი - 78, 58. 10. ფიჯი - 74,39. 11. იტალია - 72,97. 12. სამოა - 72, 74. 13. იაპონია - 72,49. 14. კანადა - 69,43. 15. აშშ - 67,86. 16. ტონგა - 67,06. 17. საქართველო - 66,38, 18. რუსეთი - 65,80. 19. რუმინეთი - 65,10. 20. ნამიბია - 62,69... 22. პორტუგალია - 61,27.... 23. ესპანეთი - 57,70... 29. უკრაინა - 54,35.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# სამი ლიდერი

ამერიკული ტურნირების სერიაში უკვე სამი შეჯიბრება ჩატარდა და US Open Series-ის ორგანიზატორებმა ამ მომენტისთვის ლიდერების სია გამოაქვეყნეს. როგორც იცით, ამ სერიის მომგები ჩოგბურთელი ამერიკის ღია პირველობაზე გამომუშავებული საპრიზო თანხის გაორმაგებულ ოდენობას მიიღებს. აი, რა მდგომარეობაა ამ მომენტისთვის US Open Series-ში.

**კაცები**

1. ფიში, კუერი (ორივე - აშშ) - 70;
3. ისნერი (აშშ), მიურეი (ბრიტანეთი) - 45;

**ქალები**

1. აზარენკა (ბელარუსი) - 70 ქულა;
2. შარაპოვა (რუსეთი) - 45;
3. ა. რადვანსკა (პოლონეთი), სტოსური (ავსტრალია) - 25.

პარალელურად, გამოქვეყნდა ATP-სა და WTA-ის ახალი რეიტინგები, სადაც მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა:

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 10 745 |
| 2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 6 905 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6 795 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 5 305 |
| 5(5). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 4 835 |
| 6(6). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 4 285 |
| 7(7). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4 270 |
| 8(8). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 3 780 |
| 9(9). ენდი როდიკი (აშშ) | 3 490 |
| 10(10). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 3 475 |
| 11(11). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 455 |
| 12(12). დავიდ ფერერი (ესპ) | 3 100 |
| 13(13). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 800 |
| 14(14). მიხაილ იუჟნი (რუს) | 2 725 |
| 15(15). იურგენ მელცერი (ავსტრი) | 2 470 |
| 16(18). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 210 |
| 17(16). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2 200 |
| 18(17). გაელ მონფილსი (საფ) | 2 215 |
| 19(19). ჯონ ისნერი (აშშ) | 1 985 |
| 20(20). სემ კუერი (აშშ) | 1 910 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 5 506 278 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 2 887 135 |
| 3. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 1 920 028 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტ) | 1 755 272 |
| 5. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1 709 841 |
| 6. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 507 962 |
| 7. ენდი როდიკი (აშშ) | 1 422 033 |
| 8. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 1 333 544 |
| 9. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 1 259 927 |
| 10. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 247 432 |
| 11. სემ კუერი (აშშ) | 1 029 317 |
| 12. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 018 920 |
| 13. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 992 593 |
| 14. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 938 247 |
| 15. მიხაილ იუჟნი (რუს) | 908 183 |
| 16. მარინ ჩილიჩი (ხორ) | 894 523 |
| 17. ჯონ ისნერი (აშშ) | 764 698 |
| 18. ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 681 394 |
| 19. ნენად ზიმონჯიჩი (სერ) | 669 031 |
| 20. დანიელ ნესტორი (კან) | 652 076 |

| WTA-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 8355 |
| 2(2). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 5900 |
| 3(4). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 5555 |
| 4(3). ვენუს უილიამსი (აშშ) | 5287 |
| 5(5). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 4890 |
| 6(6). ელენა დემენტიევა (რუს) | 4590 |
| 7(7). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 4510 |
| 8(8). ფრანჩესკა სიკავონე (იტა) | 4285 |
| 9(9). ვერა ზვონარევა (რუს) | 3965 |
| 10(11). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 3870 |
| 11(10). ნა ლი (ჩინ) | 3756 |
| 12(18). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 3490 |
| 13(15). მარია შარაპოვა (რუს) | 3460 |
| 14(12). ჟუსტინ ანენი (ბელ) | 3415 |
| 15(13). ფლავია პენეტა (იტა) | 3370 |
| 16(17). იანინა ვიკმაიერი (ბელ) | 3185 |
| 17(16). შაარ პეერი (ისრ) | 3175 |
| 18(20). არავან რეზაი (საფ) | 3045 |
| 19(19). ნადია პეტროვა (რუს) | 3016 |
| 20(14). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3016 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 4 266 011 |
| 2. ვენუს უილიამსი (აშშ) | 2 223 556 |
| 3. ფრანჩესკა სიკავონე (იტა) | 1 833 896 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 590 908 |
| 5. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 1 535 370 |
| 6. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 1 401 960 |
| 7. ვერა ზვონარევა (რუს) | 1 248 558 |
| 8. არავან რეზაი (საფ) | 1 160 086 |
| 9. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 1 032 348 |
| 10. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 957 977 |
| 11. ნა ლი (ჩინ) | 828 478 |
| 12. ნადია პეტროვა (რუს) | 814 037 |
| 13. ფლავია პენეტა (იტა) | 788 161 |
| 14. ელენა დემენტიევა (რუს) | 774 783 |
| 15. მ-ხ. მარტინეს სანჩესი (ესპ) | 731 188 |
| 16. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 724 414 |
| 17. შაარ პეერი (ისრ) | 688 099 |
| 18. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 687 612 |
| 19. ჟიე ჟენგი (ჩინ) | 686 151 |
| 20. იაროსლავა შვედოვა (ყაზ) | 615 018 |



რაფა არდადეგებზე

# ყველაზე საყვარელი რაფა

ესპანეთში ჟურნალ Magazine-ის მკითხველებმა და ინტერნეტპორტალ ELMUNDO.es-ის მომხმარებლებმა ამ ზაფხულს ესპანეთის "ყველაზე საყვარელი ადამიანი" აირჩიეს. გამოკითხვის შედეგად, საუკეთესო ათეული ძირითადად, სპორტსმენებმა დააკომპლექტეს, რადგან ესპანურ სპორტს ამ ზაფხულს მართლაც არნახული წარმატებები ჰქონდა.

საბოლოოდ, ქვეყნის "ყველაზე საყვარელი ადამიანი" გახდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** - მას ხმა მისცა გამოკითხულთა 69,9-მა პროცენტმა. ეს ცნობა 24 წლის ჩოგბურთელის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ბოლო სამი თვის განმავლობაში ნადალმა მოიგო "დიდი სლემის" ორი ტურნირი - როლან გაროსი და უიმბლდონი, აგრეთვე სამ მასტერსზე (მონტე კარლო, რომი, მადრიდი) მოიპოვა მთავარი პრიზი.

მეორე ადგილზე გავიდა ფეხბურთში მსოფლიოს ახალი ჩემპიონის - ესპანეთის ნაკრების კაპიტანი **იკერ კასილიასი**. მესამე პოზიცია ერგო "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრ **პაუ გასოლს**, ვინც ამ ზაფხულს მეორედ მოიპოვა NBA-ის საჩემპიონო ბეჭედი.

სპორტსმენებიდან ათეულში კიდევ სამი კაცი მოხვდა - **ანდრეს ინიესტა, დავიდ ვილია** და **ვისენტე დელ ბოსკე**.

# დიადი ივანი ბრუნდება

ლეგენდარული **ივან ლენდლი** მრავალწლიანი პაუზის შემდეგ კორტს უბრუნდება - წარმოშობით ჩეხი ჩოგბურთელი პირველად ითამაშებს ვეტერანთა ტურში.

50 წლის ლენდლი, რომელსაც კარიერაში "დიდი სლემის" რვა ტურნირი აქვს მოგებული, 16 წლის განმავლობაში არ გასულა კორტზე, გუშინ კი ამერიკელმა ოფიციალურად დაადასტურა Champions Tour-ის სერიის ტურნირებში მონაწილეობა - ამ ინფორმაციას სააგენტო AFP აქვეყნებს. პირველი ტურნირი, რომელშიც ლენდლი მოსინჯავს ძალებს, 1-3 ოქტომბერს პარიზში გაიმართება.

აქტიური კარიერის დროს ლენდლის ერთ-ერთმა ყველაზე პრინციპულმა მეტოქემ **ჯონ მაკინრომ** (მათი ურთიერთშეხვედრათა ანგარიშია - 21:15 ლენდლის სასარგებლოდ) განაცხადა, რომ მოუთმენლად ელის ივანთან ახალ შეხვედრას. *"ჩვენ დიადი მატჩები გვქონდა, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო. მას უკვე 16 წელია არ უთამაშია. ასე რომ, ბევრი რამ გვექნება განსახილველი როგორც კორტზე, ასევე მის მიღმა.*

*ვიცი, რომ ლენდლი გასული წლის ბოლოს ბევრს მუშაობდა და ვარჯიშობდა ფორმის დასაბრუნებლად. ამხელა პაუზის შემდეგ ამის გაკეთება ძალიან რთულია"*, - აღნიშნა ჯონ მაკინრომ.

ლენდლისა და მაკინროის გარდა, საფრანგეთის დედაქალაქში თამაშს აპირებენ ფრანგი **იანიკ ნოა** და შვედი **მატს ვილანდერი**.

■ ■ ■

სულ უფრო ხშირად მონაწილეობს ვეტერანთა ტურში ამერიკელი **პიტ სამპრასი**. ამჯერად "დიდი სლემის" ტურნირების" 14-გზის ჩემპიონმა ჩინეთში გადაწყვიტა თამაში.

სამპრასის გარდა, 21-24 ოქტომბერს Chengdu Open-ზე ითამაშებენ: **მიხაელ შტიხი, პატრიკ რაფტერი, პეტ კეში, ტომას ენკვისტი, პარადორნ შრიჩაფანი, გი ფორჟე** და **ევგენი კაფელნიკოვი**. პირველ ჯგუფში მოხვდნენ - სამპრასი, შრიჩაფანი, კეში და ფორჟე, მეორეში - რაფტერი, ენკვისტი, შტიხი და კაფელნიკოვი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ივან ლენდლი

კალათბურთი

# მაიამის ერთი კაცი დარჩა

"მაიამი ჰიტი" ასრულებს მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის დაკომპლექტებას. ფლორიდულმა კლუბმა ბოლო სამ დღეში ორი კალათბურთელი გაიფორმა. ერთ-ერთი მათგანია 32 წლის მცველი **ედი ჰაუსი**, რომელმაც კარიერის პირველი სამი წელი სწორედ "მაიამიში" გაატარა, შემდეგ კი შვიდი წლის განმავლობაში რვა კლუბი გამოიცვალა. კონტრაქტი ორწლიანია და წლიური ხელფასი 1.4 მილიონი იქნება.

ჰაუსმა ნამდვილ აღიარებას "ბოსტონში" მიაღწია, სადაც სამი წელი ითამაშა და 2008 წელს NBA-ის ჩემპიონი გახდა. მთელი კარიერის განმავლობაში ჰაუსი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა - მეტოქის დაცვას ბრწყინვალე ტყორცნებითა და დამაჯერებელი მოქმედებით ანიოკებდა. ყველა მწვრთნელი, ვისაც მასთან უმუშავია, ჰაუსში ნამდვილ სნაიპერს ხედავდა. ამასთან, დაბალი სიმაღლის მიუხედავად, ედი თავს შესანიშნავად იცავს. ასე რომ, ახალ "ჰიტს" ძალიან მოუხდება ასეთი მოთამაშე: **კრის ბოშის, დუეინ უეიდისა** და **ლებრონ ჯეიმსის** ტრიოს ჰაერივით სჭირდება კარგი სნაიპერები დაცვის სპეციალისტები და ჰაუსი ორივე მოთხოვნას აკმაყოფილებს.

"მაიამის" კიდევ ერთი ახალი კალათბურთელი გახდა მცველი **პატრიკ ბევერლი**. კონტრაქტი დეტალები არ გახმაურებულა. ბევერლიმ "ჰიტის" შემადგენლობაში ოთხი მატჩი ითამაშა საზაფხულო ლიგაში, მათ შორის სამი - სასტარტო ხუთეულში. მისმა საშუალო შედეგიანობამ 5.8 ქულა და 4.8 მოხსნა შეადგინა. შარშან ამერიკელი კალათბურთელი საბერძნეთის "ოლიმპიაკოსში" თამაშობდა და ევროლიგის გათამაშებაში 2.7 ქულასა და 1.9 მოხსნას აგროვებდა.

ასე რომ, "მაიამის" ერთი კალათბურთელი სჭირდება საგაისო შემადგენლობის სრულად დასაკომპლექტებლად. ამ ერთ ვაკანტურ ადგილზე ორი პრეტენდენტია: **დაშონ ბატლერი** და **კენი ჰესბრუკი**. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, წლევანდელ დრაფტზე არჩეული ბატლერი ძალიან ნიჭიერი კალათბურთელია და კლუბის მომავალ ვარსკვლავად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ სავარაუდოდ, "ჰიტის" ხელმძღვანელობა ამჯერად არჩევანს **კენი ჰესბურკზე** შეაჩერებს, მით უმეტეს, რომ მან შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა საზაფხულო ლიგაზე.



ამბები

ჩოგბურთი

## ოდენი და როი თითქმის მზად არიან

"პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ორი წამყვანი კალათბურთელი - ცენტრი **გრეგ ოდენი** და მცველი **ბრენდონ როი** თავდაუზოგავად მუშაობენ ძველი კონდიციების დასაბრუნებლად. ორივე კალათბურთელი ინდიანაში ფიზმომზადების მწვრთნელის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

ოდენმა პრესასთან საუბარში აღნიშნა, რომ ყოველდღიური 5-საათიანი ვარჯიშებით ოპტიმალურ წონას მიაღწია. როის თქმით, ისიც თითქმის მიუახლოვდა ნორმალურ კონდიციებს. ასე რომ, "პორტლენდის" ორი ტრავმირებული კალათბურთელი, სავარაუდოდ, მზად იქნება ახალი სეზონისთვის.

*"ყოველდღე ვსტუმრობ სატრენაჟორო დარბაზს და შემდეგი დიდი მონდომებით სეზონისთვის ვემზადები"*, - აღნიშნავს ბრენდონ როი.

## მსოფლიოზე ვუვუზელა არ იქნება

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატის მატჩების დროს დარბაზში ვუვუზელების შეტანა აკრძალული იქნება.

FIBA-ის ხელმძღვანელთა აზრით, დაუშვებელია ამ მუსიკალური ინსტრუმენტის გამოყენება ისეთ შეზღუდულ სივრცეში, როგორიც საკალათბურთო დარბაზია. ამან შეიძლება გააფუჭოს ჩემპიონატის ატმოსფერო და ავნოს როგორც გულშემატკივრის, ასევე ჩემპიონატის მონაწილეთა ჯანმრთელობას.

წესის დარღვევის შემთხვევაში, გულშემატკივრებს ინსტრუმენტს წაართმევენ და დარბაზიდან მიაბრძანებენ.

## ოლიმპიაკოსში კრიზისია

რთული პერიოდი უდგას ერთ-ერთ ბერძნულ გრანდს - "ოლიმპიაკოსს". კლუბის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა კალათბურთელებს, რომ ისინი დათანხმდნენ ხელფასის 25 პროცენტით შემცირებას. საქმე ისაა, რომ საბერძნეთში დაბეგვრის ახალი სისტემა მიიღეს და საერთოდაც, ეკონომიკური სიტუაცია კვლავაც არც ისე სახარბიელოა.

პირველ რიგში, ხელმძღვანელობის თხოვნა **პაპალუკასს** (ხელფასი 3.5 მილიონი), **ბურუსისს** (1.7) და **ვასილოპულოსს** (1.4) ეხება. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ბერძნულმა კლუბმა **ჩილდრესი** (4.2) და **კლეიზა** (2.5) დაითხოვა.

კრივი

## მოზლიმ მეტოქე იპოვა

**ფლოიდ მეივეზერთან** მარცხის შემდეგ **შეინ მოზლიმ** (46-6, 39 KO) რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა. 18 სექტემბერს ლოს-ანჯელესის "სტეიპლს ცენტრის" არენაზე ამერიკელი მექსიკელ **სერხიო მორას** (22-1-1, 6 KO) შეხვდება.

*"მოსლის დიდ პატივს ვცემ, მაგრამ 18 სექტემბერი მისი ტრიუმფის დღე არ იქნება"*, - აღნიშნა მექსიკელმა მოკრივემ, რომელმაც თავისი ბოლო ბრძოლა ხუთი წლის წინ, კალიფორნიაში **პიტერ მანფრედოს** წინააღმდეგ ჩაატარა.

*"მორა დიდი ხანია ჩემთან ბრძოლას ელოდება, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა პროფესიულ რინგზე პირველ გამარჯვებას მიაღწია. ის, ალბათ, ფიქრობს, რომ დავბერდი და ახლა უფრო იოლად შეძლებს ჩემს დამარცხებას. მე მას კარგ გაკვეთილს ჩავუტარებ და დავანახვებ, როგორია ნამდვილი ორთაბრძოლა"*, - განაცხადა მოზლიმ.

ფორმულა 1

# შუმახერის ბოდიში


მიხაელ შუმახერი

"მერსედესის" პილოტ **მიხაელ შუმახერის** ვებგვერდზე უნგრეთის გრან-პრიზე გერმანელ პილოტსა და **რუბენს ბარიკელოს** შორის მომხდარი ინციდენტის შესახებ მოკლე შეტყობინება გაჩნდა. "ჰუნგარორინგზე" შუმიმ უხეში მანევრით დაიცვა თავი "უილიამსის" პილოტის წინააღმდეგ და კინაღამ კედელს მიაჯახა ბრაზილიელი ვეტერანი. ამ ინციდენტის შესწავლისას, ავტოსპორტის ფედერაციამ ლეგენდარული გერმანელი მომავალი რბოლისთვის სტარტზე ათი პოზიციის დაკარგვით დააჯარიმა.

მიხაელ შუმახერი: *"რბოლის შემდეგ "ცხელ გულზე" შევაფასე ინციდენტი, რადგან საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ვიყავი. მაგრამ მოგვიანებით ჩანაწერი ვიხილე და უნდა ვაღიარო, რომ რბოლის სტიუარდებმა სწორად შეაფასეს სიტუაცია - მანევრი ძალიან უხეში და სარისკო იყო. მე ვცდილობდი მეჩვენებინა რუბენსისთვის, რომ არ ვაპირებდი მისი გარე რადიუსით გატარებას, თუმცა ამ მანევრით მისი დაშინება არ მიცდია. თუ ბარიკელოს ასე ჰგონია, მაშინ ბოდიშს ვუხდი, მაგრამ ცუდი განზრახვა არ მქონია".*

# კალენდარი შეიცვლება

სატრანსფერო ჭორების გარდა, ამ პერიოდში ფორმულა 1-ის სამყაროში მომავალი წლის სავარაუდო კალენდარსაც აქტიურად განიხილავენ. გერმანული პრესა წერს, რომ სწორედ ეს საკითხი იყო აქტუალური უნგრეთის გრან-პრის უქმეებზე "ჰუნგარორინგის" პადოკში.

როგორც ირკვევა, 2011 წელს კალენდარში რამდენიმე გადაადგილება მოხდება, თუმცა არ შეიცვლება ჩემპიონატის დასაწყისი და ფინიში - პირველი ეტაპი ისევ ბაჰრეინში გაიმართება, ბოლო რბოლა - აბუ დაბიში.

გაისად დაგეგმილია ინდოეთის გრან-პრის დებიუტი. ამ რბოლის სავარაუდო თარიღი 9 ოქტომბერი გახლავთ. სამხრეთ კორეის გრან-პრის გაზაფხულზე გადაიტანენ, კერძოდ აპრილის თვეში და ის ჩინური ეტაპიდან ერთი კვირისთავზე გაიმართება.

კორეის ეტაპს სამკვირიანი პაუზა მოჰყვება, რომელიც ბარსელონას რბოლით დასრულდება.

ჩინეთისა და კორეის გარდა, რბოლებს შორის მხოლოდ ერთკვირიანი პაუზა კიდევ ოთხჯერ იქნება: ავსტრალიისა და მალაიზიის ეტაპებს შორის, ივლისის დასაწყისში გერმანიასა და უნგრეთს შორის, აგვისტოს ბოლოს - ბელგიასა და ვალენსიას შორის და ოქტომბერში - იაპონიასა და ბრაზილიას შორის.

ეს იმას ნიშნავს, რომ პილოტებს აღარ ექნებათ 4-კვირიანი არდადეგები და ის სამ კვირამდე შემცირდება. ასევე რთული მომენტი იქნება ჩემპიონატის მონაწილეებისთვის 2011 წლის ოქტომბერში იაპონიიდან ბრაზილიაში გადასვლა.

13 მარტი - ბაჰრეინის გრან-პრი
27 მარტი - ავსტრალიის გრან-პრი
3 აპრილი - მალაიზიის გრან-პრი
17 აპრილი - ჩინეთის გრან-პრი
24 აპრილი - კორეის გრან-პრი
15 მაისი - ესპანეთის გრან-პრი
29 მაისი - მონაკოს გრან-პრი
12 ივნისი - კანადის გრან-პრი
26 ივნისი - თურქეთის გრან-პრი
10 ივლისი - ბრიტანეთის გრან-პრი
24 ივლისი - გერმანიის გრან-პრი
31 ივლისი - უნგრეთის გრან-პრი
21 აგვისტო - ბელგიის გრან-პრი
28 აგვისტო - ევროპის გრან-პრი
11 სექტემბერი - იტალიის გრან-პრი
25 სექტემბერი - სინგაპურის გრან-პრი
9 ოქტომბერი - ინდოეთის გრან-პრი
23 ოქტომბერი - იაპონიის გრან-პრი
30 ოქტომბერი - ბრაზილიის გრან-პრი
13 ნოემბერი - აბუ დაბის გრან-პრი

მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხკვირიანი შესვენება გამოცხადდა და უკვე შეიძლება საშუალედო შედეგების შეჯამება. ამ ცხრილში შეტანილია განვლილი 12 ეტაპის მონაცემები, რომელიც მეტ-ნაკლებად ასახავს პილოტებს შორის ძალთა გადანაწილებას.

| | პოზიცია ფინიშზე | | ლიდერობა | | | საერთო დისტანცია | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საშ. | საუკ. | წრე | კმ | წრე | დრო | კმ | % |
| ჰემილტონი | 5.50 | 1 | 56 | 261.802 | 688 | 18:09'05.531 | 3427.639 | 94.15 |
| ალონსო | 5.50 | 1 | 39 | 207.314 | 735 | 19:17'02.421 | 3631.770 | 99.70 |
| უებერი | 5.75 | 1 | 314 | 1430.177 | 688 | 17:54'37.528 | 3377.325 | 92.84 |
| ბატონი | 5.75 | 1 | 82 | 434.743 | 660 | 17:33'15.913 | 3384.635 | 91.76 |
| ფეტელი | 6.08 | 1 | 189 | 1034.283 | 685 | 18:00'57.866 | 3366.435 | 92.53 |
| მასა | 7.08 | 2 | 40 | 182.96 | 736 | 19:23'27.054 | 3638.495 | 99.88 |
| როსბერგი | 7.50 | 3 | 16 | 87.216 | 680 | 18:02'24.383 | 3392.672 | 93.20 |
| კუბიცა | 8.50 | 2 | -- | -- | 656 | 17:24'45.097 | 3237.972 | 88.99 |
| მ. შუმახერი | 10.17 | 4 | -- | -- | 687 | 18:05'34.463 | 3369.019 | 92.64 |
| ბარიკელო | 10.67 | 4 | -- | -- | 683 | 18:16'32.291 | 3453.684 | 94.09 |
| სუტილი | 11.17 | 5 | -- | -- | 630 | 16:50'02.203 | 3128.545 | 86.04 |
| ლიუცი | 13.42 | 7 | -- | -- | 630 | 16:23'30.454 | 3061.170 | 84.24 |
| პეტროვი | 13.67 | 5 | -- | -- | 618 | 16:11'05.285 | 2983.224 | 82.10 |
| ალგერსუარი | 13.67 | 9 | -- | -- | 657 | 17:34'17.470 | 3279.849 | 90.13 |
| ბუემი | 15.00 | 8 | 1 | 4.361 | 527 | 13:58'16.470 | 2583.445 | 71.20 |
| ჰიულკენბერგი | 15.17 | 6 | -- | -- | 586 | 15:47'37.583 | 2996.077 | 81.21 |
| კობაიაში | 15.58 | 6 | -- | -- | 413 | 10:39'01.361 | 2036.401 | 55.59 |
| დე ლა როსა | 17.17 | 7 | -- | -- | 441 | 11:40'18.997 | 2200.362 | 65.41 |
| კოვალაინენი | 17.75 | 13 | -- | -- | 545 | 15:10'11.739 | 2707.690 | 81.15 |
| ჩანდჰოკი | 18.00 | 14 | -- | -- | 479 | 13:28'19.947 | 2382.071 | 78.82 |
| ტრული | 19.00 | 15 | -- | -- | 504 | 14:29'07.186 | 2490.113 | 74.82 |
| დი გრასი | 19.08 | 14 | -- | -- | 477 | 13:25'42.759 | 2311.357 | 63.00 |
| გლოკი | 19.17 | 16 | -- | -- | 485 | 12:56'36.963 | 2386.536 | 70.97 |
| სენა | 19.18 | 16 | -- | -- | 429 | 12:01'42.720 | 2086.580 | 62.67 |
| იამამოტო | 20.33 | 19 | -- | -- | 135 | 3:35'37.241 | 670.602 | 72.93 |

კრივი

# კლიჩკო ოსკაროსანია

"2009 წლის ჩემპიონი" - სწორედ ასეთი ტიტულით დააჯილდოვა მსოფლიოს საკრივო საბჭომ (WBC) მსოფლიოს ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო**. ეს ჯილდო უკრაინელმა მძიმეწონოსანმა უელსის დედაქალაქ კარდიფში მიიღო.

WBC-ის პრეზიდენტმა **ხოსე სულეიმანმა** ასეთი სიტყვებით მიულოცა სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონს: *"ცხოვრებაში, ისევე როგორც კრივში, მნიშვნელოვანია არა მარტო დარტყმის მიყენება, არამედ მოგერიება! ვიტალის ეს ძალიან კარგად გამოსდის. სწორედ ამიტომაც არის ის - დიადი ჩემპიონი!"*

დაჯილდოების ცერემონიას "ჩემპიონთა ღამე" ჰქვია და მას მეორენაირად "კრივის ოსკარებს" უწოდებენ. შოუს თან ახლდა მუსიკალური წარმოდგენა, სტუმრებს შორის კი კინოსა და შოუბიზნესის ვარსკვლავები იყვნენ. საინტერესოა, რომ საღამოს ორგანიზატორებმა ერთ დარბაზში შეკრიბეს სხვადასხვა თაობის მსოფლიოს 80 ჩემპიონი!


ვიტალი კლიჩკო მორიგი პრიზით

ველოსპორტი

# კონტადორი ახალ გუნდშია


ალბერტო კონტადორი კმაყოფილია

ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონმა **ალბერტო კონტადორმა** ოფიციალურად შეიცვალა გუნდი - ყაზახური "ასტანას" ან უკვე ყოფილი წევრი მომავალ ორ სეზონს დანიურ საჯინიბო Saxo Bank-ში გაატარებს - წერს გუნდის ოფიციალური ვებგვერდი.

Saxo Bank-ის გენერალურმა მენეჯერმა **ბიარნე რიისმა** სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ესპანელს მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში მისი გუნდისთვის დიდი წარმატებების მოტანა შეუძლია.

*"ალბერტო კონტადორი უმაღლესი დონის მრბოლელია და ამაყი ვარ იმით, რომ მან ჩვენს გუნდთან არჩია თანამშრომლობა. თუ მის ბოლოდროინდელ წარმატებებს გავითვალისწინებთ, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ კიდევ რამდენიმე წელი ის და Saxo Bank ველოსპორტის ლიდერები იქნებიან. ახლა ალბერტოს გარშემო ძალიან სერიოზული და ძლიერი გუნდი შეიკრიბება და ეს ალიანსი აუცილებლად გაამართლებს"*, - განაცხადა რიისმა.

შეგახსენებთ, რომ Saxo Bank-ში ამჟამად სამი უმაღლესი დონის ველომრბოლი ირიცხება - შვეიცარიელი **ფაბიან კანჩელარა** და ლუქსემბურგელი ძმები - **ფრენკ** და **ანდი შლეკები**. სწორედ ეს უკანასკნელი იყო კონტადორის მთავარი კონკურენტი წლევანდელ ტურზე. სხვათა შორის, უკვე ცნობილია, რომ ძმები ამ სეზონის შემდეგ დატოვებენ დანიურ გუნდს და ლუქსემბურგის SKY-იში გააგრძელებენ კარიერას.

ესპანელმა ველომრბოლმა თავის კომენტარში აღნიშნა, რომ ახლა მას და მის ახალ გუნდს ყველაფერი აქვთ მწვერვალების დასაპყრობად.

*"ძალიან კმაყოფილი ვარ Saxo Bank-თან ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებით. ოდნავ აღელვებული ვარ. ამ გუნდში სრულიად უნიკალური ფილოსოფია და საბრძოლო სულია და დარწმუნებული ვარ, ყოველთვის მივიღებ საჭირო მხარდაჭერას სპონსორებისგან, ადმინისტრაციისგან და თანაგუნდელებისგან. ისტორიულად Saxo Bank ყოველთვის შესანიშნავ შედეგებს აჩვენებდა და ახლა, ერთად გავაგრძელებთ ველოსპორტში მნიშვნელოვანი როლის თამაშს"*, - ამბობს ესპანელი ველომრბოლი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**III საკვ. ეტაპი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (თ-ა)-აქტობე | 3:1 (0:1) |
| ანდერლეხტი-ტნს | 3:0 (3:1) |

**ევროპის ლიგა**

**III საკვ. ეტაპი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| რაპიდი-ბეროე | 3:0 (1:1) |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-ზანდჰაუზენი | 2:0 |
| ოფენბახი-ბაიერნი A | 4:1 |
| უნტერჰახინგი-ალენი | 0:0 |
| ვერდერი A-ალენი | 1:1 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალტახი-გრიოდიგი | 4:0 |
| ლუშტენაუ-სტ. ანდრე | 2:2 |
| ჰარტბერგი-გრატკორნი | 1:2 |
| სტ. პოლტენი-ვენა | 3:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ბოხუმი-პალერმო | 2:2 |
| ვერდერი-რადი | 2:0 |
| კარტახენა-ალმერია | 1:1 |
| ფრაიბურგი-ფრანქფურტი | 1:4 |
| ტოპ ოსი-ეინდჰოვენი II | 0:2 |
| ჰართსი-ვულვზი | 0:2 |
| ფორფარი-დანდი იუნ. | 1:4 |
| მილტონი-ბირმინგემი | 2:3 |
| ბენფიკა-ტოტენჰემი | 0:1 |
| როვერსი-სტოკი | 1:2 |
| ბრეჩინი-აბერდინი | 2:2 |
| ინვერნესი-ვალიადოლიდი | 0:0 |
| დეპორტივო-ნიუკასლი | 0:0 |
| ნაპოლი-ვოლფსბურგი | 2:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ვაშინგტონი**

| | |
|---|---|
| დაბული-ჩიუდინელი | 6:7, 2:6 |
| მალისე-ბენეტო | 7:5, 6:4 |
| ფიში-ტროიცკი | 6:4, 6:3 |

**WTA. კოპენჰაგენი**

| | |
|---|---|
| ს. ზახვალოვა-დომახოვსკა | 6:1, 6:2 |
| სრებოტნიკი-გლეტჩი | 6:2, 4:6, 6:1 |
| ბენეშოვა-ბოვინა | 6:4, 6:0 |
| არვიდსონი-კეოტავონგი | 6:1, 4:6, 3:6 |
| ბალტაჩა-ერაკოვიჩი | 3:6, 6:3, 6:1 |
| ჰერცოგი-გრონეფელდი | 6:3, 7:5 |
| ბაროისი-მოისბურგერი | 7:5, 6:2 |
| მალეკი-ეიდესგაარდი | 6:0, 6:1 |
| ვოზნიაცკი-მარტიჩი | 6:3, 6:2 |
| კვიტოვა-კირსტეა | 6:4, 2:6, 4:6 |

**WTA. სან დიეგო**

| | |
|---|---|
| ჟენგი-პერი | 6:3, 6:2 |
| პეტროვა-შვედოვა | 7:5, 4:6, 1:6 |
| პეერი-ივანოვიჩი | 7:6, 6:3 |
| დულკო-ვანდევეგე | 0:6, 0:6 |

TV პროგრამა

**4 აგვისტო. ოთხშაბათი**

**EUROSPORT**

**10:30** მულტისპორტი.
**10:45** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. III ეტაპი.
**11:45** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. ლიონი-სელტიკი. ლონდონი. ინგლისი.
**12:15** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. არსენალი-მილანი. ლონდონი. ინგლისი.
**12:45** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. მილანი-ლიონი. ლონდონი. ინგლისი.
**13:15** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. არსენალი-სელტიკი. ლონდონი. ინგლისი.
**13:45** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. საუკეთესო მომენტები. ბარსელონა. ესპანეთი.
**15:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ფინალი. გერმანია.
**16:30** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. ლიონი-სელტიკი. ლონდონი. ინგლისი.
**17:00** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. არსენალი-მილანი. ლონდონი. ინგლისი.
**17:30** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. მილანი-ლიონი. ლონდონი. ინგლისი.
**18:00** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. არსენალი-სელტიკი. ლონდონი. ინგლისი.
**18:30** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. III ეტაპი.
**19:30** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. IV ეტაპი (LIVE).
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი. ყაზანი. რუსეთი.
**22:10** მულტისპორტი.
**22:15** ცხენოსნობა. ერთა თასი. ჰიქსტედი. ბრიტანეთი.
**23:15** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**23:20** გოლფი. PGA-ის ტური.
**00:20** გოლფი. ევროპის ტური.
**00:50** გოლფი. ევიან მასტერსის ტურნირი. საფრანგეთი.
**01:45** გოლფ-კლუბი.
**01:50** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**02:00** ოლიმპიური დღიური. ტელეჟურნალი.
**02:30** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. IV ეტაპი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:20** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვერდერი-ვალენსია.
**08:10** ამხანაგური მატჩი. ბორუსია (მ)-ლივერპული.
**10:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა-არსენალი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:15** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კიევო.
**14:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერ იუნ-ბაიერნი.
**15:55** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**16:00** ახალი ამბები.
**16:15** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვოლფსბურგი-ფულჰემი.
**18:00** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:05** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-სევილია.
**19:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**20:00** ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. ზენიტი-უნირეა (LIVE).
**23:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ინტერი-ბარსელონა.
**00:55** ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. ზენიტი-უნირეა.
**02:45** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ლივერპული-ბენფიკა.
**04:35** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპერმარიო



უზომოდ ნიჭიერი და უზომოდ შეშლილი. თითქოს ეს განსაზღვრება კარგად ახასიათებს „ინტერის" ფორვარდ **მარიო ბალოტელის** - ყველაზე სკანდალურ ვარსკვლავს, რომელიც საფეხბურთო სამყაროში ბოლო ორი წელია გამოჩნდა. მაგრამ ბევრი ვერ ამჩნევს, რომ ფეხბურთელისა და ხულიგანის ნიღბის უკან ძალიან უბედური ადამიანის სახე იმალება, რომელსაც ბავშვობიდან არეული ცხოვრება ჰქონდა.

## ოჯახი

ესტუმრეთ ბალოტელის ოფიციალურ ვებგვერდს - ინტერნეტში მისი მოძებნა არც ისე რთულია და დააკვირდით თმახუჭუჭა, სასაცილო და გამხდარი ბიჭუნას სურათს. თუ ამ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ბიოგრაფიას დავუჯერებთ, მისი ცხოვრება ორი წლის ასაკში დაიწყო, როცა აღსაზრდელად ბალოტელების ოჯახში მოხვდა. მანამდე არაფერი ყოფილა - სრული სიცარიელე.

სინამდვილეში, **მარიო ბარვუა** ჩვეულებრივი ადამიანივით მოევლინა ქვეყანას. ის განელი ემიგრანტების - **ტომასისა** და **როუზის** ოჯახში დაიბადა. ისინი პალერმოში ცხოვრობდნენ, ვაჟის დაბადების შემდეგ კი ბრეშაში გადასახლდნენ. ორი წლის ბავშვი მძიმედ გახდა ავად და ღარიბმა აფრიკელებმა ის სამკურნალოდ და აღსაზრდელად ბალოტელების ოჯახს გადასცეს, სადაც, როგორც მოგვიანებით გაირკვევა, მარიო სამუდამოდ დარჩა საცხოვრებლად.

სულ მალე სასამართლომ ოფიციალურად გააფორმა მეურვეობა. სწორედ ამის გამო, „ინტერის" მომავალ ფეხბურთელს 18 წლამდე პრობლემები ჰქონდა მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით და შესაბამისად, იტალიის დაბალი ასაკის ნაკრებებში თამაშის საშუალება არ მიეცა. თავისი ბიოლოგიური დედ-მამის სამშობლოს - განას ნაკრებში გამოსვლაზე სასტიკი უარი განაცხადა.

ახალმა მშობლებმა რამდენჯერმე წაიყვანეს ბავშვი მისტერ და მისის ბოვუებთან (ასე უწოდეს მოგვიანებით მარიოს მშობლებს ჟურნალისტებმა), მაგრამ კარი და ფანჯრები ყოველთვის დაკეტილი ხვდებოდათ.

ტომასი და როუზი მოგვიანებით გამოჩნდნენ სცენაზე, როცა უბრალო მარიო სუპერმარიოდ გადაიქცა და იტალიის ჩემპიონის „ინტერის" ფეხბურთელი გახდა. მათ ბალოტელის პორტრეტებით დაიწყეს ტელევიზიებში სიარული და მოჰყვნენ თავის ქებას - რა კარგი შვილი გამოსვლიათ.

ფეხბურთელმა კი შორს დაიჭირა თავი ბოვუებისგან, რომლებმაც მარიოს დიდებისგან წილის მიღება მოისურვეს. *„სად იყვნენ ისინი მაშინ, როცა არარაობა ვიყავი?* - წამოიძახებს მარიო. - *რატომ ერთხელ მაინც არ შემხვდნენ, რატომ არ მოინდომეს ჩემი უკან დაბრუნება? ახლა, როცა სერია A-ში ვთამაშობ, ისინი ტრაგიკული სახეებით ტელეეკრანებზე ჩნდებიან".*

## რასიზმი

ვინ იცის, იქნებ ბედის ამ დარტყმამ - საკუთარი მშობლების გულგრილობამ და უარმა წარმოშვა დღევანდელი ბალოტელი. 15 წლის ასაკში იუნიორი სერია C1-ის კლუბ „ლუმეცანეში" ჩაირიცხა. მალე „ინტერის" სკაუტებმა შეამჩნიეს და 16 წლის ასაკში უკვე მილანური კლუბის ახალგაზრდულ შემადგენლობაში ირიცხებოდა, არადა, იმ გუნდის დანარჩენი წევრები მასზე სამიოთხი წლით უფროსები იყვნენ. როცა ერთ-ერთ მატჩში მარიომ „ინტერის" პრეზიდენტის **მასიმო მორატის** თვალწინ გადამწყვეტი გოლი გაიტანა, მას პირველი პროფესიული კონტრაქტი და ძირითად გუნდში ადგილი შესთავაზეს.

მალე ყველაფერი შესანიშნავად წარიმართა. ბალოტელიმ პირველი გოლები გაიტანა სერია A-ში, იტალიის სუპერთასსა და ჩემპიონთა ლიგაზე, თანაც მისი გოლები, ხშირად გადამწყვეტი ხასიათისა იყო. ის გახდა ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი (18 წლის და 85 დღის), რომელმაც მთავარ ევროტურნირზე გოლი გაიტანა. ამით ბალოტელიმ დაამხო ყოფილი ინტერელის - ნიგერიელი **ობაფემი მარტინსის** რეკორდი. თუმცა მარტინსი რეკორდსმენად არც უნდა ჩაგვეთვალა იმ თითქმის დეტექტიური ისტორიის გამო, რომელიც „მუდმივად ახალგაზრდა" ნიგერიელის რეალურ ასაკს უკავშირდებოდა.

მაგრამ ვიღაცას არ უნდოდა, რომ ბალოტელის უზრუნველი მომავალი ჰქონოდა. როცა ფორვარდმა იტალიის ახალგაზრდული ნაკრებიდან მიწვევა მიიღო და პირველ ნაკრებში დებიუტზეც ალაპარაკდნენ, იტალიელმა რასისტებმა ობსტრუქცია მოუწყვეს შემდეგი ლოზუნგით: *„არ არსებობენ შავკანიანი იტალიელები!"*

ასე დაიწყო ხანგრძლივი და დაუმთავრებელი ბრძოლა ბალოტელისა და რასისტებს შორის. პირველი რაუნდი ფეხბურთელმა მოიგო: „იუვენტუსი" თავისი ფანების რასისტული გამოხდომების გამო ფულადი ჯარიმით დაისაჯა. მეორე რაუნდი კი მარიოს მტრებმა მოიგეს.

ბალოტელი „კიევოს" გულშემატკივრების წინააღმდეგ ბრალდებებით გამოვიდა, რის შემდეგაც საქმეში ადგილობრივი მერი ჩაერია: *„არ არის საჭირო პატიოსანი ვერონელი მოქალაქეების შეურაცხყოფა,* - ამბობდა ქალაქის თავი. - *ბალოტელის წყენინება არავის უნდოდა, მას უბრალოდ უსტვენდნენ, მაგრამ ეს ნორმალური საქციელია. თანაც მან თავად წამოაგო პუბლიკა პროვოკაციას. აღარ ვურჩევ მას ჩვენს ქალაქში ჩამოსვლას".*

მერისა და ვერონელი გულშემატკივრების პოზიციას მხარი დაუჭირა იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ, რომელმაც ფორვარდს ტყუილისთვის ჯარიმა გამოუწერა, თანაც ბალოტელის ბოდიშის მოხდამ მოუწია.

## მტრები

ბალოტელი ძალიან კარგი ფეხბურთელია. მას დაყენებული დარტყმა აქვს, შესანიშნავი ტექნიკა, მაღალი სიჩქარე და ამტანობა, რაც შეტევის მთელ ფრონტზე მოქმედების საშუალებას აძლევს... მაგრამ ის აბსოლუტურად უსუსურია ყოველდღიურ ცხოვრებაში - როგორც მინდორზე, ასევე მის მიღმა. ორი წლის განმავლობაში იმდენი მტერი შეიძინა, რომ მისი არაკეთილისმსურველებისგან მთელი არმიის შექმნა შეიძლება.

ამ არმიის მთავარსარდლად კი ყველაზე მეტად „ინტერის" ან უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** გამოდგებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნია ბალოტელის აგენტ **მინო რაიოლას**, რომელმაც განაცხადა, რომ *„მოურინიომ მარიო თავის მსხვერპლად აირჩია და მუდმივად ამცირებდა მას, კლუბში კი არავინ ცდილობდა ბალოტელის გამოქომაგებას".* რაღაცაში რაიოლა მართალია: მოურინიო უცნაური ზნის ფეხბურთელის მორჯულებას არ ცდილობდა, მას ზარმაცს უწოდებდა და პერიოდულად ვარჯიშიდან მიაბრძანებდა ხოლმე.

გუნდში კონფლიქტი ღრმავდებოდა და რაღაც მომენტში მას აფეთქებული ბომბის ეფექტი უნდა ჰქონოდა. ასეც მოხდა, თანაც შარშანდელ სეზონში „ინტერისთვის" ყველაზე ბედნიერ მომენტში - „ბარსელონასთან" საშინაო გამარჯვების შემდეგ. ბალოტელიმ, რომელსაც შეცვლაზე შესვლის შემდეგ საკუთარმა ფანებმა უსტვინეს (მათი აზრით, მარიო ბოლომდე არ იხარჯებოდა მინდორზე), გუნდთან ერთად არ აღნიშნა წარმატება, მაისურა მინდორზე დაახეთქა და გასახდელისკენ გაემართა.

ამ ისტორიას გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში ჰქონდა გაგრძელება. ბალოტელის **მარკო მატერაცი** დაეწია და მუშტებით ჩაუტარა გაკვეთილი ახალგაზრდა ფეხბურთელს - აუხსნა მას, როგორ არ უნდა მოექცე თანაგუნდელებს. „ინტერის" ხელმძღვანელობის რეაქცია არავის გაჰკვირვებია: მატერაციზე სიტყვა არ თქმულა, ბალოტელი კი დროებით შემადგენლობიდან დაითხოვეს.

„ინტერის" გულშემატკივრები, რომლებიც ისედაც არ სწყალობდნენ ფეხბურთელს, გაცოფებულნი იყვნენ. პრესაში გავრცელებული ოფიციალური ბოდიშის შემდეგ, ფანებმა საპასუხო წერილი გამოაქვეყნეს: *„მშვიდობით, სუპერმარიო, შენ ჩვენთვის მკვდარი ხარ!* - ეწერა იქ. - *როცა შენი პარტნიორები მინდორზე სისხლს ღვრიდნენ, შენ, როგორც ყოველთვის, სისულელეებით იყავი დაკავებული".*

წერილის ტექსტი კინაღამ სისრულეში მოიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ ვიღაცამ ბალოტელის მანქანის საბურავებზე ჭანჭიკები მოუშვა. *„მარიოს დროულად რომ არ შეემჩნია საფრთხე, აუცილებლად დაიღუპებოდა..."* - შეშინებული ამბობდა აგენტი რაიოლა.

ბოლო მტკივნეული დარტყმა ბალოტელიმ იტალიის თასის ფინალში მიიღო - „რომას" კაპიტან **ფრანჩესკო ტოტისგან**, რომელმაც უხეში ილეთით შეაჩერა მარიო, შემდეგ კი წაქცეულს ბუცებით გადაუარა. წითელი ბარათის მიღების შემდეგ ტოტიმ აღიარა, რომ მეტოქეს სპეციალურად ჩაარტყა ფეხებში და სამაგიერო გადაუხადა მარიოს ძველი უხამსი ჟესტისთვის.

ერთი შეხედვით, ბალოტელი თავის უბედურებებში თავად არის დამნაშავე, უფრო ზუსტად, მისი ფეთქებადი და ხანდახან აუტანელი საქციელი. თუმცა ის მთელი ცხოვრება თითქოს იმ კარზე აკაკუნებს, რომელიც მისმა მშობლებმა არ გაუღეს. ის ცდილობს ამის გაგებას, მაგრამ ახსნას ვერ პოულობს.

მაგრამ ბედი ყოველთვის ასეთი მკაცრი არ იქნება. „რომასთან" გამარჯვების შემდეგ მოურინიომ მხარზე ხელი გადახვია მარიოს და მინდორზე მასთან ერთად დააბიჯებდა, თითქოს მშობელი მამა ყოფილიყოს, რომელიც ასე აკლდა უბედურ ბიჭს ბავშვობაში.

ჩოგბურთი

# მარიამ და იურიმ იჩხუბეს



ჩარლი ებერსოლთან



საშა ვუიაჩიჩთან

**ბრიტანულმა** ყვითელმა პრესამ **მარია შარაპოვას** შესახებ სკანდალური ახალი ამბავი შეიტყო. როგორც ირკვევა, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი თავის საყვარელ მამას - **იური შარაპოვს** ნაეჩხუბა. მამა-შვილს შორის კონფლიქტი ბელარუსიდან ამერიკაში დაბრუნებისას თვიმფრინავში მოხდა, სადაც მარია **იური ვიქტოროვიჩთან** და თავის ბოიფრენდთან - კალათბურთელ **საშა ვუიაჩიჩთან** ერთად მგზავრობდა.

თვითმფრინავში იური შარაპოვმა ზედმეტი დალია და არაკონტროლირებადი გახდა. თავიდან ახალგაზრდა ბორტგამცილებელს აეტორლიალა, მაგრამ გოგონამ მოახერხა მთვრალი შარაპოვის თავიდან მოცილება. ამის შემდეგ იურიმ დაძინება დააპირა, თუმცა მანამდე თავისი ერთადერთი ქალიშვილის ჭეშმარიტ გზაზე დაყენება გადაწყვიტა.

შარაპოვის სიტყვებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ მას სასიძოდ არ მოსწონს სლოვენიელი საშა ვუაჩიჩი. როგორც გაირკვა, იური ვიქტოროვიჩს მარიას ქმრად ამერიკელი **ჩარლი ებერსოლი** წარმოედგინა, რომელიც ამერიკაში ცნობილი ტელემაგნატის **დიკ ებერსოლის** ვაჟი გახლავთ. მარია ჩარლის ადრე ხვდებოდა და თავისდა საუბედუროდ, სწორედ უმცროსმა ებერსოლმა გააცნო ჩოგბურთელს „ლეიკერსის" კალათბურთელი.

*„რატომ მიატოვე ჩარლი?* - თვითმფრინავში ხმამაღლა ეკითხებოდა იური მარიას. - *რაში გჭირდება ეს მოუხერხებელი კალათბურთელი?"*

ბოლო რეპლიკა იური ვიქტოროვიჩმა მაშინ წარმოთქვა, როცა „მოუხერხებელი კალათბურთელი" ტუალეტიდან ბიზნესკლასის სალონში დაბრუნდა. ვუიაჩიჩმა ეს სიტყვები გაიგონა და მიხვდა, რის შესახებაც ლაპარაკობდა მამა-შვილი.

მარიამ ყველაფრის ხუმრობაში გატარება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. ბოლოს ადგა და სალონიდან გავიდა. მას შემდეგ ჩოგბურთელს მამასთან ურთიერთობა აღარ აქვს.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ცნობილი ჩოგბურთელი ექსტრავაგანტურ მამიკოს გამო უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. იური შარაპოვს არაერთხელ გადაუხდია ჯარიმა მატჩების დროს უცენზურო ფრაზების წამოძახებისთვის. ერთხელ მთვრალი იური შარაპოვი კინაღამ ხელჩართულ ჩხუბში ჩაება მეორე რუსი ჩოგბურთელის - **ანა ჩაკვეტაძის** მამასთან. საბოლოოდ, მარიას საქმეების მმართველის - კომპანია IMG-ის წარმომადგენლებმა იური შარაპოვს მიანიშნეს, რომ მისი დასწრება ქალიშვილის მატჩებზე სასურველი არ იყო, ცოტა ხანში კი მარიასთან ერთად ტურნირებზე მგზავრობაც გადააფიქრებინეს. თუმცა იური შვილს სამშობლოში მაინც გაჰყვა და ყველაფერი მორიგი სკანდალით დასრულდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**